

მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის
შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

მარტვილის მუნიციპალიტეტის
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
ისტორია-მხარეთმცოდნეობის კაბინეტი

იგორ კეკელია

მარტვილის რაიონის ოიკონომია

პირველი გამოცემა

ქუთაისი, 2010

წიგნში წარმოდგენილია მარტვილის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა მხოლოდ იმ ჯგუფის ლინგვისტური, ექსტრალინგვისტური და მოტივაციური ანალიზი, რაც 1987 წელს გამოცემულ „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონშია“ შესული. თითოეულ ტოპონიმ-სტატიაში მკვლევარი მიუთითებს სახელდებული ობიექტის ლექსიკურ, ფონეტიკურ თუ სხვა სახის ვარიანტს(ან ვარიანტებს), სახელწოდების ინფორმატორიულ ვერსიას. ამასთანავე, სადაც შესაძლებელი იყო, წარმოდგენილია ისტორიულ წყაროთა მონაცემები, ავტორის მეცნიერული კომენტარებითურთ.

მონოგრაფიაში მარტვილის რაიონის მრავალი ოიკონიმის ეტიმოლოგია, სახელწოდების წარმომავლობის ობიექტური მიზეზები, მკვლევრის მიერ ახლებურადაა გააზრებული.

რედაქტორი:

პაატა ცხაღაია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები:

თამაზ ბერაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი.

ვენერა თვალაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

პასაბერ ქვიციანი, ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დავით ჭითანაშვილი, ისტორიის დოქტორი.

ი. კეკელია, 2010

გამომცემლობა შპს „ენციკლოპედია ქუთაისი“, 2010.

ქუთაისი, რუსთაველის გამზ.3, ტელ: 893-305-708

e-mail: axalikutaisi@mail.ru

ISBN 978-9941-9162-2-9

გამოჩენილი მწერლისა და ენათმეცნიერის,
პროფესორ ბურამ ბედოშვილის ნათელ
ხსოვნას ვუძღვნი ამ წიგნს.
ავტორი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

გეოგრაფიულ ობიექტთათვის შესაფერისი სახელის დარქმევა უშორესი დროის მოვლენაა და ეს პროცესი სახელწოდების წარმოშობის აუცილებლობით, ისტორიული კანონზომიერებით იყო ნაკარნახევი. ხალხის მიერ ბუნებრივსა თუ ხელოვნურად შექმნილ ობიექტებზე შერქმეულმა სახელებმა საუკუნეებსა და ათასწლეულებს გაუძლო. ტოპონიმებს დამწერლობის წარმოშობამდე ხმარობდნენ. საისტორიო და ლიტერატურული წყაროები, ეპიგრაფიკული და ფრესკული წარწერები, სიგელ-გუჯრები და კარტოგრაფიული მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გეოგრაფიულ სახელწოდებებზე. ტოპონიმებში მოცემული კონკრეტული შინაარსი უაღრესად საინტერესოა ქვეყნის ისტორიულ-ეთნოლოგიური თავისებურებების, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, ტრადიციული კულტურის, სამეურნეო ყოფისა და სხვა საკითხების შესასწავლად.

ტოპონიმი, როგორც ადამიანის განუყრელი თანამგზავრი, თაობიდან თაობას ზეპირმეტყველების ან წერილობითი გზით გადაეცემა და გარკვეულწილად ერთგვარი ორიენტირის ფუნქციას ასრულებს. „ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე – წერდა პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, – მასში უხილავი შემოქმედის ფუნჯით არის აღბეჭდილი ამა თუ იმ დასახლების ზოლში მცხოვრები ხალხისა თუ ტომის ნაკვალევი. ამიტომ იგი ისევე ძველი და გამძლეა, როგორც თვით ენა, მისი მთავარი საკომუნიკაციო ერთეული – სიტყვა... ტოპონიმია სიტყვის ენის ერთი პირველი ლექსიკური ინვენტარია. არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკას არ ამდიდრებს ეს მასალა“ (ღლონტი, №4, 1967, გვ. 67).

ოიკონომი ტოპონიმის ერთ-ერთი სახეობაა და ნებისმიერი დასახლებული პუნქტის (ქალაქის, დაბის, სოფლის, სოფლის შიგნით უბნებისა და მიკროუბნების, აულის...) სახელწოდებას აერთიანებს, ოიკონომიბა ოიკონიმთა ერთობლიობაა, ოიკონომიბა კი – ტოპონომიკის ქვედარგი, ანუ მოძღვრება დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა წარმოქმნა-განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ მარტვილის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა მხოლოდ იმ ჯგუფის ლინგვისტურ, ექსტრალინგვისტურ და მოტივაციურ ანალიზს, რაც 1987 წელს გამოცემულ „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესული. თითოეულ ტოპონიმ-სტატიაში მითითებულია დასახლებული პუნქტის ლექსიკური, ფონეტიკური თუ სხვა სახის ვარიანტი (ან ვარიანტები). შეძლებისდაგვარად მითითებულია სახელდებული ობიექტის ლოკალიზაცია, სახელწოდების ამოსავალი მნიშვნელობის ან სახელდების ხალხური მოტივაცია (ინფორმატორისეული ვერსია). ამასთანავე, სადაც შესაძლებელი იყო, წარმოდგენილია ისტორიულ წყაროთა მონაცემები, ავტორის მეცნიერულ კომენტარებთან ერთად.

წიგნში შევეცადეთ ჩვენ მიერ მოძიებულ ხალხურ გადმოცემებთან ანუ ინფორმატორისეულ ვერსიებთან ერთად, წერილობითი წყაროებისა და საკითხის ისტორიოგრაფიის გათვალისწინებით, გაგვეანალიზებინა და შეგვეჯამებინა თანამედროვე სპეციალისტთა ნაფიქრალ-ნააზრევი დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა წარმომავლობის ობიექტურ მიზეზებზე-გამოკვლევაში მოცემულია ერთგვარი სურათი იმისა, სადღეისოდ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინტერესი ტოპონომიკური კვლევაძიებისადმი. მრავალი ოიკონიმის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არსებული შეხედულებების ახლმბჰრი ბაზარების ცდა, ავტორის ეტიმოლოგიურ-ეტიოლოგიური კვლევისა და დაკვირვების შედეგები, რაც წინამდებარე მონოგ-

რაფიაშია მოცემული, ბუნებრივია, სპეციალისტებისა და მკითხველთა მიერ ვერ იქნება სრულად გაზიარებული. ზოგმა შესაძლოა არასაკმარისად მიიჩნიოს ოიკონიმათა ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ წარმოდგენილი დასაბუთება, მაგრამ საკითხისადმი ასეთი კრიტიკული მიდგომა, ვფიქრობთ, გამართლებულია იმდენად, რამდენადაც დაინტერესებულ პირს დაეხმარება ჭეშმარიტების დადგენასა და ამასთანავე, ავტორის მუშაობისადმი კეთილი განწყობილების ფონზე საკუთარი კრიტიკული დამოკიდებულებისა და შენიშვნების გამოთქმაში.

აქვე საჭიროდ ვთვლით, ორიოდ სიტყვა ვთქვათ სპატიოსნის ისტორიობრაჰიის გარშემო. მარტვილის რაიონის ოიკონიშია ადრეც არაერთი მკვლევრის დაინტერესების საგანი ყოფილა. რაიონის ტოპონიმიის პუბლიკაციის მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს გელიავას მიერ 1977 წელს გამოცემული წიგნი-„აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“ (რედაქტორი აკად.სერგი ჯიქია, რეცენზენტები: პროფ. ალექსანდრე ლლონტი, პროფ. გრიგოლ ზარდალიშვილი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი ხშირ შემთხვევაში გეოგრაფიულობიექტთა სემანტიკის არაადამაჯერებელ ახსნას გვთავაზობს, რაც რასაკვერველია, სათანადო კრიტიკულ რეაგირებას საჭიროებს. თავის დროზე ამ საკითხზე მიუთითა კიდევ ენათმეცნიერმა პაატა ცხადაიამ (იხ. ცხადაია, I, 1999, გვ. 5). ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მსჯელობა მოცემულია აგრეთვე გელიავას გამოკვლევებში- „ჭყონდიდი-მარტვილი(ისტ. მიმოხილვა)“ (1962წ.), „ჭყონდიდი-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა“ (1969წ.), „აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი“ (1971წ.), „სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში-I“ (1996წ.) და სხვ.

მეცნიერული სიღრმითა და ანალიზით გამოირჩევა პროფ. პაატა ცხადაიას ნაშრომები კოლხეთის ტოპონიმიის საკითხებზე. მათ შორის მეტად საგულისხმოა წიგნები: „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი“ (1985წ.), „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმი-

დან-1“ (1999წ.), „ათასი მეგრული ტოპონიმი“ (2005წ.), სერით - „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“- გამოცემული ოთხი წიგნი; აგრეთვე ცალკეული გამოკვლევები, რაც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა კრებულებსა და ჟურნალებში, და მისივე „გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში“ (2000 წ.), სადაც სალექსიკონო სტატიასთან ავტორის მიერ დასახელებულია გვარისაგან წარმოქმნილი სოფლისა და უბნის სახელები (ძირითადად) და მიკროოიკონიმთა ლოკალიზაცია სოფლის დასახელებით.

ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ოიკონიმთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები განხილულია ჩვენი ავტორობით გამოცემულ წიგნებში: „წარსულის ჩრდილქვეშ“ (2005 წ.), „ბანძის ტოპონიმი“ (2007 წ.), „აბელათის ტოპონიმი“, „ნაგვაზუს ტოპონიმი“ (2008 წ.), „მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (2008 წ.), „მარტვილის ტოპონიმი“ (2009 წ.); „ათასი ჭყონდიდური ტოპონიმი“ (2009); აგრეთვე ნაშრომებში: „სამეგრელოს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის“ (ჟურნ. „ორნატი“, №3-4 (11-12, 2005), „მარტვილის რაიონის ოიკონიმთა ერთი ჯგუფის საკითხისათვის“ (გაზ. „მარტვილი“, №12,13, 2008), „მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ოიკონიმის წარმომავლობისათვის“ (კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, 2010; თანაავტორი დ. ბჟალავა), „ძიებანი მარტვილის მუნიციპალიტეტის ოიკონიმიდან“ (ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №10, 2010), „მარტვილის რაიონის ზოგიერთი კომონიმის ეტიმოლოგიისათვის“ (კრ. „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“, ტ. II, 2010), „თამაკონისა“ და „თარგამულის“ ისტორიკო-ეტიმოლოგიისათვის“ (გაზ. „მარტვილი“, №5, ივნისი, 2010), „ლე-ე კონფიქსის პროლექტიულობისათვის მარტვილის რაიონის ოიკონიმიში“ (გაზ. „მარტვილი“, №7, 8, 2010) და სხვ.

მარტვილის რაიონის ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს სათანადო ადგილი ეთმობა ივ.ჯავახიშვი-

ლის, ე. თაყაიშვილის, ნ. ჯანაშიას, ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, ი. ყიფშიძის, ს. მაკალათიას, ზ. ჭუმბურიძის, თ. ბერაძის, ი. მაისიას, ნ. წულეისკირის, პ. ზაქარაიას, ნ. ლომოურის, ვ. ლექვიანაძის, გ. გვინჩიძის, თ. კაპანაძის, ვლ. ალფენიძის, ო. ქაჯაიას, ნ. თოფურიას, მ. კვიციანიას, დ. კილასონიას, ა. ჩიქვანაიას, გ. ფარულავას, ო. ხუხუას, გ. და დ. ბასილაიების, ი. და შ. ჯღარკაეების, მ. ბერიას, ე. კალანდიას, ბ. კუდავას, დ. ჭითანავასა და სხვათა, დიდი თუ მცირე მოცულობის გამოკვლევებსა და წერილებში. ყველა მათგანის თვალსაზრისი და ზოგიერთი საკითხის მიმართ ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულება წიგნში თავის ადგილზე სათანადოდაა გადმოცემული.

აქვე ორიოდ სიტყვით შევხებით საკუთარ (კერძოდ, გეოგრაფიულ) სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხს — ფუძეკვეცადობას. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეგრული ლექსიკონში — გვხვდება სწორედ ასეთი დაწერილობის ფორმები (ლევანანე, ლეკუდელე, ლეპატარავე, ლესხულუხე, ლექობალე...), იმ თვისებების ჩვენებით, რასაც ამჟღავნებს სახელწოდების ფუძე ბრუნებისას (ლევანანესი, ლეკეკელესი, ლეკუდელესი...).

— ეზე ფუძედაბოლოებული ლევანანე, ლეკეკელეს — მსგავსი იდენტური წარმოების გეოგრაფიული სახელწოდებანი ნათესაობითში ჩვენ მიერ წარმოდგენილია ლევანანის, ლეკეკელის... ფორმით, მაგრამ დაშვებულია გამონაკლისიც, კერძოდ, ლებაჩიე, ლეკვანტალიე, ლეჟვანიეს ტიპის ოიკონიმებში ე რჩება სახელის ფუძის ბრუნებისას ნათესაობითში; ე.ი. ვწერთ ლებაჩიესი, ლეკვანტალიესი, ლეჟვანიესი, ანუ იმ სახით, რაც „გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონშია“ მოცემული და არა ლებაჩიის, ლეკვანტალიის..., ვინაიდან ისინი ფუძეუკვეცელი სახელებია. პროფ. გიორგი შალამბერიძისა და ჟორა სორდიას მოსაზრებით, უნდა ვწეროთ და ვთქვათ „ლეძაძამის“, „ლეძაძამით“ (და არა: „ლეძაძამეს“, „ლეძაძამეთი“...), „რამეთუ

ასეთი (და ანალოგიური წარმოების) ფორმები ქართული ენის ბუნებიდან მომდინარე, მოქნილ ლექსიკურ ერთეულებად გვესახება იმ მხრივ, რომ ისინი გადმოსაცემ შინაარსს კი არ აბნელებენ, არამედ, პირიქით, სხარტად და ნათლად გამოხატავენ და ამავე დროს, რაც მთავარია, შედარებით უკვეცეულ სახელებთან, აქვთ მეტი ემოციური სიძლიერე, ჟღერადობა და სახოვნება (რიტმულ-მელოდიკური თვალსაზრისით), ანუ, სხვანაირად თუ ვიტყვით, კეთილხმოვნება...“ (იხ. სორდია, 2006, გვ. 88 – 89).

ამასთანავე, მიჩნეულია, რომ –ავა დაბოლოების მქონე გვარებისაგან მიღებულ სოფლის სახელწოდებებში, რომლებსაც სა–ო ან მეგრული ლე–ო და ნა–ო პრეფიქს–სუფიქსები აწარმოებს, შ, როგორც ფუძისეული თანხმოვანი, უნდა დარჩეს: ნაგვაზავო, საბერულავო, ლეხანდრაო, ნახარებაო, ნახურცილაო (და არა: ნაგვაზაო, საბერულაო, ლეხანდრაო, ნახარებაო...) (იხ. ორთოგრ. ლექსიკონი, 1987, გვ. 8 და იქვე მითითებული ლიტერატურა). მაგრამ საქმე ისაა, რომ მსგავსი წარმოების სოფლის სახელებში ვ ყოველთვის როდი წარმოადგენს ფუძისეულ ხმოვანს. მაგალითად, ნაბმბპრაპპოს ამოსავალია გვარი გიგიბერია; ბანძის თემში შემავალი ერთი სოფლის, (რაც აბაშის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს), სახელწოდების წარმოქმნის განმსაზღვრელი პატარაიას გვარის გარკვეული რაოდენობის კომპაქტური დასახლებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ წარმოდგენილია ლეპატარაპე (ლეპატარაპესი) ფორმა. „ამ ტოპონიმისათვის, – წერს პროფ. პ.ცხადაია, – ფაქტობრივად ამოსავალი უნდა იყოს გვარი პატარავა (ასეთი გვარი კიდევ არის გავრცელებული გურიაში), მაგრამ ფაქტია, რომ ლეპატარაპეში მოსახლეობენ პატარაიები და საკუთრივ მათს უბანს ეწოდება ეპატარე/პატარაიამ მუხური“ (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 120); ასევე „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ გვხვდება ნახ უნაპო და ნაჰახაპო ფორმები, მაშინ, როცა ეს ოიკონიმები არაა მიღებული –ავა დაბოლო-

ების მქონე გვარებისაგან. წინა ვითარების აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელის – ნახ უნაპო ს ფუძეს წარმოადგენს გვარი – ხ უხ უნი (ნა–ხუხუნ–უ → ნახუნუ, პაპლოლოგიის გზით), ხოლო ნაჰახაპო ს ამოსავალია ჰახა უას ან ჰაპახიას გვარი. ტალერის თემში შემავალი სოფლის სახელწოდება ლექსიკონში წარმოდგენილია ნობ ულ ევი–ს ფორმით, სადაც ამოსავალია გვარი ბ ულია.

მაშ, ასე, უნდა ვწეროთ: ნაბმბერ უ (გიგიბერიას ვარიანტი გეგებერიას ფორმით გვხვდება 1455–1474 წლებით დათარიღებულ საბუთში, ხოლო გვარი გიგიბერია პირველად მოხსენიებულია შეწირულების წიგნში, რაც XVII ს. ბოლო მეოთხედით თარიღდება), ლეპატარი, ნახ უნუ, ნაჰახ უ, ნობ ული...

ყველა სხვა შემთხვევაში ოიკონიმები წარმოდგენილია საენათმეცნიერო ლიტერატურაში მოცემული პრინციპების დაცვით. მაგალითად, ლეხანდრაო, ნაგვაზაო, ნამიკოლაო, საბერულაო; მიუხედავად სოფლების სახელწოდებათა მსგავსი დაწერილობისადმი ჩვენი ასევე სკეპტიკური დამოკიდებულებისა.

ნაშრომი ავტორის მრავალწლიანი შრომის ნაყოფია, რაც მოკრძალებით გამოგვაქვს სამზეოზე, იმის ღრმა რწმენითა და სურვილით, რომ მშობლიური მხარის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და ონომასტიკის პრობლემებით დაინტერესებულ პირს გარკვეულ სამსახურს გაუწევს.

ოქტომბერი, 2010 წ.
მარტვილი, ბანძა

აბელატი

სოფელი და თემის ცენტრი აბაშისა და ტარჩენის ხეობებში, ვაკესა და ბჟერის მთისკალთებზე. სოფელი მოხსენიებულია ნ. დადიანის ნაშრომში, რითაც ირკვევა, რომ იმერეთის მეფის-სოლომონ მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში გრიგოლ კაციას ძე დადიანის დახმარების მიზნით აფხაზეთიდან ლაშქრით წამოსული ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შარვაშიძე „მოვიდა და დაებანაკა აბელათს“ (იხ. დადიანი, 1962, გვ.192). ბჟერის მთაზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნაშთი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსის- აგათია სქოლასტიკოსის (ახ.წ.VI ს.) მიერ მოხსენიებული ონოგურისის ციხე დღევანდელი აბელათია (ბჟერის მთის უწინდელი სახელწოდების-უნაგირას მიხედვით. უნაგურისი ← უნაგირა(სი) (იხ.ზაქარაია, III, 1993, გვ. 52). ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანისეული პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის(1831წ.) მიხედვით აბელათი მარტვილის მაზრაში შემავალი სოფელია(იხ. მუნარგია, 1939, გვ. 113). XX ს. დასაწყისში აბელათში უცხოვრიათ აზნაურ ჯინორიძეებს. აქვე ჰქონიათ მამულები თავად მიქლაძეებს.

სოფლის სახელწოდების შესახებ რამდენიმე განმარტებაა ცნობილი. ხალხური ეტიმოლოგია: „ამ სოფელში ბანძელები ჩეხავდნენ ტყეს, რასაც კვესით და აბელით წვაევდნენ და დარჩენილ ნახშირს ჩელტიანი ურმებით სამჭედლოებისათვის ეზიდებოდნენ. ამიტომ სოფელს აბმელითი, აბმელატი უწოდესო“. სხვა განმარტებით-აბმეში დიდ(ი) თი „აბეს დიდი ოჯახის სამოსახლო, მისი „მახორობა“, მხარეთმცოდნე გ. ელიავას მოსაზრებით, სოფლის სახელწოდება მომდინარეობს აბშელაშთი-დან, რაც აბუდას(პიროვნების სახელია) საცხოვრისს ნიშნავს(იხ. ელიავა, VII, 1966, გვ. 42).

სავარაუდოა (ბ)აბმელატი „გაბელა(ვა)ს ოჯახი, შთამომავლობა; გაბელას საცხოვრისი“ (იხ. კეკელია, „მარტვილი“, 4.10, 2000, გვ. 2; მისივე, „მახარია“, №8, 2001, გვ. 16; მისივე, 2008, გვ. 8; მისივე, იემ, XI, 2009, გვ. 416-417). თი(ი) მეგრულში ოჯახს, სამოსახლოს ნიშნავს(იხ. ფიფია, 1999, გვ.21). აბელათში ჩაწერილია მსგავსი წარმოების მიკ-

როტოპონიმები: იზღორეთი-დასახლება ლემიქავეში, ქვალ-
რის მარჯვენა ნაპირას, სერზე. იქვეა იზღორეთიშ ნაოხ-
ვამუშ//მისარონიშ ოხვამემ-ნაეკლესიარი იზღორეთში, სა-
დაც მდგარა წმ. გიორგის ხის ეკლესია; მარსიეთი//მასნი-
ეთი-სერი იზღორეთის სამხრეთით, შაფესა და ქვალრას წყალ-
გამყოფი; ჩაშპათი-ტყიანი ხეობა ლემიქავეში; ხ შპათი-ტყე-
ბუჩქნარიანი ფერდობი ქვალრის სათავესთან, ღურჯუმის აღმო-
საველეთით (იხ. კეკელია, „მახარია“, №8, 2001, გვ.16; მისივე,
იქმ, XI, 2009, გვ. 422, 423, 428)...

გამორიცხული არაა, აბქლაც პირსახელი ყოფილიყო. მა-
შასადამე, აბქლაცი „აბქლას ოჯახი, შთამომავლობა; აბქლას
მოდგმის საცხოვრისი“.

ა ლ ე რ ტ ი

სოფელი კიწიის თემში; ნოლის მიკროუბანი. მარტვილიდან
22 კმ. აშორებს და ზ.დ. 220 მ-ზე მდებარეობს.

ოიკონიმ „ალერტის“ შესახებ მხარეთმცოდნე გ. ელიავეს მი-
ერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ეკლესიის მიდამოებში
დაბანაკებული სპარსელთა ლაშქრის შიშით გამოქვაბულში შე-
ხიზნულებმა სამალავს გარეთ დარჩენილ რამდენიმე კაცს უყვი-
რეს: ათაში ალერტი „ასე გამოექეცი მალულად მტერსო“
(1977, გვ. 152).

იოსებ ყიფშიძე აღნიშნავდა, რომ ალერტი „ალავერდის“ შემ-
ცირებული ფორმა უნდა იყოს: „ალავერდი, ალერტი სოფლის
სახელწოდებაა სენაკის მაზრაში“, – წერს იგი (Кипшидзе,
1914, стр. 47). ბლალოჩინ სამსონ ბერიძის „უწყებაში“, რაც
1860 წლით თარიღდება, ვკითხულობთ: „ალავერტის წ-ის
გიორგის ეკლესია, გუმბათიანი, ძლიერ პატარა, რიცხვისამებრ
მრევლთა, კანკელი აქვს ქვაზე, ძველის ჩვეულებისამებრ აქვს
მხოლოდ სამეუფო კარები. ეკლესიას ამასა სასოებენ გარეშე
მცხოვრებნიცა და შემოუდის დიდძალი შემოსავალი, გარნა სამ-
ღვდელო მსახურნი ხმარობენ თვისთა სასარგებლოდ. ამ სამ-
რევლოს ეკუთვნის ს. ალავერდი, მასშინა მცხ. კნი(ა)ზნი 7,
აზნაური-69, საბატონო-152 და სრულიად 228“ (იხ. საქარ-
თველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივი).

მკვლევარი ო.ხუხუა მიიჩნევს, რომ „ალერტი“ მომდინარეობს ალმობა სიტყვისაგან, რაც მეგრულში „შეწყალებას“, პატიების, შებრალების მიღებას ნიშნავს, ე.ი. ავტორი ფიქრობს, რომ ალერტი ალების დახსნის გამოთხოვის ადგილია (ხუხუა, 1966).

ალერტის წარმომავლობის საკითხს შეეხო მწერალი ლადო ალფენიძე, თავის წიგნში – „სფინქსის ღიმილი“, სადაც აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი უძველესი კოლხური ხატის სახელწოდება „ალერტი“ შესაძლებელია უკავშირდებოდეს ინგლისურ „ალერტ“–ს, რაც ოქსფორდის, კემბრიჯის, ჰარვარდის აკადემიური ლექსიკონების მიხედვით იგივეა, რაც „განგაში“, „სიფხიზლე“, „მზადყოფნა“. მწერალი არ გამორიცხავს „მედეასა“ და „ალერტს“ შორის ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ კავშირსაც, იმდენად, რამდენადაც ინგლისური და კოლხური „ალერტი“ ეგვიპტური ენის სიტყვას – „მდს“ („მედეს“) შეესაბამება: „განგაში“ (ინგლ. „ალერტი“) მართლა უნდა გამოეწვია მედეას გატაცებას პრეისტორიულ კოლხეთში. ამაზე მეტყველებს მედეას ძმის აფსირტეს თავდასხმა ხომალდ „არგოზე“ და მედეას ძმის დაღუპვა დის (ნახევარდის) გამტაცებლებთან საზღვაო ომში... შესაძლოა, „ალერტის ხატი“ მედეას პრობლემასთან კავშირში აღმოჩნდეს, ინგლისური ალერტისა და ეგვიპტური „მდს“ („მედეს“)–ს მეშვეობით“.

დ.ჭითანავას მოსაზრებით ამ ტოპონიმში ორი კომპონენტი გამოიყოფა – ალნი, ე.ი. ცეცხლი და მრტნი; მაშასადამე, „ალერტი ნიშნავს „ცეცხლოვან ეტლს“, რაც ზეციურ ღვთაებასთან ასოცირდებოდა. მოგვიანებით, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, მას წმ. გიორგი შეენაცვლა. თუმცა ხალხმა თეონიმი მაინც შეინარჩუნა და ცეცხლოვანი ეტლით მავალი ღვთაების სახელი უწოდა იმ გეოგრაფიულ ობიექტს, სადაც ააგეს ჯერ ხის, მოგვიანებით – წმ. გიორგის გუმბათიანი, ქვის ეკლესია.

დავით ჭითანავა „ალერტს“ მნათობ ღვთაებად მოიაზრებს და დასაშვებად მიაჩნია მისი დაკავშირება ცის ღმერთ „ჟინი ანთართან“ ანუ „აფთართან“. მრტნი ანუ ეტლი ცის შიგნით მოქცეული რომელიღაც პლანეტა ანუ ვარსკვლავი(მნათობი) უნდა ყოფილიყო, რაც ქართველთა წინაპრების თაყვანისცემის ობი-

ექტს წარმოადგენდა განვითარების გარკვეულ საფეხურზე. მკვლევარი დაასკვნის, რომ ალ-მრტი იგივეა, რაც „კაშკაშა, მანათობელი ვარსკვლავი“, სადაც ალ- თავსართი დამოუკიდებელ სიტყვად და მეგრული ალზ და ქართული ალნი-ს იდენტურად ესახება. ამდენად, დ.ჭითანავას ვარაუდით ალგ „ცეცხლის მნათი ნაწილის, ცეცხლიდან ანადენის-სიკაშკაშის“ აღმნიშვნელი უნდა იყოს(ჭითანავა, 2001, გვ. 116).

ალ- სიტყვა ეტლის, პლანეტის-ვარსკვლავის სიკაშკაშის განმსაზღვრელია; მაშასადამე, თონიში ალ-მრტი უფსკრულ-ბნელეთის, ქვესკნელის ღმერთია, რომელიც განაგებს ღამის სიბნელეს და კაშკაშა, მანათობელი ვარსკვლავების დახმარებით ადვილად ამარცხებს ბოროტ, ღემონურ ძალებს (ჭითანავა, იქვე, გვ. 117).

დ. ჭითანავას მიერ მოძიებული საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ძმებად მიჩნეულ ყულის, ილორის, ალერტისა და უგურყელის ხატ-სალოცავებს შორის ილორი და ყული უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ალერტის ხატ-სალოცავი, რაზეც ის გარემოებაც მიანიშნებს, რომ ეს უკანასკნელი „ყულის ალერტად“ და „ილორის ალერტად“ იწოდებოდა (ჭითანავა, 2001, გვ. 119).

პატივცემული მკვლევრის მოცემული დასკვნა დაზუსტებას საჭიროებს, იმდენად, რამდენადაც ზუგდიდის მუზეუმში დაცული 1871 წლის „სამაიორატო მამულის“ აღწერის მასალების მიხედვით, სენაკის მაზრაში ნოღელი დადიანების საუფლისწულო სოფლად, ნოღასთან, კურზუსთან, ლეგოგიესთან და ნაფიჩხოუსთან ერთად მითითებულია ალმრტის ილორი (და არა: ილორის ალერტი)(იხ. ჯღარკავა, „მაცნე“, 1970, №6, გვ. 79; მისივე, 1970, გვ. 233).

ამდენად, ალერტი წარმართობისდროინდელი სალოცავი ყოფილა. მისი სახით თაყვანს სცემდნენ მნათობ ღვთაებას და მითრასთან, როგორც სინათლის ღვთაებასთან, მისი გაიგივება შესაძლებელია, ვინაიდან მითრა „ამ ციურ ეტლთა ანუ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით ბოროტ ძალებს ებრძვის“ (ჭითანავა, იქვე, გვ. 119).

ალერტის ხატ-სალოცავები სამეგრელოში სხვაგანაც იყო: ალერტკარი (გრიგოლიში) სოფელი და სოფლის თემია ყულიწყარის ხეობაში, სადაც დგას ალერტის წმ. გიორგის ეკლესია (ზუგდიდის რ.)

ალერტის მნათეები გვარად ანთელავები იყვნენ, რადგან გადმოცემა ალერტის ხატის აფხაზეთიდან ჩამოტანას ამ გვარს მიაწერს. ალერტობა სცოდნიათ ჩხოროწყუს რაიონის სოფლებში - ზუმსა და თაიაში (კვირტია, 2001, გვ. 132).

ვ. ბერიძე მიუთითებს საღვთო სალოცავს **ალორტობის** ფორმით, ხოლო ო.ქაჯაია აღნიშნავს, რომ **ალორტობა** იგივეა, რაც ალერტობა (IV, 2009, გვ. 33).

ალერტობა სცოდნიათ სოფ. ლეგახარეში (მუხურის თემი), სოფლის სამხრეთით, ბორცვზე მდგარ ეკლესიაში, რისი ნანგრევებიცაა შემორჩენილი. მ. კვირტია ალერტის ხატს მიუთითებს სენაკის რაიონის სოფ.ფოცხოში (2001, გვ. 132). ვფიქრობთ, რომ ეს იგივე მარტვილის რაიონის სოფ.ალერტია,რაც ფოცხოს საზღვარზე მდებარეობს. **ალერტხარჩილი** ეწოდება აგრეთვე ბორცვს ქ.წალენჯიხაში(იხ. ცხადაია, I, 2004, გვ.1 4).

ალერტის ეკლესია უძველესი ნაგებობის ნანგრევებზეა აშენებული. გადმოცემით, ალერტის, ილორისა და ყულის წმ. გიორგი ძმებად მიაჩნიათ. ალერტის ეკლესიაში ჰქონდათ ჯინჯიხატი (ძირის ხატი, გვარის სალოცავი) ბოკუჩავებს, პერტაიებსა და ჩიჩიბაიებს (ადგ. გამოთქმით: ჩაჩაია). სოფელში პატარა საჯვარისა და ხის ეკლესიის აშენება ბიჭვინტიდან ჩამოსულ პერტაიებსა და ჩაჩიბაიებს მიეწერებათ. მათ ყელზე შეუბამთ ილორის წმ. გიორგის ნაწილი და აქ, ალერტის საჯვარეში დაუსვენებიათ (მაკალათია, 1941, გვ. 358).

ალერტის წმ. გიორგის ეკლესიაში, ყოველწლიურად, 6 მაისსა და 23 ნოემბერს, **ალერტობის** (იგივე გიორგობის) დღესასწაული აღინიშნება. სულით ავაღმყოფების, ბნელიანებისა და საშარდე ბუშტის ავაღმყოფობით შეწუხებულთა განკურნების მიზნით აქ იცოდნენ **ხატიშა ითონჯირაშა** „ხატთან დაწოლა“, ღამისთევა და მეხატულის (მნათეს) მიერ ხატის წინ საწირ – სანთლებით დამწყობობა, რაც აღწერილი აქვს პროფ. სერგი მაკალათიას (1941, გვ. 359 – 360).

მწერალ ნოდარ წულეისკირის დაკვირვებით ალერტობა **ალერტის** დღესასწაულს წარმოადგენდა; ალერტის ძირი **ალერტი** უნდა იყოს, რაც სულხან-საბას განმარტებით „ნელი

თივაა“, ხოლო ა.მაყაშვილის მიხედვით იგივეა, რაც „იონჯა“ (იხ. წულუისკირი; 1987, გვ. 150).

„ალერტის“ ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს ალარდნი – სალოცავი ოსეთში და შელარდნი – მთვარის ღვთაება ურარტუში (იხ. მელიქიშვილი, 1961, გვ. 110).

საპალმრტო მხკპამერი „საალერტო სალოცავი“ იცოდნენ ოჯახებშიც. წლის დასაწყისში ოჯახის დიასახლისი სახლში დააყენებდა ერთ ვარიას, რის ნამრავლსაც ალერტობას დაკლავდნენ. დიასახლისი ამ დღისთვის გამოაცხობდა კვერებს, რასაც, შემწვარ ქათმებთან ერთად, ხონჩაზე დააღაგებდა და კერიასთან დაჩოქილი წმ. გიორგის შევედრებოდა ოჯახის მფარველობას. ძირითადად კვერცხდაუდებელ ვარიებს სწირავდნენ. საალერტო ლოცვამდე ეკლესიის ეზოში გაუშვებდნენ მამლებს, მშვილდის ქვეშ სამჯერ მუხლიჩოქით გაივლიდნენ და შინ მობრუნებულნი ლოცულობდნენ.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ალერტის სალოცავისთვის ცხენის შეწირვაც სცოდნიათ. ხატოვანი გამონათქვამი ალმრტნიშ ცხენიშორო ირქამუშუ „ალერტის ცხენით იკრიჭება, სწორედ ამ ჩვეულებას ასახავს. ეს გამოთქმა ჩხოროწყუს რაიონის სოფ. პირველ ლესიჭინეში ჩაუწერია ენათმეცნიერ პაატა ცხადაიას, სათანადო განმარტებით: სალოცავისთვის შეწირულ ცხენს ნიშანს დაადებდნენ, რაც იმას მიანიშნებდა, რომ ცხენის დასაკუთრება და გამოყენება აკრძალული იყო. ზამთრის ყინვა–სიცივითა და უჭმელობით შეწუხებული ცხენი კბილდაკრეჭილი დადიოდა და ბოლოს კიდევ უნდა მომკვდარიყო. პ.ცხადაია მიიჩნევს, რომ ფრთიანი ფრაზა – ალერტნიშ ცხენიშორო ირქამუშუ, მითრაიზმის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ცხენი ღვთაება მითრას ერთ–ერთი წმინდა ცხოველი იყო, ხოლო სამეგრელოში ფართოდ იყო გავრცელებული მირსას, მისრას, მისარონობის კულტი (ცხადაია, IV, 2008, გვ. 11–12). მირსა//მისრა საქონლის ღვთაება იყო, რომლის პატივსაცემად თებერვალში, დიდმარხვის დაწყებამდე, ხუთშაბათ დღეს იმართებოდა დღესასწაული მირსობა//მისარონობა. ამ დღეს მირსას სწირავდნენ საგანგებოდ გამოზრდილ ღორს – ომირსეს (იხ. მაკალათია, 1941, გვ. 301 – 307).

ალერტი ეწოდება წმ. გიორგის ეკლესიას ნაგებერუში, სადაც, ზოგიერთი ცნობით, 13 იელისს იმართებოდა „ალერტობა“.

ოდიშ-ლენხუშის დავით დადიანისეული აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ალერტი ჯვარის მაზრაში შემავალი სოფელია.

1904 წლის აღწერის მასალების თანახმად ალერტში მამულებს ფლობდნენ აზნაური ბოკუჩავები, მხეიძეები, ჩაჩიბაიები და ჯაიანები. „სამაიორატო მამულის აღწერის“ მასალებში, რაც 1871 წლით თარიღდება, მოხსენიებულია „ალერტის ილორი“ (იხ. ჯღარკავა, 1970, გვ. 233).

ბაღდა

„საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით ბაღდა სოფლების – პირველი ბაღდაის, მემორე ბაღდაისა და მესამე ბაღდაის გავრცელებული სახელწოდებაა (1987, გვ. 22). ბაღდა ადგილობრივი და უწინდელი ვარიანტია. სოფელი მდ. აბაშის ორივე ნაპირზე მდებარეობს და გაჭედის თემში შედის.

ბაღდაში დგას ღვთისმშობლის სახელობის ერთნავიანი ეკლესია, რაც აღნიშნულია 1737 წელს შედგენილ „ლიხთ-იმერეთის“ რუკაზე. სოფელი „ბარდა“ მოხსენიებულია აგრეთვე იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში (1962, გვ. 323). 1871 წლის „აღწერის“ მიხედვით ბაღდაში მამულებს ფლობდნენ შხეფელი დადიანები (იხ. ზსიემ, მთავრის ფონდი, № 6494/18; ჯღარკავა, 1970, გვ. 223). 1904 წლის აღწერის თანახმად ამ სოფელში უცხოვრიათ აზნაურ შავდიებს.

მკვლევარ ო. ხუხუას მოსაზრებით ოიკონიმ „ბარდაში“ უნდა გამოიყოს ბარ- ელემენტი, რაც ადამიანის (გვარის, ტომის მეთაურის) ან ადგილობრივი ღვთაების სახელად მიაჩნია და იქვე აღნიშნავს, რომ ოიკონიმის უწინდელი ფორმა ბართა // ბარათი ან ბათა // ბათი უნდა ყოფილიყო, სადაც ბა-//ბარ- გვარის სამკვიდროს, გვარის შთამომავლის აღმნიშვნელია, ხოლო თი „ოჯახის, სახლის, სახლობის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული. მაშასადამე, ო. ხუხუას აზრით,

ბარდა ანუ ბართა//ბართი უნდა განიმარტოს, როგორც „ბას ოჯახი, ბას სამკვიდრო, სამფლობელო“ (ხუხუა, XVII, 1972, გვ. 19).

იგივე ავტორი სხვა ნაშრომში აღნიშნავს, რომ სოფლის სახელწოდება „ბარდა“-ს ფუძედ უნდა დასდებოდა ანთროპონიმები-ბარდა, ბარდოსი, ბარდავი (ხუხუა, „მარტვილი“, №8, 2009, გვ. 6).

განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა პროფ. ო. ქაჯაიამ. მისი განმარტებით მარტვილის რაიონში მდებარე მთისა და სოფლის სახელწოდების -ბა^ლდა // ბარ^ლდა-ს ამოსავალია ბა^ლდა, რაც მეგრულში „ბორცვს“ აღნიშნავს. მეცნიერის ვარაუდით ბა^ლდა-ლილი იგივე „ბორცვი ღიღია“, ვინაიდან „ლღ>რღ ჩვეულებრივი მოვლენაა მეგრულში“ (ქაჯაია, IV, 2009, გვ. 44).

ოიკონიმის ეტიმოლოგიის შესახებ ორი გადმოცემა არსებობს: 1., „მტრის შემოსევისას სოფლის მოსახლეობას საეკლესიო სიწმინდეები-წიგნები და ჯვარ-ხატები ეკალ-ბარდებში გადაუმაღლავს. ტაძარში ლოცვა რადგან საშიში იყო, მტრისგან დაფარულად ლოცულობდნენ, ჩუმაღ, ბარდებთან დაჩოქილნი“; 2. „ლეჩხუმში ხატი მოუპარავთ და იქ დაუსვენებიათ, სადაც დღეს ბაღდის ღვთისმშობლის ეკლესია დგას. ლეჩხუმელებს ხატი დაუბრუნებიათ. მეორედაც მოუპარავთ ხატი და ბარდში გადაუმაღლავთ. მღევრებს ხატის ადგილსამყოფელისთვის მაინც მიუგნიათ, მაგრამ ახლოს მისვლა ვერავის გაუბედავს, რადგან ხატთან ნათლის სვეტი ყოფილა აღმართული. უფიქრიათ, ამ ხატის ადგილი აქ, ამ ბარდში ყოფილაო და უკან გაბრუნებულან. ღვთისმშობლის ტაძარი სწორედ იქაა აგებული, სადაც ბარდში გადამალული ხატი ესვენაო“ (იხ. კეკელია, ბუღალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 113-114).

როგორც ვხედავთ, ორივე გადმოცემა სოფლის ეტიმოლოგიას მცენარის სახელწოდებას უკავშირებს.

ბარდს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე მნიშვნელობა შეუძენია. სულხან-საბას განმარტებით, ბარდნალი ბარდებშირია(1928, გვ. 35), ხოლო შიშბარდული იგივეა რაც „ბარდით შეფარული“ (იქვე, 390). ქეგლ-ის განმარტებით ბარდი ბუჩქების ან ბალახეული მცენარის ერთმანეთში გარ-

თხმულ-გადახლართული ღეროებია, ხოლო **მკაღ-ბარდი**//
ბარდი-მკაღი იგივეა, რაც ერთმანეთში გადახლართული ეკ-
ლიანი მცენარეები. იმერეთში, რაჭაში, გურიასა და აჭარაში ვა-
ზის, კვახისა და მისთანათა ღეროებსა და ფოთლებს **ბარდს**
ეძახიან. გურიაში ბარდი ეკლიანი მცენარეა, **ეკალ-ბარდია**, ხო-
ლო ა. მაყაშვილის მიხედვით **ბარდი** იგივე მაყვალია (იხ.
ღლონტი, 1984, გვ. 59.). მთიულეთსა და გუდამაყარში **ბარ-**
დალას ეძახიან „ბარდნარს, შამბს“; ა. მაყაშვილს მიაჩნდა,
რომ **ბარდალას** მინდვრის ბარდაა, ხანდურია. გურიაში ბარ-
დის პარალელურად ხმარობენ **ბარდაყვავილი**ს, ხოლო ფშავ-
ში გაუვალ, ეკლიან ჯაგს **ბარდი** ეწოდება (ღლონტი, იქვე,
გვ. 59.). გურიაში მაყვლის ერთ სახეს, რაც ბუჩქად იზრდება და
ტოტები მიწაზე ერთმანეთში აქვს გადახლართული, **ბარდაყ-**
ვალას უწოდებენ (იხ. ჯაჯანიძე, 1977, გვ. 69). მეგრულში
ბარდი, **ბარდი**, **ბარდი** ჰქვია ეკალ-ბარდს, ჯაგნარს.

ქართველურ ენა-კილოებში **ბარდი**- ფუძის ფონეტიკური ვა-
რიანტია **ბურდი**-. ამ ფორმების ძირითადი სემანტიკაა ერთმა-
ნეთში გადახლართვა, არევა (იხ. დადიანი, ქაცარავა, „ქმ“, IX,
2005 გვ. 120, 121).

გ. ელიავას განმარტებით, სოფლის სახელწოდება **ბარდა**
იგივეა, რაც „ბარდნარი, ეკალ-ლიჭისა და მაყვლიანის ბარდნა-
რი“ (ელიავა, 1977, გვ. 129). ასეთივე წარმომავლობისაა ტო-
პონიმი „ბარდონა“—1. ბარდნალი ეკეკეეში გახუშ წყურგილთან (ბან-
და); 2. სამოვარი აბაშის მარცხენა მხარეს, ლევახანეში, ტურემის
სამხრეთით (ბანდა) (იხ. კეკელია, 2007, გვ. 15). **ბარდი**, „ბარდი“
ეწოდება ბარდნალს საპაპასკოში (ქვემო ბარდების თემი, გა-
ლის რაიონი) კურორტ ლებარდის სახელწოდებაც ეკალ-
ბარდთანაა დაკავშირებული (ლე-სვანური პრეფიქსია).

სავარაუდოდ, ბარდა უნდა უკავშირდებოდეს მცენარის სა-
ხელწოდებას (იხ. კეკელია, ბეალავა, „ქო“, IV, 2010, გვ. 114):
ოიკონიმის ოდინდელი ფორმა რომ **ბარდა**, ამას მოწმობს
მეგრული ხატოვანი გამონათქვამიც — **ბარდი** **ჯაქა** „ბალ-
დელი ქაჯი, მთის ქაჯი“ (იტყვიან ზედმეტად თამამ, თავნება
ქალზე, ქალბიჭაზე).

ბანძა

სოფელი და თემის ცენტრი აბაშის მარცხენა ნაპირზე, ზ.დ. 90 მ. მარტვილს 12 კმ-ითაა დაშორებული. ოიკონომიის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით რამდენიმე განმარტება არსებობს: 1. „სოფლის სახელწოდებას ადგილობრივი მოხუცები განმარტავენ ბანძი ძგად (ძბა მეგრულად კიდეს ნიშნავს)“ (იხ. ელიავა, 1969, გვ. 23); 2. სამეგრელოს მთავარს აქ უამრავი ხალხი უნახავს და გაკვირვებია – მუ ხალხი დენობანძუენია თაქ „რა ხალხი ყოფილა (ირევაო) აქ“. „ბანძ-ბრანძ-ბანძლ მეგრული ძირებია და ნიშნავს დავას, აშლას, არეულობას“ (იხ. ჩიქვანაია, 1982, გვ. 68); 2. „უხსოვარი ღროიდან ამ სოფელში იმართებოდა დღეობა. იცოდნენ „ჯვარალა“, „ჯვარობა“ – თავშეყრა, გართობა, რიკტაფელას თამაში. ერთხელ მომღერალი ბიჭი, რომელიც ჩონგურზე უკრავდა და ტკბილად ღიღინებდა, იქვე, ხალხის წრეში მდგარ გოგონასთან მისულა და თვალით უნიშნებია, რომ მასთან ერთად ემღერა, გოგონა დამორცხვებულა და სიმღერაზე უარი განუცხადებია. მაშინ გაკვირვებულ ბიჭს უთქვამს მისთვის – ბან(ი) ძ(ო)მუჩ(ი)ძლ, ბანძძლ (ბანი მომეცი, გოგოვ, ბანი, გოგოვ!), ე.ი. ჩემთან ერთად იმღერეო. ამის შემდეგ სოფელს ბანძა დარქმევია“; 4. „თავად ფაღავას ქორი მოუკლავს, ცაზე ირაოს რომ აკეთებდა. ქორი სახლის ბანზე დავარდნილა. თავადს უყვირია – ბანზე დავარდა, ბანზეო“; 5. „სოფელში ჩამოსულ პირველ მოსახლეს ბანიანი სახლი აუგია და სოფელსაც ბანა-ბანძა ამიტომ ეწოდა“; 6. „შირიანი ხალხი ცხოვრობს ამ სოფელში და ბანძაც ამიტომ ჰქვია. „ბანძი“ არეულობას, შინააშლილობას ნიშნავს“; 7. „ბანძელი ფაღავეები და გაბუნები ცხენის განთქმული ქურდები იყვნენ. ერთხელ თავად ფაღავას ცხენი მოუპარავს. ცხენის პატრონს ერთი ამბავი აუტეხავს – იწრმი ეშბანძლუ, ბანძლი ბეშტახუ (ყველაფერი აურევია, დავა, ჩხუბი აუტეხავს), ე. ი. გაბრაზებულარ. ამიტომ სოფლისთვის ბანძლი, ბანძლ (ბანძა) დაურქმევიათ“; 8. „ბანძელა, ბაძუ კაცის სახელია. ამ სოფელში პირველად ის დასახლებულა. აქედან მოდის გვარები – ბანძავა, ბანძაძე და ბანძელაძე. ხალხური ლექ-

სიცაა – ჩქიმი ბაბუ, ჩქიმი ბაბუ, ბანძას სამართალი ვაძუ. კეკელია მუშ მყარეთ ემერ, შარას გიებანძუ „ჩემო ბაბუავ, ჩემო ბაბუ, ბანძაში სამართალი არ არის, კეკელია თავისი მყარიონით ეგერ, გზაზე დაბლლარძუნობს“ (მთხრ. ნაზი თევდორეს ასული კოკაია–კეკელია, დ. 1940 წ., ს.ბანძა).

ბანძა, ჩვენი აზრით, მეგრული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს **გზაშემსაქარს**, **გზაგასაქარს** (კეკელია, „მარტვილი“, 4.10.2000, გვ. 2). არის ასეთი ხალხური ლექსი: „სო მეულ ჩქიმ(ი) ინგირი სორე მიხურთქინუქენი... მიბურჯანქ დო ზღვაშა მეილ თირ(ე) – გვალაშე გემნაჭვალა. ენოყუნქ სქან რობუს, მუთა გიჩქე გინორთიში, დლასე ვაგაბანძლუ შარა“ (სად მიხვალ, ჩემო ენგურო, სად მიჩხრიალებ... მიგორავ და ზღვაში მიგაქეს თოვლი–მთიდან მონაწვეელი. შენს კალაპოტს მიყვები, არაფერი გეტყობა გადახვევის (არსად გადაუხვევ), არასოდეს გერევა (გეხლართება, გიშტოვდება გზა). ამ ლექსში **ვაბაბანძლუ** იგივეა, რაც „არ გეტოტება (გიშტოვდება, გეხლართება) გზა“. არეულის, ჩახლართულის მნიშვნელობითაა გამოყენებული აგრეთვე გამოცანაში – „უკმაკური კადირი, ეშმაკიში ბანძლირი“ (უკულმართად გაჭედილი, ეშმაკისგან დახლართული).

ბანძლუა, **ბანძლი** „დახლართულის, არეულ – დარეულის“ მნიშვნელობით გამოყენებულია სხვაგანაც: „ქელოჭყაფე გაჭირება ახალგაზრდა ბოშკათეფი! კინოხიშე დოსქელადე საქმე გაკობანძლილეფი (დაწყებულია გასაჭირი, ახალგაზრდა ვაჟკაცებო, ძველი დროიდან დარჩენილა საქმეები დახლართული)“. შდრ.: **მიკობანძლუა** – დავიდარაბი; არევ–დარევა; ბანძლი; „**მიშაბანძლინ**–ი (მიშაბანძლინს) სახელი მიშაბანძლუ(ნ) ზმნისა – ჩახლართვა, რალაცის არევ–დარევა, ხლაფორთი“ (ქაჯაია, II, 2002, გვ. 268, 284).

ო. ქაჯაიას ლექსიკონში „ბანძლუა“ ასეა განმარტებული: **ბანძლუა** (ბანძლუს) – ბლლარძუნი; არევა, ხლართვა. **შარქსო ბანძლუნც**: აია, I, გვ. 20 – უარესად ხლართავს (ბურღავს)... **შარას ბილქბანძლუ**: ქსს, I, გვ. 234 – გზაზე ბლლარძუნობს.; **ძაშის ნიბანძლუ**! „მაფს ნუ ხლართავ!“ (ქაჯაია, I, 2001, გვ. 217).

ამდენად, ბანძა, ბანძი ნიშნავს „განშტოებულ, სხვადასხვა მხარეს მიმავალ გზას (ბობანძი – განასკვეული, დახლართული, არეულ–დარეული, გამოყოფილი ყოველი მხრიდან; ბანძ – „ნასკვი; გზაჯვარედინი; გზაშესაყარი; გზაგასაყარი“); და მართლაც, ბანძა ძველი კოლხეთის ცენტრალურ, ახლანდელი სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში, აბაშის ხეობის გაშლილ ველზე მდებარე სოფელია. ბანძას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა. იგი იყო ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი არქეოპოლის – ციხეგოჯიდან (ეგრისის სამეფოს დედაქალაქი) ლეჩხუმისაკენ, პეტრა–ციხისძირიდან ჭყონდიდისაკენ (მარტვილი) მიმავალ გზებზე (იხ. კეკელია, „ორნატი“, №3–4 (11 – 12), 2005, გვ. 135; მისივე, „მარტვილი“, 4.10.2000, გვ. 2; მისივე, 2007, გვ. 13 – 14; მისივე, „მახარია“, №9 (26), 2002, გვ. 7).

სოფლის სახელწოდების განსხვავებული ეტიმოლოგიის ძიების შემთხვევაში ყურადსაღებია –მძა, –ნძა, –რძა დაბოლოებიან ტოპონიმებზე (ბრეძა, ბანძა, ასპინძა, ბლორძა, წყორძა) დაკვირვებაც (იხ. აფრიდონიძე, მაკალათია, „ტოპონიმიკა“, II, 1980, გვ. 61).

მკვლევარი როლანდ ბურჭულაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ტოპონიმებზე, რომლებიც ბა მორფემით იწყება. ამ კლასის ტოპონიმებიდან ჩამოთვლის ბაშს, ბანას, ბანძას, ბაგინეთს, ბაქოს, ბათუმს და მიიჩნევს, რომ ბა ეგვიპტური წარმომავლობის ლექსემაა. რ.ბურჭულაძე ვარაუდობს, რომ ეს ტოპონიმები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ეგვიპტელთა ახალშენების არსებობის მაუწყებელია: „შავსა და კასპიის ზღვებს შორის არსებულ ტერიტორიაზე მრავალ ადგილზე ფიქსირდება ძველი ეგვიპტური წარმომავლობის ტოპონიმები... ამ ვრცელ ტერიტორიას ეგვიპტური ელემენტი მარშით ვერ გაივლიდა და ადგილი ექნებოდა ხანგრძლივ მეთოდურ შეღწევას, ე.ი. დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა გაჩენილიყო ძველი ეგვიპტური დასახლებები, ახლად მიკვლეული ხმელეთის სიღრმეში შეღწევის ფორპოსტები...“ (ბურჭულაძე, „ქ. ო.“, II, 2004, გვ. 107).

ოიკონიმთან დაკავშირებულია მიკროტოპონიმები: ბანძაძ-

შონი „ბანძის ფონი“ – თავთხელი, მარჩხოზი აბაშაზე, არ-
გვანდულის სამხრეთით (ლექსეკელე); ბანძაშ მინდორი –
სახნავი გახუშ წყურგი(ლ)ის ჩრდილოეთით და ბიკინოხორის
აღმოსავლეთით. გაშლილი ველია, ნაყოფიერი, უხვმოსავლიანი.
პარალელური სახელწოდება წაკორტი // წაკორტეფი (ლექსეკე-
ლე). გ. ელიავა მიუთითებს ბანძაში მინდორი-ს „ბანძის
მინდორის“ ფორმით, გაშლილი ველის სახელწოდებად, სადაც
ციხის ნანგრევებია (1977, გვ. 86); ბანძაში შარა „ბანძის
გზა“ – გზა რიონისპირეთიდან ნოსირის გავლით, ბანძისაკენ.
ვაჭრებს ამ გზით ბანძაში დაჰქონდათ სავაჭრო საქონელი (იხ.
ელიავა, 1989, გვ. 37).

ბობოთი

სოფელი აბაშისა და ისკიის ხეობებში, ზ.დ. 200მ. მარ-
ტვილს 2 კმ-ითაა დაშორებული და სერგიეთის თემში შედის.
ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ბომბოთი. სო-
ფელი მოიხსენიება XVII ს. ისტორიულ წყაროში, კერძოდ,
გიორგი ლიპარტიანის შეწირულობის წიგნში, ბონბოთის
ფორმით: „ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მსასოე-
ბელმან სიწმინდისა შენისამან ჩუენ ბატონიშვილმან ლიპარტი-
ანმან ბატონმან გი(ორ)გი და თანამეცხედრემან ჩუენმან ჭილა-
ძის ქალმან ბატონმან დარეჯან შემოგწირე ერთი კუამლი კაცი
ბონბოთს, ნაჭყეპია მახარებელი მისი სახლკართა და მამული-
თა“ (იხ. კაკაბაძე, II, 1921, გვ. 172). ბონბოთი სალიპარტია-
ნოში შემავალი სოფელი ყოფილა(იხ. ბერაძე, სიგკ, II, 1964,
გვ. 128). 1831 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყო-
ფის მიხედვით მარტვილის მაზრაში შემავალ სოფლებს შორის
დასახელებულია ბომბოთი (მეუნარგია, 1939, გვ. 113). ამავე
სოფელში, აბაშის მარჯვენა ნაპირზე, ჯიხაჭაეს გაგრძელებაზე
მდებარე ვრცელ ჭალას ბობოთიჭაპ ეწოდება(ელიავა, 1977, გვ.
98).

ბობოთი დუბლეტური ოიკონიმიამ სახელწოდებით ცნობი-
ლია სოფელი ოკრიბაში, გურნის თემში (იხ. აფრიდონიძე, მა-
კალათია, II, 1980, გვ. 214, 249).

ბობო და ბომბო მეგრული პირსახელებია. მაშასადამე,

ბო(მ)ბოთი „ბობოს ან ბობოს დიდი ოჯახის სამოსახლო; ოდესღაც მისი ნადგომი, კუთვნილება“ (კეკელია, XI, 2009, გვ. 418; მისივე, №12, 2010, გვ. 72).

ბ ა ჭ ე დ ი ლ ი

„ლაფსუსის (კურიოზის) საქრესტომათიო ნიმუში“, -ასე უწოდა აბაშის ხეობაში, ზ.დ. 240 მ სიმაღლეზე მდებარე სოფლისა და თემის ცენტრის-გაჭედის სახელწოდებას პროფ. პაატა ცხადაიამ, და სავსებით სამართლიანადაც. ეს სოფელი მარტვილი-დიდი ჭყონის საავტომობილო გზაზე, მარტვილიდან 5 კმ დაშორებით მდებარეობს და ექვს სოფელს-პირველ ბაღდას, მეორე ბაღდას, მესამე ბაღდას, სკურდს, პატარა თამაკონსა და საკუთრივ გაჭედისს აერთიანებს. ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ბოჭკაღირი. ბოჭკაღუნს ზმნის წარსული დროის მიმღობა ბოჭკაღირი, პ. ცხადაიას თქმით, მეგრულში აღნიშნავს ძელ-ფიცრის ხიდის გაღებას ხევზე, ღელეზე, მდინარის ვიწრო კალაპოტზე(ცხადაია, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 219).

XVII ს. მიწურულს ოდიშის მთავარს ბერძენი ოსტატების-თვის დაუვალებია ქვითკირის თალიანი ხიდის აგება მდ.აბაშაზე, რათა ერთმანეთს დაკავშირებოდა სალიპარტიანო და საჭყონდიდლო. აღნიშნული ხიდი მოქმედებდა აბჰესის ახალი ხიდის აშენებამდე. მდინარეზე ხიდის გაღების, გაჭედის შემდეგ წარმოიქმნა ტოპონიმი ბოჭკაღირი (იხ. ელიავა, 1977, გვ. 1977). უწინ ეს ადგილი მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. გოჭკადირ-ინჩხურის საზღვართან, მოთენის მთისძირში, აბაშის ნაპირას გამართული იყო სავაჭრო, სადაც ადგილობრივ მკვიდრთ ჰქონიათ ღუქანი, სამჭედლოები და ა.შ. ამ ადგილს ქადაქს „ქალაქს“ უწოდებდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც სავაჭრო მოიშალა, ნოქადაქენი „ნაქალაქევი“ დაერქვა.

ხიდებისა და ნახიდარების სახელებად სამეგრელოში ბევრგანაა ჩაწერილი „გოჭკადირი“. პ. ცხადაია ასახელებს ტოპონიმებს, სადაც „გოჭკადირი“ ძელ-ფიცრის ხიდის მნიშვნელობით გამოუყენებიათ. ესენია: ბოჭკაღილი, ბოჭკაღილი // ოფყარამე ბოჭკაღილი, ბოჭკაღილი ინ-

გზრი, აბაშაბოჭკაპდირი, ნოღაბოჭკაპდირი...
(ცხადაია, „ქ. ო.“, IV, გვ. 219-220).

მიკროტოპონიმთა ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს:
ბოჭკაპდირი//პაპაშ ოადეცე-სახნავე ნაფინუალალის მარ-
ჯვენა ნაპირას, სახასიოში(ალერტკარის თემი, ზუგდიდის რ.);
ჩხოუშიაბოჭკაპდირი-ხიდი ჩხოუშიაზე (ინგირის თე-
მი, ზუგდიდის რ.);

ძალვაბოჭკაპდირი-ნახიდარი ჯუმის მარცხენა შენაკად
ძალვაზე. ძალვა საკუთარი სახელია(ზუგდიდის რ.);

ჯუმ(ი)ბოჭკაპდირი-ხიდი ჯუმზე (ოდიშის თემი, ზუგ-
დიდის რ.);

ბოჭკაპდირი-ხიდი ოქუმწყარზე(პირველი გუდავა, გალის
რ.);

ნაცხაბოჭკაპდირი//მუს ურნაცხაბოჭკაპდირი-
ხიდი ხობისწყალზე (მუხური).

საქართველოს სსრ პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორი-
ული ცნობარის (1930 წ.) თანახმად გაჭედილის სასოფლო
საბჭო სენაკის მაზრის მარტვილის რაიონის შემადგენლობა-
შია და სამ სოფელს- ბაღდას, სკურდსა და თამაკონს აერთი-
ანებს. როგორც ჩანს, სოფლის სახელწოდება „გაჭედილი“ სწო-
რედ ამ დროიდან უნდა დამკვიდრებულიყო.

ვინაიდან ერთფუძიანი მეგრული ტოპონიმების თარგმნა არ
შეიძლება, აუცილებლად მიგვაჩნია სოფლისა და თემის ცენტრის
სახელწოდებად აღდგენილ იქნას ბოჭკაპდირი ფორმა.

მიკროტოპონიმი „გოჭკადირი“ სამგანაა მითითებული ხიდის
სახელწოდებად, გ. ელიავას მიერ: თეკლათის, მენჯისა და ლე-
ძაძამის „სასოფლო საბჭოების“ ტოპონიმთა ნუსხაში(1989, გვ.
27, 40, 123).

ბოდობანი

სოფელი კურზუს თემში, ლებერულეს გასწვრივ, შებესა და
ოჩხომურს შუა, ზ.დ. 210 მ. რუსეთის იმპერიის მიერ 1886
წელს განხორციელებული საკომლო აღწერის მიხედვით სოფ.გო-
დოგანი სენაკის მაზრის მარტვილის უბანში,ნაფინხოუს სასოფ-
ლო თემში შედის, 91 კომლითა და 599 სულით. 1904 წლის

აღწერის მასალების მიხედვით, გოდოგანში მამულებს ფლობდნენ აზნაური ალშიბაიები (აღგ. ვარიანტი ალიშბაია), გუგუნაკები, დგებუაძეები (დგებიები), კეშელავეები (აღგ. ვარიანტი კეშილა) და ფინჩაიები. სოფელში, მთაზე, შემორჩენილია გვიანი შუა საუკუნეების ციხისა და წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები.

მხარეთმცოდნე გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემა სოფლის სახელწოდებას პირველმოსახლე ბოდოს სახელს უკავშირებს, რომელიც ამ ტერიტორიის მფლობელი ყოფილა, ე. ი. ბოდოშ ბანი „გოდოს კუთვნილი“ (ელიავა, 1977, გვ. 144). ართ(ი) ბანი დიხა ნიშნავს „საკმაოდ ბევრ მიწას“. ო. ქაჯაია ართბანის განმარტებისას გეთავაზობს საილუსტრაციო მასალას ხალხური პოეზიიდან: მინი ქიანას უღურუ დო ართგან-ხვალე მუშიანც „ზოგი ქვეყანას უკვდება და ზოგიერთი (ერთი წყება)-თავისიანს“ (ქაჯაია, 2009, გვ.36). ართბანი-ში იმავე ლექსიკონში განმარტებულია როგორც „ერთი მხრიდან“ (ქაჯაია, 2009, გვ.36). ბანი მეგრულში იგივეა, რაც „გვერდი, გვერდითი (ნაწილი); ერთი წყება; მხარე“ (იხ. კეკელია, №12, 2010, გვ.72). შტრ. დორობანი „დოროს განი, წილი, საკუთრება“ – ტყიანი გორა მიქეიაშ გას აღმოსავლეთ კალთაზე (აბელათი, წინაკვერკვე); ილორბანი – 1. მდინარე ოხურეში, რაც მარჯვნიდან უერთდება ოხურეწყარს; 2. საჩაიე პირველ ოხურეში, რაც უწინ ილორგანს ეკუთვნოდა (გალის რ.); პიტრამ საბანო-მიკროუბანი ენგურის ნაპირას, რაც ეკუთვნოდა პეტრე ანჩიბაიას (მეორე ოტობაია). საბანო აქ აღნიშნავს „მხარეს, კუთხეს“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003 გვ.140); შინგელიეფიშ საბანო//საშენგელიო-შენგელიების უბნები ენგურის მარჯვენა მხარეს, ზარწუფასა და თხინაშქარში (იქვე, გვ.167).

გ. ბელოშვილის წიგნში მოცემულია საილუსტრაციო მასალა გურია-იმერეთის ტოპონიმიდან. ბანი აქაც ფართობის, ადგილის აღმნიშვნელი საზოგადო ტერმინია, რაც ფიგურირებს დასახლებული პუნქტების (დოლოგანი, თხილგანი, რგანი, ჭვანია...) სახელებში (ბელოშვილი, I, 2001, გვ. 327–329). შტრ. ზებანი („ზედა, ზემო ადგილები“); კიდებანი (უკიდევანო)–

ბურჰემი

თემის ცენტრი სამ სოფელს-პირველ ბურჰემს, მეორე ბურჰემსა და ნახურცილავოს აერთიანებს. ზ. დ. 250 მ. სიმაღლეზეა. პირველი გურძემი მარტვილს-28 კმ-ითაა დაშორებული. სოფელი ტეხურის მარჯვ. მხარეს, გურძემიის ორივე ნაპირზე მდებარეობს. კომონიმის ეტიმონი და მოტივაცია გაბუნდოვანებულია. გ. ელიავას განმარტებით ბურჰემი იგივეა, რაც „გაშლილი ადგილი, ფართო მოედანი“, ე. ი. ბური რქენი//ბური რზენი „გული ველობი“ (1977, გვ. 157). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბური „გული“, როგორც ოროგრაფიული ნომენი, დადასტურებულია სამეგრელოს ტოპონიმიში სახელდებული ობიექტის ცენტრის, შუა ალბილის აღსანიშნავად. „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით ბურის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რისამე ყველაზე ღრმა ან ცენტრალური ნაწილი“ (იხ. ქაჯაია, II, 2001, გვ. 413). პ. ცხადაას დამოწმებული აქვს საილუსტრაციო მასალაც: ბურ-ლქურ-სოფ. ლეწურწუმის ცენტრალური ნაწილისა, და ბურს უღონი-ნასოფლარ ხუდონის ცენტრის სახელწოდება (იხ. ცხადაია, ქო, 2007, III, გვ. 204); ტერიტორიის ილორის მონასტრის ირგვლივ, ილორის ცენტრს ილორბური ჰქვია (ოჩამჩირის რ.). ბურნოხორი „გულნასახლარი“ ადგილის სახელწოდებად მითითებულია გაჭედის თემში (იხ. ელიავა, 1977, გვ. 127). ბურმისზე ბულონსუკის დავაკება ოქუმაბსთაში, ხოლო ბური ჩხორთოლი და ბურბელია ჩხორთოლისა და ბედის ადგ. არაოფიციალური ვარიანტებია. ხალხური ეტიმოლოგია: 1. „სავენახე ადგილია. გურძემი იგივე კურძენია“; ე. ი. ყურზენი → ყურძენი (დეზაფრიკატიზაციის გზით) → კურძენი → გურძენი → გურძემი. ბურძემ მეგრულში იგივეა, რაც „გრძელი“; ელბირძემ „ცოტათი წაგრძელებულს“ აღნიშნავს და ხშირად გვხვდება სამეგრელოში გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებად. ალა-, ელა-, ოლა- ზმნისწინები მეგრულში აღნიშნავენ წაგრძელებულ, ცოტათი გრძელ ადგილს ნებისმიერი სიგრძივი ობიექტის გაყოლებაზე, მთის ან ფერდობის ძირში.

სავარაუდოდ, ბურძემი, ბურძენი ოროგრაფიული ოიკო-

ნიმია და უნდა აღნიშნავდეს „წაგრძელებულს, მოგრძოს“. შდრ.: გერძებული მთა-საძოვარი ეგრისის ქელის სამხრეთ კალთაზე, ხობისწყლის ხეობაში (ჩხოროწყუს რ.); გგრძელია ტობა „წაგრძელებული მორევი“ მორევი ოჩხომურზე, კაბეტტობასთან (ნაფიჩხოვო); დავირძიძე // ლაგერძემელა // ლავირძიძეა-ღელე ვახა-სალხინოს სატყეოში, ვიარზენასთან(მარტვილის რ.) და ა.შ. თერჯოლის რაიონის სოფ. ჯვილათში(თუზის თემი)წყაროს „გურძიძის წყარო“ ჰქვია...

ოდიშ-ლენჩუმის დავით დადიანისეული დაყოფით ჯვარის მაზრაში შედიოდა სოფელი გურძემი, 1872 წლის „აღწერის“ მასალების მიხედვით კი სალიპარტიანოს შემადგენლობაშია(ზსიემ, მთავრის ფონდი №3365/276). 1904 წლის აღწერის მასალებით. გურძემში მამულებს ფლობდნენ აზნაურები – ბოკუჩავეები, ჩაჩიბაიები და ახვლედიანები.

ოიკონიმთან დაკავშირებული ჰიდრონიმია **შხრისა ბშრ-ძქმძი** – მდ. გურძემის ორი სათავე-შენაკადი დიდი ჭყონში.

დიდი ჭყონი

სოფელი მდებარეობს ტეხურისა და ჩხოუშიის ხეობებში, ზ. დ. 250 მ-ზე. მარტვილს 15 კმ-ითაა დაშორებული, თემის ცენტრია და აერთიანებს სოფლებს – ლელგებეს, ოჩეს, ჟინოთას და მეორე ნამიკოლავოს. სოფლის უწინდელი სახელი ჟინოთა ყოფილა, 1921 წელს კი დიდი ჭყონი შეურქმევიათ.

გამჭვირვალე, სახელურფუძიანი თხზული ოიკონიმია. **ჭყონი** მეგრულში მუხაა, ხოლო **დიდი** ზედსართავი სახელი მცენარის სიდიდეზე მიგვანიშნებს (შდრ. **ჭყონდიდი** „დიდი მუხა“ მარტვილის ოდინდელი ისტორიული სახელწოდებაა). გელიავას მიერ ინფორმანტ გიორგი გაგუასგან ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, დიდი ჭყონში, ჩაის ფაბრიკისა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, უწინ მუხნარი ყოფილა, ხოლო ტყის ცენტრში, პატარა ტაფობზე მდგარი **დიდი ჭყონი** „დიდი მუხა“ სალოცავად მიიჩნეოდა, სადაც ძველი სტილით 8 სექტემბერს გარკვეულ რიტუალს ასრულებდნენ (1977, გვ. 132.).

მივმართოთ საილუსტრაციო მასალას სამეგრელოს ტოპონიმიდან:

დიდი ჭყონი სახნავის სახელწოდებააა მითითებული სენაკის რაიონის ახალსოფლის თემში და მოცემულია შემდეგი განმარტება: „აქ დიდი მუხა მდგარა, უძველესი საოხვამურო ყოფილა, მისი მიდამოების საყანე მასივები ჭყონდრის მამული ყოფილა“ (ელთაძე, 1989, გვ. 25);

დიდჭყონი სასაფლაოს სახელწოდებაა ოფარხაფუში, ჩხვინ-ჩხვაძალის მარცხენა მხარეს (ზუგდიდის რ.);

დიდი ჭყონს უწოდებდნენ ძველ მუხას, რაც იდგა დიდი ნებიდან ორულუსკენ მიმავალ გზაზე;

დიდჭყონჯინჯი „დიდი მუხის ძირი“ სალოცავი და საჯარაიანო, თავშესაყრელი ადგილი ყოფილა უშაფათში (ელი-აძე, 1989, გვ. 103);

დიდჭყონი ყორათწყარის შენაკადია ხობის რაიონის ახალ-სოფლის თემში; ეს სახელი ერქვა საჩაიესა და მუხას მუხურსა და ქვემო ბარლებში (გალის რ.).

დიდი ჭყონი // ჭყონი საუკუნოვანი მუხაა დიხაზურგაში, რაც უწინ სოფლების – დიდწიფურისა და რზენის საზღვარს წარმოადგენდა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003, გვ. 62).

დუღბიმი დიდჭყონი // ბინოტახილი დიდჭყონი ერქვა მუხის ხიდს დიდჭყონზე (ახალსოფლის თემი) („დი-დი ჭყონის“ ეტიმოლოგიის შესახებ იხ. კეკელია, ბჟალაძე, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 114-115).

დობერაზენი

კურზუს თემში შემავალი სოფელია, რაც ოდეჯისა და წელა-მის მთებს შუა, ტეხურის ხეობაში, ზღ. 360 მ-ზე მდებარეობს და მარტვილს 29 კმ-ითაა დაშორებული. დობერაზენი ორა სიტყვის შეერთებითაა მიღებული. დობერა // დობერო მეგრულში „ნათელტყანს“ ნიშნავს, რაზენი კი – ვაკეს, გაშლილ მინ-დორს(იხ. კეკელია, ბჟალაძე, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 115).

დანიელ ფიფიას განმარტებით დობერა იგივე ბარია (1999, გვ. 17). დობილო ვაზიანი ხეებით გაშენებული ადგილია გური-აში, ხოლო დობირო, დობირანი ვაკე ადგილია, სადაც ხეებია აშეებული (იხ. ლლონტი, 1984, გვ. 209).

დობერა, დობერაუჩა(შავი დობერა), დობერანოხორი(ნასახ-
ლარი დობერა), დობირა, დობირო, დობერობა გეოგრაფიულ
ობიექტთა სახელწოდებად სამეგრელოში ბევრგანაა ჩაწერილი.
დობერარუმე გ. ელიავას ჩაუწერია „ინჩხურის სასოფლო
საბჭოში“, რაც მისივე განმარტებით „ ბნელ, გაუვალ, ტყიან
ადგილს“ ნიშნავს (1977, გვ. 116).

„აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკაში“ დო-
ბერაუჩინი კიდევ ორგანაა მითითებული ადგილთა სახელ-
წოდებად – „ხუნწის სასოფლო საბჭოსა“ და სამეგრელოს ჩრდი-
ლო – აღმოსავლეთი ნაწილის ტყისა და საძოვრების ზონა-
ში(ელიავა, 1977, გვ. 110, 180).

ოიკონიმი დობერაზენი შეიძლება განიმარტოს, როგორც „ტყი-
ანი ველი; მდინარისპირა, მთის ძირში მდებარე ნათელი ტყე ან
სახნავ – სათესი“ (იხ. კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010,
გვ. 115-116).

დოშაყე

სოფლების – დოშაყის, ლეჟვანიესა და ლექობალიეს კრებ-
სითი სახელწოდება და თემის ცენტრია. მდებარეობს ზ.დ.
320 მ., მდ. ციის ზემოთში, მაჩხაპის, ზანის, ლახვაშიის, ოშ-
ქეთისა და ლეფედერის ნაპირებზე. მარტვილს 28 კმ-ითაა
დაშორებული. მხარეთმცოდნე გ.ელიავა მიუთითებს დოშაყის
ფორმით. მკვლევრის მიერ ჩაწერილი თქმულების მიხედვით,
მტრის შემოსევითა და ჭირიანობით გავერანებულ სოფელში
პირველად თოდუა ჩამოსახლებულა. უღრან ტყეში მისი მამალი
ყოდაო მხოლოდ – დოშაყინად „ტყეში ყოდაო“ (1977, გვ.
141).

იონა მეუნარგია დავით დადიანის დროის ჯვარის მაზრაში
(XIX ს. 40 – იანი წლები)

ნოდასა და კიწიასთან ერთად ასახელებს სოფელს დოშა-
კის ფორმით (მეუნარგია, 1939, გვ. 112.). 1872 წლის ცნობით
დოშაყე სალიპარტიანოს შემადგენლობაშია (ჯღარკავა, 1965,
გვ. 284; მისივე, 1970, გვ.241).

ოიკონიმის მოტივაცია გაბუნდოვანებულია („დოშაყის“) ეტი-

მოლოგიაზე მსჯელობა იხ. კეკელია, ბქალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 116-117). სულხან-საბას „ქართულ ლექსიკონში“ აღნიშნულია, რომ ღოშაქი თათრული სიტყვაა, რომლის ქართული შესატყვისია შათქუნი (შატქუნი) და ტერი (იხ. სულხან-საბა, 1928, გვ. 101, 390), ხოლო ტერი იგივეა რაც „ქვეშაფენელი და საგებელი: ორხუა (ორხოვა), ძოლო, ფიჩუი, ხირაული, ტაბასტო, საბანი, შატქუნი, ნაბადი, თაქნაბადი, ქუნთი, კილიკი და მისთანანი“ (იქვე, გვ. 332)

მიემართოთ სხვა ლექსიკონსაც. პროფ. ალ. ლლონტის ლექსიკონის მიხედვით ღოშაქ // ღოშაქ-ი ინგილოურსა და ზემო აჭარულში ლეიბს, დოშაქს ეწოდება და თურქულ dosek-იდან მომდინარეობს (ლლონტი, 1984, გვ. 211). იმავე ლექსიკონის მიხედვით ღოშაქი, ხუნთი ლენხუმში იგივეა, რაც „ხუნდი, ბორკილი“. ცხენის რკინის ბორკილის აღმნიშვნელი სიტყვაა ქართლში ღოშაქი (იხ. ლლონტი, 1984, გვ. 211, 215).

ღოშაქი // ღოშაქი ჰ. ჯაჯანიძის „გურული დიალექტის“ სალექსიკონო მასალის მიხედვით პარმალს გარშემოვლებული რემოტკაა; მოცემულია სხვა მნიშვნელობებიც:

„მოაჯირის ზედა ხეია, რომელზედაც რიკულებია მიჭედებული“. ღოშაქი გურიის სოფელ ლიხაურში მოაჯირის მნიშვნელობითაც ჩაუწერია მკვლევარს: „ღოშაქზე გეიარ—გამეიარს აი ვაჭარი“ (იხ. ჯაჯანიძე, 1977, გვ. 93).

ღოშაქი ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ახსნილია, როგორც „მრგვალი“, და მოცემულია საილუსტრაციო მასალაც: „ღოშაქი ჯალქუნი — მრგვალი, გაუთლელი ხეები“ (ქაჯაია, I, 2001, გვ. 496).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საერთო ტოპონიმიკურ სისტემაში — აყე დაბოლოებიანი ოიკონიმი ერთადერთია საქართველოში ღოშაქის სახით (იხ. აფრიდონიძე, მაკალათია, II, 1980, გვ. 79). ოიკონიმები — ლაქ, — ზაქ და — ძიქ დაბოლოებით ასევე თითო-თითოა. ესენია: ჩუმლაყი (სოფელი გურჯაანის რაიონში) (იქვე, გვ. 197), ფაყი (სოფელი ლენტეხის რაიონში) და ძიყი (სოფელი ცხინვალის რეგიონში). შდრ. ფაყე // ფაყი და ფაყი — მიკროტოპონიმები მარტვილისა და ჩხოროწ-

ყუს რაიონებში (იხ. კეკელია, 2008, გვ. 60, 2009, გვ. 117, 118 და იქვე მითითებული ლიტერატურა).

დღვადა

დღვანა კურზუს თემში შემავალი პატარა სოფელია. მდებარეობს ოჩხომურის მარცხენა შენაკადის- ჭოლის ზემოთში, ზ.დ. 350 მ-ზე. მარტვილს 27 კმ-ითაა დაშორებული, ხოლო კურზუს-4კმ-ით. უწინ მომიჯნავე სოფლის- გოდოგნის შემადგენლობაში ყოფილა. გ. ელიავას განმარტებით „მიუდგომელ, მიუვალ ადგილს“ ნიშნავს (1977, გვ. 149). შდრ. დღვანა – უბანი ნაფალუსა და ვაკაცონას შუა, სენაკის რ. სოფ. უშაფათში, რასაც ვასახელებთ გ. ელიავას წიგნის – „სენაკის რაიონის ტოპონიმის“ მიხედვით (1989, გვ. 99 და თანდართული „უშაფათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმიკური რუკა, გვ. 101). შესაძლოა, სახელდების ობიექტი წყლის ცნების აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთან იყოს დაკავშირებული (იხ. კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 118). დღვაბა სამეგრელოში „დაგუბული წყალია“ (იხ. ფიფია, 1999, გვ. 18). ფსკერტალახიანი ტბორის, თხელი და ღრმა ტალახის, ტალახიანი გუბის, წუმპეს მნიშვნელობით სამეგრელოში გამოიყენება აგრეთვე დღვებუ, დლობო, ჟღება, ჟღები, ჟღვაბუ, ჟღებო...

მიემართოთ საილუსტრაციო მასალას სამეგრელოს ტოპონიმიდან: **დღვაბუ** – 1. გუბე ლესიჭინეში, ზანის ნამდინარე კალაპოტზე; 2. შლამიან -ტალახიანი გუბე ზუმში, სქურჩის ნაპირას; 3. გუბე ლეწურწუმეში, ხობისწყლის ნამდინარე ადგილას; 4. გუბე ლეჯიქეში (ქვედა ჩხოროწყუს თემი); 5. გუბეები ლეგახარესა (მუხურის თემი) და საკაკულიოში (ახუთის თემი); 6. ტლაპო ხობისწყლის ჭალაში (სოფ. ზუბი); **დღვაბუ**//**პორფილი** **დღვაბუ** – ჭალა ოჩხომურში, ოჩხომურის მარჯვენა ნაპირას (ჩხოროწყუს რ.); **დღვაბუში** – 1. მორევი ხობისწყალზე (ზუმის თემი); 2. გორა – საძოვრები ხობისწყლის ხეობაში, გვალაშარისა და ნოხუერის წყალგამყოფ სერზე (პარალელური სახელწოდებაა **დღობუში**); **ჟღვაბა** – ლენჭყი აბაშის მარცხენა ნაპირზე, ორქაში (ვედიდკარის თემი, მარტვილის რ.); **ჟღვაბი** – ჭეჭყობი პირველ ნამიკოლა-

ვოსა და პირველ ჭოლაში; შღმბომ(ნი) – ჭყანტი და სახნავი ზემო ნაგვაზავოში (მარტვილის რ.); შღვპბუ – ლენჭყი ეურიდიეში, ღეს ნაპირებზე (ვედიდკარის თემი); შღვპბუონა // შღვპბუ – ლენჭყი და საჩაიე ღაჩრის მარცხენა ნაპირას, ონოღიაში (მარტვილის რ.); ღღობომ // ღღობოღაღ – ნაოსქაღღაღის შენაკაღი მეორე ოტობაიასა და ნაჭკაღუში (გაღის რ.); ღღვპბბ – საღაღაღის მარჯვენა შენაკაღი (შუა და ზემო ქვაღონი); ომოსა – ღღვპბბ – სოფელი და თემის ცენტრი ზობის რაიონში. აქ მიეღინება მღინარე ღღვპბბ // ღღვპბბაღაღ... (იხ. კეკელია, ბუაღავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 117-118). XIX ს. ღამღეღს ღღვანაში უცხოვრიათ აზნაურ აღშიბაიებს, კეშეღავებს, ნაჭყებებებს, რატიანებსა და ფიჩხაიებს.

მწერი

სოფელი ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, ტაღერის თემში, ზ.ღ. 310 მ-ზე. მარტვიღს 25 კმ-ითაა დაშორებული, ტაღერის ცენტრს 3 კმ-ით. ტაღერს უწინ საერთოღ მწერს, მწ-მწერს ეძახღენ და აკონკრეტებღენ: შიმომღენ მწერი (ზემო ეწერი) და ოშღომღენ მწერი (ქვემო ეწერი). 1872 წღის ცნობით საღიპარტიანოს საუფღისწუღო მამული 16 სოფელს აერთიანებღა. მათ შორის დასახელებულია ეწერი (იხ. კოღხიღელი, ტფ., 1926, გვ. 36; ჯღარკავა, 1965, გვ. 284; სოსელია, III, 1990, გვ. 89-90). 1904 წღის „აღწერიღან“ ირკვევა, რომ საღხინოს თემის სოფ. ეწერში უცხოვრიათ აზნაურ რატიანებს.

ეწერი ნიაღაღის ერთ-ერთი სახეობაა. ქართულ ღიაღექტებში მწერ- სიტყვა სზვადასზვა მნიშვნეღობით გამოიყენება: აჭარაში მწერა ეწოღება „გვიმრას“ (იხ. ღღონტი, სიტყვის კონა, 1974). ეწერი გურიაში უნაყოფო მიწაა. გურიასა და იმერეთში ეწერს ეძახიან აგრეთვე დაბღობ აღღიღს, რაც ბურქით, ისღითა და მისთანებითაა დაფარული. ი.ქავთარაძე ვარაუღობს, რომ ეწერი თავღაპირვეღად „წითელი მიწის“ აღმნიშვნელი სიტყვა იყო(ქავთარაძე, იკე, XI, 1959, გვ. 386) და ა. შ. „ქართული ენის განმარტებითი ღექსიკონის“ მიხეღვით ეწერი

იგივეა, რაც „მცირე ბუჩქი, მორჩილი ტყე, მცირე ჭალა“ (ტ. III, 1953), ხოლო ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მაღალი მთის ბალახია, რაც სახლების სახურავად იხმარება (1961, გვ. 72). ბუჩქნარით ან ისლით დაფარულ, მდინარისპირა დაბლობ ადგილს, ჭარბტენიან, წყლიან-ჭუნჭყიან მინდორს ან ტყეს, ნოტიო ადგილს, სადაც ჭილი იზრდება, სამეგრელოში **მნ-წიერს // მწიერს** ეძახიან. გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებად ბევრგანაა ჩაწერილი ენწერეფი, ენწერი, ე(ნ)წერი, ენწერბეგი, ენწერკუნთხუ, რგვალენწერი, ენწერგინძე, ენწერი მინდორი, ენწერფართო, ენწერფონი, ენწერნოცონილი(ნოცონილი „ნაყანევი“), ენწერყვანა, ენწერიში დოხორე, ენწერტყა, ნაშელუ – ენწერი, ენწერიშ ღალი, ენწერიშ ჩაი, ენწერღალ, ენწერიშ ოხვამე // ენწერულოხვამე, ეწერი, ეწერია, ეწერჩაი// ეწეროჩაიე და ა. შ.

3. ცხადაიას **მნწიერის** რამდენიმე განმარტება ჩაუწერია: „ენწერი თიშენ ჯოხო, ნოშო ადგილი რე დო თუდო ლები ულუ“ (პ. ჭოლა); „ენწერი უმოსო წყარი გიხვილუნ ფერი ადგილი რე, ბალოტი რე, სქირაფა ოკო. ჭინი მაფუ ბრელი ნაკკათა“; „ენწერი საერთოდ წყლიან-ჭაობიანი მაღლობია“; „ეწეროვანი, მშრალნიადაგიანი ადგილებია, მიწა „მელჭვილია“ და ამიტომაა ეწერი“ (იხ. ცხადაია, IV, 2008, გვ. 135).

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ეწერი აღნიშნავს „წყლიან მაღლობს, მწირ, მოუსავლიან, უნაყოფო მიწას“ (იხ. კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 118-119).

ვ ა ხ ა

სოფელი სალხინოს თემში, ტეხურის მარცხენა შენაკადის – ვახას ნაპირზე. 1872 წლის „აღწერის“ ცნობით ვახა სალიპარტიანოში შემავალი სოფელია (იხ. კოლხიდელი, 1926, გვ. 36; ჯღარკავა, თსუ–ს შრომები, ტ. 113, 1965, გვ. 284; სოსელია, ნარკვევები..., III, 1990, გვ. 90). XX ს. დამდეგს სოფელში ცხოვრობდნენ თავადი დგუბუაძეები. ხალხური მოტივაცია: მთა, საიდანაც ვახა იღებს სათავეს, ავსულთა სუნთქვით ირყეოდა. მთის სიღრმიდან ხალხს საზარელი ხმა ესმოდა – გეგთოვსოფუნქ ღო გეთოვსოფუნქ (გამოვხეთქავ და გამოვხეთქავ!). მუქა-

რით თავმოებურებულმა ხალხმა იყვირა – გეგთოსოფუნქდა გეგ-
თოსოფია (თუ გამოხეთქავ, გამოხეთქე ამდენ ხანსო!). გაისმა
საშინელი ქუხილი, გაირღვა მთა და ამღვრეული მდინარე ხევში
დაეშვა. ამ დროს ეშმაკის ყვირილი მოესმათ – ვაახ! სოფლის
სახელწოდებაც, თითქოს, მისი შედახილის მიხედვით შეურჩევი-
ათ (ელიავა, 1977, გვ. 171; ბასილაია... 2008, გვ. 8 – 9).

ჩვენ მიერ ჩაწერილი განმარტებით **პახა** აღნიშნავს **მთის
ფართო და უტყეო, ხრიოკ, ძვინან კალთას**. ამავე
მნიშვნელობისაა სამეგრელოში **პახა**, **პახუ**.

ოიკონიძთან დაკავშირებულია ტოპონიმი **პახაშლშდი** – ტბა
და კლდეები სალხინოს სატყეოში (პარალელი სახელწოდებაა შიხი).

ვედიდკარი

თემის ცენტრი აბაშის ხეობაში, ზ.დ. 80 მ. საკრებულო ხუთ
სოფელს აერთიანებს (ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი, მუხურ-
ჩა, ორქა). ჩრდილოეთით ბანძის თემი ესაზღვრება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბანძის ტერიტორია სამ-
ხრეთით სოფ. ორქამდე ვრცელდებოდა და, შესაბამისად, ვე-
დიდკარის თემში შემავალი ზოგიერთი სოფელი ბანძის შემად-
გენლობაში იყო.

კბოროზდინი, რუსეთის მეფის ცნობილი მოხელე სამეგრე-
ლოში, წერს, რომ აბაშის ნაპირას, გაშლილ ვაკეზე მდებარე
უშველებელ სოფელ ბანძას ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს
შუა მდებარე 40 ვერსის სივრცე ტერიტორია, სადაც 75–ზე
მეტე კომლი თავადი ფაღავები ესაზღვნენ, 800 კომლი აზნაური-
თა და გლეხით. „ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში status in
status–ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰკვანდა, ხოლო მება-
ტონე ფაღავები – ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“ (იხ. ბო-
როზდინი, 1934, გვ. 249).

ფაღავების სათავადო („საფაღავო“) სავარაუდოდ XVII სა-
უკუნის მიწურულს ან XVII–XVIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა
ჩამოყალიბებულიყო, რაც მთლიანად თუ ნაწილობრივ აერთი-
ანებდა ბანძის გარშემო მდებარე სოფლებს (იხ. სოსელია, II,
1981, გვ. 189).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბანძის საზოგადოების აღ-

მინისტრაციულ ცენტრს ვედიდკარი წარმოადგენდა. მებატონე ფაღავების საგვარეულო სასაფლაო ვედიდკარის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია იყო.

ოდიშ-ლენჩხუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის ჩამოთვლილია ბანდა და ორქა, ხოლო ლეფორხუე და მუხურჩა არ იხსენიება (იხ. მეუნარგია, 1939, გვ. 113).

რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებული ამიერკავკასიის საკომლო აღწერის მასალების მიხედვით ვედიდკარი ბანძის თემშია გაერთიანებული. 1900-იანი წლებიდან ქართულ პერიოდულ პრესაში სოფელი მოსახლეობის რაოდენობითა და სკოლით ცალკე მოიხსენიება.

ბანდა „კარებად“ იყო დაყოფილი. სიტყვა „კარი“ ზოგადად აღნიშნავდა „შესასვლელს“, „გასასვლელს“; „ადგილს, სადაც ჯარიანობა-თავყრილობა იმართებოდა“; „სალოცავს“; „გამაგრებულ ალაგს“... სოფლის „კარები“ იყო: სამოთხეჯკარი, ურიაკარი, გუთკარი, შაურკარი//ოხვამეკარი, ჯეგეეკარი, უმანგიაშკარი, ლეილკარი, კოტიაჯკარი//ეკოტიე, კიკიანიშკარი, ჯამუშკარი, შანგუაჯკარი, ფიკიაშკარი//ფიუკიაშკარი//ფინიკიაშკარი (იხ. კეკელია, 2007, გვ. 24, 45, 46, 64, 66, 68, 70, 72, 75, 76, 86, 87-91). გელიავას თქმით, ბანძის ერთ-ერთ გარეუბანს, მის კარს, დიდი ველის კარს **ვედიდკარი** წარმოადგენდა, სადაც უწინ მარულა და ჯირითობა იმართებოდა (იხ. ელიავა, 1977, გვ. 65). იმავე ავტორის მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, მაღალი ხეებით გარშემორგული გაშლილი ველი, რაც სოფლის ცენტრს წარმოადგენდა, **დიდი ველის ან ვედიდელის** სახელით იყო ცნობილი, სადაც უძველესი დროიდან ჯარობას მართავდნენ. ამ კუთხის თავადაზნაურობას და გლეხობას აქ სცოდნია **ვედიდკარიობა** – დიდი ჯირითი და ბურთაობა. ჯარობაზე თავს იყრიდნენ სტუმრები სამეგრელოდან და სამურზაყანო-აფხაზეთიდანაც (იხ. ელიავა, 1977, გვ. 9).

მეგრულში „ვედი“ ქართული „ველის“ შესატყვისია. პ. ჭარაიას განმარტებით ვედი იგივე „ველია, მინდორია“. პ. ცხადაიას დაკვირვებით ვედი ეწოდება „მინდორს ტყეში“ ან დავაკებას

მთის ტყიან კალთებზე. მკვლევარს დასახელებული აქვს ვე
ლანდშაფტურ ტერმინთან დაკავშირებული ტოპონიმებიც: ვე,
ვეშდუდი, ვეშდუდიშ ნაჰის (სოფ. ხოლე), ვეშირ-
დე//ვეშირძე (სოფ. საგუგუნავო), ვეშიძე „ველგრძელი“
(სოფ. ლეფოჩხუე), ვედილი „ველდილი“ (გაჭედლისა და
ტალერის სატყეოები), ვედილკარი (სოფ.), ვერჩე „ველ-
თეთრი“, ვერჩესუკი (სოფ. მუხური), ვეჭიშვი „ვიწრო
ველი“ (ჯვარისა და სქურის სატყეოები), ვეჰინჰი//
ვე(ი)შჰინჰი „ველისძირი“ (წალენჯიხა, საჩინო), ვეშ-
კუდელი „ველისკუდი“ (სოფელი ენგურის მარჯვენა ნაპირ-
ზე), დიდვე „დიდველი“ (მაზანდარასა და ჩხოროწყუს სატ-
ყეო), ბიაშვი // ბიაშური (ფართო მინდორი რეჩხისა და
რაგვიადლის შესართავთან (რეჩხი, გალის რ.)...

3. ცხადია ვედიდკარის განმარტებისას წერს, რომ „კარი,
ჩვეულებრივ, ეწოდება ადგილს, მცირე დასახლებას იმ ობიექ-
ტის გარშემო, რომელიც აღნიშნულია მსაზღვრელი კომპონენ-
ტით“ (იხ. ცხადია, I, 1999, გვ. 2).

ვედიდკარის თემის სოფელ ორქაში აბაშის მარცხენა დელე-
შენაკადს ვედილი ეწოდება, რაც სათავეს ბანძაში იღებს,
მიედინება ლეფოჩხუეს ტერიტორიაზე და წარმოადგენს საზ-
ღვარს სოფელ მუხურჩასთან.

ამდენად, ვედიდკარი ვე ლანდშაფტურ ტერმინთან დაკავში-
რებული ოიკონიმი. სოფლის ცენტრში მდებარე ფართო ველს
(სადაც უწინ ჯარობა სცოდნიათ) ვედილი უნდა რქმეოდა,
ხოლო მცირე დასახლებას ამ ობიექტის – დიდი ველის
(ვედილის) გარშემო ვედილკარი ეწოდა.

ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური ეტიმოლოგია: „ბანძის ბო-
ლოში, სამხრეთით, ბანიშ კარი (განის კარი, პატარა კარი,
ჭიშკარი) ეკიდა, რაც ბაზარში მიმავალ უცხო კაცს ღიად
დარჩენია. ბანძელს შეუძახნია: ვედიტუა კარი „არ დატოვო კარი“
(ჩემი მასალებიდან, ჩაწერილია 1995 წელს, სოფ. ბანძა).

თამაკონი

სოფელი და თემის ცენტრი ტეხურის ხეობაში, ზ.დ. 370მ.
ისტორიული სიძველეებიდან საინტერესოა მაღალ ბორცვზე აგე-

ბული შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე, რაც აღწერილი აქვს პროფ. ს.მაკალათიას (1941, გვ. 236-237). ციხე წერილობით წყაროებში 1737 წლიდან იხსენიება. იოჰან ანტონ გიულდენ-შტედტი სამეგრელოს სოფლებს შორის მიუთითებს სოფელ თამაკონს(I, 1962, გვ. 323). იონა მეუნარგია თამაკონს ასახელებს ჯვარის მაზრის სოფლებს შორის(იხ. მეუნარგია, 1939, გვ. 112). 1872 წლის ცნობით **თამაკონ** სალიპარტიანოს საუფლისწულოში შემავალი სოფელია (იხ. ჯღარკავა, 113, 1965, გვ. 284; მისივე, 1970, გვ. 241; მ. კოლხიდელი, 1926, გვ. 26; ო. სოსელია, III, 1990, გვ. 89-90). თამაკონის ციხეც ლიპარტიანის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო (ჯღარკავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 290).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ თამაკონის ციხე ააოხრა იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ. მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანის დახმარების მიზნით აფხაზეთიდან ლაშქრით წამოსული ქელაიშ-ბეგ შარვაშიძე აბელათში დაბანაკდა, მაგრამ მეფესთან ბრძოლა ვერ გაბედა და უკან გაბრუნდა. სოლომონმა ფიცი დაღო შარვაშიძესთან, რომ დადიანს არ აენებდა, მაგრამ ფიცი გატეხა და ქელაიშ-ბეგის აფხაზეთში გაბრუნებისთანავე ოდიშს გაილაშქრა. „...მრავალნი ადგილებნი მოაოხრა და მოადგა ციხესა თამაკონისასა და აღიღო იგი“, წერს ნიკო დადიანი (1962, გვ. 192). ოდიშის მთავარმა დახმარებისთვის რუსეთის იმპერატორს მიმართა. მისი თხოვნა რუსეთის „საფარველსა შინა“ ყოფნის შესახებ მიღებულ იქნა. ამის შემდეგ გრიგოლ დადიანმა მოურავ ჯოლორია დგებუაძის დახმარებით შეძლო თამაკონის ციხის დაბრუნება (იხ. დადიანი, 1962, გვ. 193). 1904 წლის აღწერის თანახმად თამაკონში ცხოვრობდნენ აზნაური ფარულავეები.

სახელწოდების წარმომავლობის შესახებ სამი გადმოცემა არსებობს: ა., „სოფელში სტუმრად ჩამობრძანებულ თამარ მეფეს გული შეღონებია. როცა მოსულიერდა, ამაღამ სიხარულით ყიჟინა მორთო-თამარს გონი დაუბრუნდაო. ამიტომ დაერქვა **თამარბონი**, იგივე თამაკონი;“ ბ. „რუს ჯარისკაცებს ცხენი დაკარგვიათ და დიდი ხნის ძებნის შემდეგ სოფლის ტყეში უპოვნიათ. **Там Конь** „იქ არის ცხენი“ - დაიძახა თურმე მპოვ-

ნელმა”(იხ. კეკელია, „მარტვილი“, №5, 2010, გვ. 6); გ. სამურ-ზაყანოდან გამოქცეულ კაცს დადიანისთვის სამოსახლო მიწა უთხოვია: **თაძ მ(ო)პ(ო)** „აქ მინდაო“ და მიწაც ამ სოფელში უბოძებია მთავარს(იხ. ელიავა, 1977, გვ. 163).

-ონ -ონა სუფიქსის უპირველესი და ძირითადი ფუნქცია კრებითობის გამოხატვაა, რაც საკმაოდ პროდუქტიულია სამეგრელოს ტოპონიმიში (შდრ.: ელონა, ზაკალონა // ზაკალონი, ვერზონა, თავაზონი, თელონი, თხირონა, იანჯონა, ინჭირონი, კალამონა, კვადაცონა // კვადაცონი...). ეს სუფიქსები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი და იმავე ობიექტის პარალელური სახელწოდების მაწარმოებლად(იხ. ცხადაია, 1985, გვ. 166).

თამაპი ურიშის ერთ-ერთი ზორბლის ჯიშია. **თამაპ-ონ-ი** აღნიშნავს ადგილს, სადაც მრავლად ხარობს ეს მცენარე. სხვათა შორის, „თამაკონის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გ. ელიავა მიუთითებს ადგილის სახელწოდებას გურურიშის//გურიურიშის ფორმით და განმარტავს, რომ „ურიში თავთავიანი მარცვლეული მცენარეა, რომელსაც საკვებად იყენებენ“ (1977, გვ. 162).

თარგამეული

სოფელი თამაკონის თემში, ბყერის მთის დასავლეთ კალთაზე, ტეხურის მარცხენა მხარეს, ზ.დ. 220 მ. მარტვილს 24 კმ-ითაა დაშორებული. სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **თარგამეული**(ლ), რაც მოხსენიებულია XVIII ს. გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის-იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომშიც (1962, გვ. 323). თარგამულის ციხესიმაგრე 1776 წლის 5 თებერვალს დაარბია იმერეთის მეფე სოლომონ I-მა და „აიღო დიდი ნაშოვრით“ (იხ. დადიანი, 1962, გვ. 179). თარგამულის ნაწილს ფალავები ფლობდნენ, ნაწილი კი ჩიქვანების საკუთრებას წარმოადგენდა (იხ. სოსელია, ნარკვევები... , I, გვ. 317; II, 1981, გვ. 189).

თარგამული ეწოდება აგრეთვე სოფელს ზუგდიდის რაიონში, რაც ოქტომბრის თემის სოფ. დავითიანის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია. მარტვილის რაიონის სოფ. თარგამეუ-

ლიდან გადმოსახლებულებს ახალი საცხოვრისისთვის მშობ-
ლიური სოფლის სახელი დაურქმევიათ. იქაური აბაკელიები,
გვასალიები და მიშველიები ძირის ხატის სალოცავად მარტვი-
ლის რაიონის სოფ. თარგამულში დადიოდნენ, რასაც **ჯვმშ
თარგამულს** ეძახდნენ.

მხარეთმცოდნე გ.ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემა სოფ-
ლის სახელწოდებას ვაზის ჯიშს-**თარგამულს** უკავში-
რებს(ელიავა, 1977, გვ. 164).

მკვლევარი ო.ხუხუა სპეციალურად შეეხო ტოპონიმ „თარგა-
მულს“ ეტიმოლოგიას და აღნიშნა, რომ კომპოზიტი სამ
ნაწილად უნდა დაიშალოს, სადაც **თარ(ი)** იგივეა, რაც
„მთავარი, გამორჩეული“, ხოლო **ბა** „ქელს“ ნიშნავს. „ამ პირ-
ველი ორი სიტყვის ურთიერთკავშირი გვარწმუნებს, რომ საქმე
გვაქვს სახელთან, რომლის მნიშვნელობაა „მთავარი ქელი“-
წერს ო.ხუხუა („სათანო“ №6, 2010, გვ.12). მისი დაკვირვებით
თარგამულის მესამე კომპონენტია „მულ(ი)ი“ და მთლიან-
ობაში ტოპონიმში „საღვთო, რჩეული ქელის, მათ მიერ აქ
მოყვანილის“ მინიშნება უნდა იდოს(იქვე, გვ.13). ამ მოსაზრე-
ბას, ვფიქრობთ, დამაჯერებლობა აკლია (იხ. კეკელია, „მარ-
ტილი“, №5, 2010, გვ. 6).

-**ურ** სუფიქსის მეორეულ ვარიანტს ფუძეში რ თანხმოვნის
არსებობისას -**ულ** მორფემა წარმოადგენს(იხ. ჯორბენაძე...,
1988, გვ. 390-392). დასტურდება -**ურ** // -**ულ** სუფიქსის
შემცველი თითოსიტყვიანი და მსაზღვრელ-საზღვრულის ტი-
პის ორსიტყვიანი ტოპონიმები. ორი ჯგუფის ტოპონიმთა ურ-
თიერთშედარების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ
ერთწევრა ტოპონიმთა მიღება ენაში მოქმედი ეკონომიის პრინ-
ციპის შედეგია. „ორსიტყვიანი სინტაგმები გამარტივდა, მათ
ჩამოსცილდა საზღვრული სიტყვები, ხოლო მსაზღვრელები გა-
სუბსტანტივდნენ... მომდევნო ეტაპზე ამ გზით მიღებული მიკ-
როტოპონიმების ერთი ნაწილი მაკროტოპონიმებად, კერძოდ,
ოიკონიმებადაც გადაიქცნენ“ (იხ. გვანცელაძე, ქმ, XI, 2007, გვ.
122). -**ურ** // -**ულ** სუფიქსიანი ოიკონიმების გავრცელების ამ-
პლიტუდა მთელ საქართველოს მოიცავს. მაგალითად: ძიგური,
ამბროლაური, ბუგეული, ქისტაური, ოსიაური, ფოლადაური,

ფუწყური, ანანური, პავლეური, მანასეული, ფასანაური, მაისაური, დილიკაური, კვიტოული, მელაური, პერტული, ბესიაური, დანისპარაული→დარისპანაული, გვაზაური და ა.შ.(იხ.გვანცელაძე, ქმ, XI, გვ. 123-125). ოიკონიშთა ამ ჯგუფში შეიძლება განვიხილოთ **თარბამული**. თუ დავუშვებთ, რომ „თარგამული“ ფუძე პირსახელი თარგამია, მაშინ **თარბამ-ულ-ი** კუთვნილების აღმნიშვნელი სახელწოდებაა და უნდა აიხსნას, როგორც „თარგამისული; თარგამისგან მომდინარე; თარგამის კუთვნილი“. სოფლის სახელწოდების წარმოშობას შემდეგი გზა უნდა გაეკლო **თარბამი**→**თარბამური**→**თარბამ-ულ(ლ)ი** (ამის შესახებ იხ. კეკელია, „მარტვილი“, №5, 2010, გვ. 6).

ინჩხური

ინჩხურის თემი მდინარეების აბაშისა და ინჩხიის აუზში მდებარეობს და სამ სოფელს **დიდ ინჩხურს** (ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ტუტაუჩა**), **პატარა ინჩხურს** და **ლქბაქის** აერთიანებს. დიდი ინჩხური ზ.დ. 280-460 მეტრის სიმაღლეზეა, მდ. ინჩხიის ორივე ნაპირზე. პატარა ინჩხური მოიცავს ტაბაკონას მთისძირში, ტობემის შემოგარენში მდებარე ტერიტორიას და ზ. დ. 300 მ. სიმაღლეზეა. ლებაჩე (ადგ. არაოფიციალური ვარიანტი-**ქბაქი**) აბაშის მარჯვენა მხარეს, კადამონას მთის ფერდობზე, ზ.დ. 210 მ-ზეა.

ოიკონიში „ინჩხური“ (ინშგური) მოხსენიებულია XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის-იოჰან ანტონ გიულდენშტედტის ნაშრომში (1962, გვ. 323).

საინტერესოა აგრეთვე 1789 წლის 4 იანვრით დათარიღებული ისტორიული დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ერთგული სიყვარულისა და „კეთილმოქმედების“ გამო გრიგოლ კაცია II-ის ძე დადიანს „სასურველი“ ბიძისთვის, გიორგი ოტიას ძე დადიანისთვის უბოძებია „გიორგი ახვლედიანისეული ინჩხურს სასახლე მისის სასახლით, სახლით კარით ადგილ მამულით... ამასთან ერთად აზნაური დგებუაძე სეხნიელა თვისის ქონებით და სამის მისის კომლის კაცით. მეორე აზნაურიშვილი ქართველის შვილი ახალკოჩი და... ორის მისის კომლის კაცით და

ყოელისავე მისის ქონებით. ერთი მოსახლე გიორგელა გეგია მისის სახლ-კარით, ხუხუელა გეგია მისის სახლ-კარით. ხელოსანი უჩავა თომიხილი მისის სახლ-კარით. მახარია ქაცარავა თავის სახლ-კარით, ჯოლორია ჩქუფოია მისის სახლ-კარით, ბუჭუელა ფუტკარაია თვისის სახლ-კარით. ქ ერთი კიდევ სახასო მოჯალაბე მამაშია მავსაია, ესენი ყველა თავის სახლ-კარით, ცოლ-შვილით, ძმით და ძმის ცოლ-შვილით, მამულადგილით, ტყით, წყლით, შესავალ-გამოსავლით და ყოელისავე ქონებით“ (ქიმ, საბუთი №1143).

მხარეთმცოდნე გივი ელიავას თქმით, ხანგრძლივი წვიმების დროს ტაბაკონის მთას მეწყერიანობა ახასიათებს. მთის კალთები ჩამოიქცევა, ჩამოირეცხება ხოლმე-ირჩხ უუ (1977, გვ. 144). იქვე მკვლევარს მოტანილი აქვს გადმოცემა: „ვილაც ბებერ ქალს რისხვით შეუძახნია: დიირჩხი, აწი, გვაჯო დიირჩხი (ჩამოირეცხე, აწი, მთლად ჩამოირეცხე“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 114).

ათიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოვთქვით მოსაზრება, რომ „ინჩხური“ წყლის თვისების აღმნიშვნელი ტოპონიმი და ორი დამოუკიდებელი სიტყვის შეერთებითაა მიღებული. **სინჩხ ურუ** მეგრულში იგივეა, რაც „ყინულივით ცივი“ (წყალი). შდრ: წაჩხურუ ← წყარ(ი) ჩხურუ „ცივწყალა“ (კეკელია, „მახარია“, №8, 2001, გვ.17).

ო. ხუხუა სოფლის სახელწოდებას ასე შლის: (ყ)ინ-(ჩ)-ხირი, სადაც **სინ(ი)** იგივე „ყინულია“, ხოლო **ხირი** – „რღვეული“. ჩ ბერის განვითარება ხ ბერის წინ ფონეტიკურ მოვლენად მიაჩნია და მთლიანობაში ოიკონიმ „(ყ)ინჩხირს“ განმარტავს ასე: „ყინული რღვეული ანუ ყინული დაწრეტილი, დარღვეული, გამლღვალი“ (ხუხუა, „მახარია“, №4, 2005, გვ. 15).

საგულისხმო დაკვირვებაა, მაგრამ, ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ერთი გარემოება: სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტის – ინჩხირის, როგორც ორწევრიანი კომპოზიციის, მეორე წევრად შეგვეძლო ჩხიირი ← ჩხეირი გვეგულისხმა. ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით ჩხიორ-ი „ჩხრიალსაც“ აღნიშნავს და „ქვის ცვენის ხმასაც“ (ქაჯაია, III, 2002, გვ. 333). იმავე ლექსიკონ-

ნის მიხედვით ჩხიორუა იგივეა, რაც „ქვა-კენჭის ჩხრიალთ ცვენა“ (იქვე). იგივე მნიშვნელობისაა ჩხარი, ჩხარა და ჩხმარა. შტრ.: ჩხმირიმ ღაი-ღელე გაჭედილის სატყეოში; ჩხმირიმ წყარი-წყარო გაჭედილის სატყეოში; ჩხმირიმ ღალ // ჩხმირიმ წყარი - ნაკადული სალხინოს სატყეოში; ჩხმორილი - წყალგარდნილი მეორე ბაღდაში; ჩხმორილიმ ღალ // აჭვიმ ღალ-ღელე ტალერის სატყეოში; ჩხმორილიმ წყარი - ღელე კურზუს სატყეოში...

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინჩხ(მ)ირი აღნიშნავს ჩახრიალას; ჩხრიალა ნაკადულს; ჩხრიალთ მომდინარე წყალს...

ოიკონიმის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ინჩხირი.

მაგალითად, შეკითხვაზე-სოურემ მურქმ? (საიდან მოდიხარ?), მეგრული პასუხობს-ინჩხირემ. სო რდი? (სად იყავი?)-ინჩხირს კორდი (ინჩხირში ვიყავი).

ტოპონიმებია: ინჩხირიმ ნოლა-ღელე; ცხაკაიეფიმ ნოლას ზემო ღინება ქვაითში. სათავეს იღებს ინჩხურში; ინჩხირიმ ღმე-1. ღელე; მარჯვენა მხრიდან უერთდება ნოლას(ქვაითი); 2.ღელე; სათავეს იღებს ინჩხურში და მარცხენა მხრიდან შეერთვის რახვიიმ ღეს. პარალელური სახელწოდებაა მათერიმ ღეე (იხ. კეკელია, თბ., 2009, გვ. 66).

ინჩხურში, ტაბაკონას მთის სამხრეთ კალთაზე იღებს სათავეს მდ. ინჩხია, რაც მიედინება აგრეთვე საელიავო-მარტვილის ტერიტორიაზე და მარცხენა მხრიდან შეერთვის აბაშას. მდინარის სიგრძე დაახლოებით 4-5 კმ-ია. ინჩხიაშკიდი სახნავის სახელწოდებაა ინჩხიის მარცხენა მხარეს(მარტვილი); ინჩხიაშ ნორთი // ინჩხიაშ ნოჭყვიდი // ჭიჭი ინჩხია არხი და მდ. ინჩხიის ტოტია საელიავოში; ინჩხიაჭამ მდ. ინჩხიის ნაპირებს ეწოდება საელიავოში(იხ. კეკელია); ინჩხიაშღული ღელეა დიდ ინჩხურში და ა. შ.

სოფლისა და მდინარის სახელწოდებები ინჩხირი და ინჩხია, სავარაუდოდ, შეიძლება მცენარის სახელწოდებასაც დაუკავშიროთ (სამეგრელოში „თუნთიმ კუდელსაც“ ეძახიან). ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ინ-

ჩხილ-ი (ინჩხილს) ბოტან. მცენარეა ერთგვარი“. ავტორს მოტანილი აქვს საილუსტრაციო მასალაც, წიგნიდან- „ქართული ხალხური სიტყვიერება“: „ართი ძაძარი ძოძუნდღო ინჩხილს მუოდირა... ერთი ციკანი მყავდა და ინჩხილზე ვაძოვე“ (იხ. ქაჯაია, II, 2002, გვ. 89).

როგორც ჩანს, ინჩხი(ლ/რ)ი, ინჩხი(ა) თავდაპირველად მდინარეს ან მდინარისპირა საბალახოებს ერქვა, სადაც ეს მცენარე ხარობდა, მეტონიმის გზით კი დასახლებული პუნქტის სახელწოდებად ქცეულა. ოდენ მცენარეთა სახელების ტოპონიმებად ქცევის არაერთი შემთხვევაა დადასტურებული სამეგრელოში. მაგალითად: თხ შმშ-1. მორევი სინწაზე, ქალაქ ზუგდიდში; ცაცხვი-სოფელი ცაიშის თემში, ჯუმის ნაპირზე (ზუგდიდის რ.); ციტრუსი-საჩაიე სანარმანოში, სადაც უწინ ციტრუსი ჰქონიათ გაშენებული(კოკის თემი, ზუგდიდის რ.); ჯამბუჯი „თუთები“-მინდორი შქაშკოკში, სადაც ოთხი თუთის ხე მდგარა; ალესა-ტყეებუჩქარიანი ფერდობი ეთაფლანძეში (მარტვილი) და საგარგულიოს გორისკალთები სამარქვალოში (იხ. კეკელია, №1, 2010, გვ. 8; ცხადაია, ჯოჯუა, თბ., 2003, გვ. 13).

კიწია

სოფელი და თემის ცენტრი ლახვაშიის ნაპირას. სოფლების – პირველი კიწიისა და მეორე კიწიის გავრცელებული სახელწოდებაა. პირველი კიწია ზ.დ. საშუალოდ 270 მ-ზეა, მეორე კიწია 280 მ-ზე. ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანისეული დაყოფის მიხედვით კიწია ჯვარის მაზრაში შედიოდა (იხ. მეუნარგია, 1939, გვ. 112). ამასთანავე კიწია ითვლებოდა სალიპარტიანოში შემავალ სოფლად (კოლხიდელი, 1926, გვ. 36; ჯღარკავა, ტ. 113, 1965, გვ. 284; ჯღარკავა, 1970, გვ. 241).

გელიაევას მოსაზრებით კიწია იგივეა, რაც „კონცხი, სერის კიდური“ (1977, გვ. 151). ო.ხუხუა ვარაუდობს, რომ ტოპონიმ „კიწიაში“ კი ადგილის სახელწოდების მაწარმოებელი სუფიქსია და არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ სოფლის სახელწოდება ორი დამოუკიდებელი სიტყვის – სპი-სა და ჭი-ს შეერთებით იყოს მიღებული, სადაც სკი იგივეა, რაც

მეგრული „შვილი“, ხოლო ჭი – „ჭის შვილი“. ჭი ანთროპოლონიმად მიაჩნია: „თუ ეს ასეა, მაშინ კიწია სპიჭიპა უნდა ყოფილიყო თავიდანვე. შემდეგ ს ამოვარდა, ხოლო ჭ შეიცვალა წ–თი, რისი მაგალითებიც მრავლად გვაქვს ყველგან და ეს კომპოზიტი დღემდე შემორჩა უბრალო ერთიან ტერმინად, სადაც კი ამ ტერმინის თავსართად, პრეფიქსად გვევლინება. ამ საკითხის შესასწავლად ადგილი „ლეჭვიეში ოხვამე“ და თვით ნანგრევები მეტად საყურადღებო ძეგლია“ (ხუხუა, VI, 1965, გვ. 45). იგივე აზრს გამოთქვამს მკვლევარი სხვა სტატიაშიც (იხ. ხუხუა, №118, 1965, გვ. 4).

კინწი მეგრულში კისრის უკანა ნაწილია (ქედი), ხოლო კინწინი ო.ქაჯაიას „მეგრულ–ქართულ ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც „ძალიან მაღალი ადგილი, – კენწერო“. მოტანილია საილუსტრაციო მასალაც: სუღმე კინწინის ბიმაღბუნია – სახლი ძალიან მაღალ ადგილას დგასო. კინწინიმა იშულა ძალიან მაღალ ადგილას ასვლა“ (ქაჯაია, II, 2002, გვ. 147). შდრ. კვინტრინი, კვინინი – გურ. კეფის ზემო ნაწილი. კიწია შესაძლებელია მართლაც ოროგრაფიული ნომენი იყოს და აღნიშნავდეს მთის თხემს, მწვერვალს; ძნელად მისადგომ მაღლობს; მთა–ბორცვიან ადგილს; ყველაზე მაღალ ადგილს, მაღალ ბორცვს მთის კალთაზე; ბორცვისთავს ან ბორცვისბოლოს.

დასაშვებია შემდეგი ვარაუდიც: კიწია – „მდინარეთა რკალში ვიწროდ შეჭრილი ხმელეთი; მთებს შუა მომწყვდეული, ჩამწყვდეული ადგილი, კუთხეში მდებარე“. შდრ. ოკიწიე(რი) – სახნავი შქა სამარგალოშ შარასთან, ოჩხომურისა და ხობისწყლის შესართავთან, რაც ორი მდინარის რკალშია მოქცეული (ოჩხომური, კირცხი).

XX საუკუნის დამდეგს კიწიაში უცხოვრიათ აზნაურებს – ჩაჩიბაიებს, ჩხეტიებს, შავდიებსა და რატიანებს.

კ უ რ ზ უ

სოფელი და თემის ცენტრი ოჩხომურისა და ტეხურის ხეობებში, ოჩხონაფუს მთისკალთაზე, ზ.დ. 360მ. მარტივლს 30 კმითაა დაშორებული. აერთიანებს გოლოვანს, დობერაზენს, დღვა-

ნას, საბერუღავოს, სანაჭყეზიოსა და საკუთრივ კურზუს (// რზენი კურზუს).

კურზუ მოხსენიებულია გიულდენშტედტის ნაშრომში (I, 1962, გვ.323). სოფელი წარმოადგენდა გიორგი ბატონიშვილის(და-ღიანის), კაცია II-ის უმცროსი ძმის, საუფლისწულო სოფელს. აქ მას აუგია დონ(ონ)ი (სასახლე)-ქვის ერთსართულიანი, ევროპული ყაიდის შენობა, განიერი ფანჯრებით, ბუხრებითა და აივნით. სასახლეს უკან მიშენებული ჰქონია ბნელი ოთახი, რაც დილეგის ფუნქციას ასრულებდა. ნაგებობამ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მოაღწია. დღეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთე-ბია შემორჩენილი. აღნიშნული სასახლე ბატონიშვილის საზაფ-ხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.

1871 წლის აღწერის მასალების მიხედვით კურზუ ნოღელი დაღიანების მფლობელობაშია.ნოღასთან ერთად გოღოგანშიც უნდა ყოფილიყო მათი ციხე-სიმაგრე(იხ. ჯღარკავა, 1970, გვ. 233, 240).

ოღიშ-სამეგრელოს დავით დაღიანისეული აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად კურზუ ჯვარის მაზრაში შემავალი სოფელია(მეუნარგია, 1939, გვ. 112). რუსეთის იმპე-რიის მიერ 1888 წელს განხორციელებული კომლობრივი აღწე-რიდან ირკვევა, რომ კურზუ 122 კომლითა და 869 სულით შეღის სენაკის მაზრის მარტვილის უბანში, კერძოდ, ნაფიჩხო-ვოს სასოფლო თემში.

1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით კურზუსა და გოღოგანში უცხოვრიათ აღიშბაიებს, ხოლო ნობულსა და დღვა-ნაში-აღშბაიებს, რომლებიც საუფლისწულო აზნაურებად ით-ვლებოდნენ და მორჩილებდნენ გიორგი ბატონიშვილს.

ოიკონიშის სახელდების ხალხური მოტივაცია: 1. თაქ გური ძუნიდა (აქ გული ძევსო)(ელიავა, 1977, გვ. 144); 2. გურიძუ „გაუძლო“; სწორედ ამ გამოთქმის გავლენით წერს პოეტი ხუტა ბერუღავა ლექსში:

„გურზუ“-გაუძლებს... გაუძლო მართლაც,
ამის მოწმეა ცა და ქვეყანა.
რამდენი ზვაღი მიეჭრა კართან,
ნასოფლარს მაინც არ დაემგვანა!...

ჰგავს ყინულებში მომწყვედულ კუნძულს
და ოაზისიცი არის ნამდვილი,-
ამიტომ მიყვარს სოფელი გურზუ,
მწყემსის ცეცხლივით ცად ავარდნილი!“

ისტორიულ წყაროებში გვხვდება კჰრძჰ ფორმაც. 1806 წელს რუსეთიდან დაბრუნებულ ნიკო დადიანს წიგნების გადამწერად აუყვანია გიორგი მდივანი გიორგის ძე, რომელიც კჰრძჰს სასახლეში მოღვაწეობდა(იხ. ქსკა, I, 1958, გვ. 170-171). 1817 წელს მას დადიანის შეკვეთით გადაუწერია კრებული, სადაც ამბობს: „მოსურნემან წმიდათა წერილთა მწერლობისაგან მეგობრობისა პატივსა ზედა აღმიყვანა, საფილოსოფოთა და სამეცნოთა და საეკლესიოთა წიგნთა მწერლობისა მოსამსახურედ მიჩინა“-ო (იქვე, გვ. 171).

როგორც აღვნიშნეთ, კურზუ დადიანების საუფლისწულო სოფელი იყო, სადაც ისინი ზაფხულობით ცხოვრობდნენ. აქ საკუთარი ჯოგიც ჰყავდათ, რასაც ადგილობრივი ყმა-გლეხები უვლიდნენ. ამასთანავე ნადირობის მოყვარულ დადიანს მონადირე ძაღლების გამწვრთნელ-შემნახვებად ჰყოლია გაბისონიას, ესართიასა და ფონიას გვარისკაცნი. მათ მმჰოლორემბი ან კჰრზჰალი იერქვათ, რაც „ძაღლების მომვლელს, მწყემსს“ ნიშნავს. გადმოცემით, თითქოს კჰრზჰალი-დან მოდის სოფლის სახელწოდება კურზუ(იხ. მაკალათია, 1941, გვ. 241). ბატონყმობის დროს ბაზიერ-მეძებართა შესანახად დაწესებული სპეციალური გადასახადი, რასაც საკურძუალო ეწოდებოდა, შედგებოდა სამი კოთხო ღომის, თითო კოკა ღვინისა და ერთი ციკნისაგან, მთელი წლის მანძილზე(იქვე, გვ. 165). კურძალი გურიაში „ბაზიერს, ნადირობის გამგეს“ ნიშნავს; იმერეთში კურძვალს უწოდებენ „ძაღლთა მწვრთნელ-მომვლელს“, ხოლო გურიაში კურძვალი ძველი მებატონის მეურნეობაში ძაღლთა უზუცესის აღმნიშვნელი სიტყვა იყო(იხ. სიტყვის კონა, 1984, გვ. 317; კეკელია, 2005, გვ. 17-22; ბერია, კალანდია, 2004, გვ. 10-11). შდრ. გურიის სოფელ ლესაში დავით(დათა) ვახტანგის ძე გურიელს (პოეტ მამია გურიელის მამას), ი. მეუნარგიას ცნობით, ჰქონდა სასახლე, „სააზნაურო სახლი“ (სასტუმრო),

კარის ეკლესია და სხვა ნაგებობები.სასახლის საქმეებს სახ-
ლთუხუცესი განკარგავდა, ვისაც ემორჩილებოდნენ მსახურთუ-
ხუცესი, ფარეშთუფროსი, მეჯინბე, ბაზიერი, კ'შრძ'შალმ-
ბი და ა. შ. (I, 1954, გვ. 341).

სოფლის სახელწოდების წარმომავლობის ახსნას ცდილობს
თამარ ბერულავა თავის საგაზეთო სტატიისში. ავტორი თვლის,
რომ „კურზუ“ ორკომპონენტიანი ტოპონიმი და ასე უნდა
დაიშალოს: კ'შრ-ზ'შ ან კ'შრ-ძ'შ. „(რ)ზ'შ“ მეგრულში
იგივეა, რაც „ანთია“ (რზამა//რძამა „(და)ნთება, (და)გ-
ზნება, ცეცხლის წაკიდება“), ხოლო „ძუ“ აღნიშნავს იმას, რაც
„დევს, ძევს(რაღაცაზე)“... „მაგრამ რა შეიძლება იყოს „კურ“-?
სვამს კითხვას თბერულავა და იქვე უპასუხებს, რომ კ'შრ-
ლაზური მტკ'ორ- // მტკ'შრ-ის გამარტივებული ფუძე უნდა
იყოს, მიღებული მტ სეგმენტის ჩამოცილებით. თავისი მოსაზ-
რების გასამყარებლად იშველიებს გ. ბედოშვილის მსჯელობას,
ვისაც მიაჩნდა, რომ ჰიდრონიმი „მტკვარი“ სწორედ მტკორ-
ფუძისგან იყო წარმომდგარი. პროფ. არნ. ჩიქობავას განმარტე-
ბით, მტკორ-//მტკურ-ჭანურში „ველურის, ტყიურის“ აღმნიშ-
ვნელია. თ. ბერულავა იმოწმებს სახელოვანი მეცნიერის ამ გან-
მარტებას, წიგნიდან- „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი
ლექსიკონი“ (1938, გვ. 247) და ფიქრობს, რომ თუკი კ'შრ-
„ველურს, ტყიურს“ ნიშნავს, მაშინ ტოპონიმ „კურ-ძუს“ ეტი-
მოლოგია ასეთია: „ველური, ტყიური ადგილი ძევს“. ასეთ ახ-
სნას თ. ბერულავა გამართლებულად მიიჩნევს, იმ გარემოების
გათვალისწინებით, რომ კურზუ ტყიანი ადგილია; ამასთანავე,
არ გამორიცხავს სახელწოდების სხვაგვარი გააზრების შესაძ-
ლებლობასაც, კერძოდ: კ'შრ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელო-
ბა, ი. გვარამაძის ცნობით, არის მზე(ეგვიპტურად). იქვე მითი-
თებულია ლიტერატურა: მღვდელ ი. გვარამაძის მიერ შედგენი-
ლი „ქართლის ცხოვრება“ (1882წ.). ამ ცნობაზე დაყრდნობით
თ. ბერულავა ფიქრობს, რომ, ოიკონიმ „კურ-ზუს“ მისეული
დაშლის მაგალითზე, პირველი კომპონენტი კ'შრ- შესაძლებე-
ლია ნიშნავდეს მზეს, ხოლო „კურ-ზუ“ (ან „კურ-რზუ“) აიხ-
სნას, როგორც „მზე ანთია“. კ'შრძ'შ ფორმის პირველადობის
დაშვების შემთხვევაში სოფლის სახელწოდება „კურძუ“ იგი-

ვეა, რაც „მზე ძეგს“. „ხომ არ იყო მზის სადიდებელი საკულ-
ტო ადგილი კურზუში და სახელწოდებაც აქედან ხომ არ
მოდის?“ - სვამს კითხვას თ. ბერულავა. მას კ'პრ- სიტყვის
მნიშვნელობაზე მსჯელობისას მოჰყავს დ. ბაქრაძისა და ნ. მა-
რის მოსაზრებები. დ. ბაქრაძის აზრით, სპარსეთსა და მესოპო-
ტამიაში მრავალ მდინარეს ძველად კ'პრ-ს უწოდებდნენ; ნ.
მარი ფიქრობდა, რომ ღღ იგივეა, რაც ცხენი+ცხენი; შემე-
რულში კ'პრ ქვეყნისა და მდინარის აღმნიშვნელი ყოფილა(იხ.
ბერულავა, „მხარია“, №9-10, 2004, გვ. 7).

მიუხედავად კ'პრ- სიტყვის მნიშვნელობის გარშემო აზრთა
სხვადასხვაობისა, თ. ბერულავა საინტერესოდ მიიჩნევს ი. გვა-
რამაძის ცნობას, რომ კ'პრ იგივე „მზეა“, ხოლო კურ-ძუ-შე-
საბამისად, „მზე ძეგს“. ავტორი მის ვარაუდს ამყარებს 1932
და 1957 წლებში კურზუს ტერიტორიაზე, ბრინჯაოს ნივთებს
შორის ძვ.წ. VIII-VII სს. „მზის ქვა-ჯვრების, ხატ-სალოცავე-
ბის“ აღმოჩენით, რაც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმ-
ში ინახება. იქვე მიუთითებს წყაროს-გ. ელიავას „ალბომს“.
ალბათ იგულისხმება გ. ელიავას ალბომი: „მარტვილის მუზეუმ-
ში დაცული ენეოლითური და ბრინჯაოს ეპოქის მზის ხატ-
სალოცავეები, ქანდაკებები და იდეოგრამული მასალები“. ჯერ
ერთი, ეს ბროშურა დაიბეჭდა 1997 წელს, ქუთაისში; თ.
ბერულავას კი საგაზეთო სტატიამი გამოცემის ადგილი და
თარიღი ასე აქვს მითითებული: „თბ., 1987“; მეორეც, კურძუს
სამაროვანში 1957 წელს (და არა: 1967 წელს) აღმოჩენილი
რამდენიმე ჯვარ-ფიბულა(თუ ჯვარ-ხატი), გელიავას თქმით,
ბრინჯაოს (და არა: ქვის) ხატ-სალოცავს წარმოადგენს (ელი-
ავა, მითითებული ნაშრომი, გვ. 5) და ბოლოს, კურზუში ფოლ-
კლორულ-ეთნოლოგიური მასალებით, მით უმეტეს-წერილობი-
თი წყაროებით, მზე-ღვთაების სალოცავის არსებობა არ დას-
ტურდება. რაც შეეხება კურზუს თემის სოფ. სანაჭყებიოში
დამოწმებულ ბორჯომ ბარჯბს „ღროის სვეტს“, ეთნო-
ლოგიურ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი ღროის
(დილა, შუადღე, საღამო) გამოცნობის ხალხურ საშუალებას-
მზის საათს წარმოადგენდა და მზიან ამინდში სვეტზე ჩრდი-
ლის დაცემით სასურველი ღრო ირკვეოდა.

ისეთი ნაჩქარევი, გულუბრყვილო და ფანტასტიკურად მიამიტური დასკვნების გაკეთება, რაც თბერულავას საგაზეთო სტატიამა მოცემული, მეცნიერული კვლევისთვის ფრიალ საზიანოა. ამგვარი ოპუსები ტოპონიმიკის პრობლემურ საკითხებზე ხშირად იბეჭდება პერიოდულ პრესაში, რაც დროულ და მკაცრ კრიტიკულ შეფასებას საჭიროებს.

კიდევ ერთი შენიშვნა: თ. ბერულავას სტატიის დასათაურება- „სოფელ „კურზუ“-ს ეტიმოლოგიისათვის“-არასწორადაა მოცემული. უნდა იყოს: „კურზუს“ ეტიმოლოგიისათვის“, ან - „სოფელ კურზუს სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის“.

დავუბრუნდეთ კვლავ ოიკონიმ „კურზუს“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობას. ამ კუთხით მისაღებად გვეჩვენება ქართველური ტოპონიმიის აღიარებული მკვლევრის, პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის თვალსაზრისი, რომელმაც კურზუ ანუ კურზულში მეგრულის ნიადაგზე „ამობურცული, ამალღებული ადგილის“ მნიშვნელობით გაიაზრა და მასვე დაუკავშირა მარტვილის რაიონული ცენტრის-ქალაქ მარტვილის ერთი ადგილის სახელწოდება დიხაკურზულში ანუ „ამალღებული მიწა“, „მიწის ბორცვი“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 459). შდრ. ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით კურზულში იგივეა, რაც „ამალღებული“. კურზულში არღბილი „ამალღებულ ადგილს“ ნიშნავს (ქაჯაია, II, 2002, გვ. 168).

მეგრულში ამავე მნიშვნელობით იხმარება კურკურზა, კურკურზია, რაც „მრგვალ ბორცვს, ბორცვისთავს“ ნიშნავს. პ. ცხადაიას მოაქვს საილუსტრაციო მასალაც სამეგრელოს ტოპონიმიიდან: კურკურზა // ცხაცხუჯინჯი // დიხაკურზულში-ბორცვი ახედათის თემში, მარსილის მინდორში; კურკურზია // კუნჭულია-ხელოვნურის შსგავსი ბორცვი ახედათში, ბეერის მთისკალთაზე(ცხადაია, „ქ.ო.“, III, 2007, გვ.213-214). კურკურზა ეწოდება აგრეთვე ბორცვებს ღოშაყისა და კიწიის თემში (იხ. ელიავა, 1977, გვ. 142, 152), ხოლო კურკურზა ხელოვნური ბორცვის სახელწოდებად მითითებულია სალხინოს თემში (ელიავა, 1977, გვ. 173); ამავე სახელწოდებას ატარებს მცირე კონუსისებური ბორცვები, მრგვალთავე შემალ-

ლებები პირველ ჭოლაში, ლესიჭინესა და ახუთში(ჩხოროწყუს რ.); კურკუცა მრგვალთავა გორაკია კურზუს თემის სოფ. საბერულავოში, ოჩხომურის მარჯვ. ნაპირზე; კურკუცა // კურკუცა სუპი ბორცვია ჩაღურუსა (ლექარჩე, ჩხოროწყუს რ.) და ილორგანში, ილორგანის მარცხენა ნაპირზე(ილორის თემი, ოჩამჩირის რ.), ხოლო კურკუცას // კოტიშ კურკუცას უწოდებენ ბორცვს სანაჭყებოში(ლეწურწუმის თემი, ჩხოროწყუს რ.)...

ხობისწყლის მარჯვენა შენაკადს და მის ხეობას ჩხოროწყუს რაიონში კურკაღა // კურკაღა ეწოდება, მაგრამ აქვს თუ არა მდინარის სახელწოდებას რაიმე კავშირი მცირე შემადლების ან პატარა, წერილთავა ბორცვის აღმნიშვნელ სიტყვა კურკულესთან (// კურკუცა, კურკია, კურკუცა, კურკოკია...), ამჯერად ძნელი სათქმელია.

სოფელ კურზუს სახელწოდების ადგილობრივი, არაოფიციალური ვარიანტია კურკუცა, ხოლო თემის ცენტრს რკინი კურკუს ეძახიან (რზენი „დაბლობი, ვაკე ადგილი“). შდრ.: კურკულე //კოკი-სახნავისა და დაბალი, მრგვალი ბორცვის სახელწოდება ქვემო ღუმურიშში, ფართოდალის ნაპირას (გალის რ.); კურკულესუპი // კურკუცა-ბორცვი პირველ კიწიაში(მარტვილის რ.); კურკოკია //კურკუცა-ბორცვი ქვემო ნაგვაზავოში; კურკოკია//კურკ(უ)როკია//კურკუცა-ღელე და გორაკი მეორე კიწიაში; დიხაკურზუდა „მიწაზურგა“-ბორცვები აბედათის თემში, ლეციცხვაიეში, სერგიეთში, ლებაჩეში, ბანძასა და სხვაგან...

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მეგრულში ზ და ძ ბგერათა მონაცვლეობა შესაძლებელია (ზაღამი-ძაღამი „სურვილი, სურება“; ზღაბქურცამი-ძღაბქურცამი „ზღარბი“, ზღილი-ძღილი, რზლი- რძლი „ჯაგრცხილა“; ზარფუშა-ძარფუშა „ძახველი, ძახველა“ (მცენ); ზახალი-ძახალი „მზახალი“; ზენწარი-ძენწარი- 1. ზენწარი; 2. ურმის ნაწილი; ზუბუ-ძუბუ „ბორცვი“), შეიძლება დავასკვნათ, რომ ოიკონიმი კურკუცა // კურკუცა დაკავშირებულია რელიეფის ფორმასთან და ნიშნავს „ამობურცულ, ამადლებულ ადგილს“; „გორაკ-ბორცვიან ტერიტორიას“; „შე-

მაღლებას მდინარისპირა ჭალაში“; „ფერდობებით შემოზღულულ ადგილს“...

შენიშვნა: 2004 წელს გამოიცა მ. ბერიასა და ე. კალანდიას სქელტანიანი წიგნი- „კურზუ და კურზუელები“. ავტორთა მიზანსწრაფვა, გამოეცათ წიგნი მშობლიური სოფლის წარსულისა და აწმყოს შესახებ, საგულისხმოა და კეთილ თვალს შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კურზუს შესახებ წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მეტნაკლებად ღირებული ცნობები წიგნში განხილული არ არის. ამასთანავე ავტორებს უშენიშვნოდ გაუზიარებიათ სოფლის ისტორიის შესახებ ადრე გამოთქმული მოსაზრებები. ისინი იმოწმებენ პროფ. ს. მაკალათიასა და მხარეთმცოდნე გ. ელიავას ცნობებს კურზუში დადიანთა ძაღლთსაშენის არსებობის შესახებ, მაგრამ რატომღაც არ ასახელებენ იმ საგვარეულოს, ვისაც ძაღლების გაწვრთნა-შენახვა ევალებოდა. წიგნში ცალკეული სოფლების მიხედვით ჩამოთვლილია მიკროტოპონიმები, მაგრამ არსად არ არის მოცემული სახელდებული ობიექტის ლოკალიზაციისა და სახელდების მოტივის შესახებ ავტორებისეული ან ინფორმატორისეული ვერსიები, ეტიმონის (თავდაპირველი მნიშვნელობის) თარგმანი ან სხვა სახის ვარიანტი (თუ ვარიანტები). არადა, სათანადო წერილობითი წყაროების უქონლობის ან სიმწირის პირობებში ტოპონიმის მნიშვნელოვანი ინფორმაციული პირველწყაროს ფუნქცია აკისრია.

წიგნის მიმართ სხვა, არსებითი ხასიათის შენიშვნებზე აქ აღარ შევჩერდებით. მასზე უფრო დეტალურად, სხვა დროს, კურზუს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვისადმი მიძღვნილ ნაშრომში გვექნება საუბარი.

ლე- თავსართი განსაკუთრებით პროდუქტიულია სვანურ, მეგრულ და ქართულ (კერძოდ, ლუჩხუმურ) ტოპონიმიაში. დადგენილია, რომ ლე-ე საგანგებო ოიკოფორმანტი გვართავან გეოგრაფიული სახელწოდებების მაწარმოებლად მეგრულში სვანურიდანაა ნასესხები; ოღონდ ერთი განსხვავებით: ლე- თავსართი სვანურში საზოგადო სახელების მაწარმოებელიცაა, მეგ-

რულში კი ოდენ ტოპომაწარმოებელი მორფემა (პ. ცხადაია).

ლე- თავსართის ფუნქციას სამეგრელოს გეოგრაფიულ სახე-
ლებში არაერთი მკვლევარი შეხება (ა. ცაგარელი, მ. ჯანაში-
ლი, ი. ყიფშიძე, ა. ჩიქობავა, გ. კაჭარავა, პ. ცხადაია, ო.
ქაჯაია...). ლებაჩილე, ლედგებიე, ლეფოჩხუე, ლეხაინდრე-ს ტი-
პის სოფლის სახელწოდებებისათვის ამოსავალი ის გვარია,
რაც ოიკონიმის ფუძეშია წარმოდგენილი და რითაც სახელდე-
ბული ობიექტი იყო ან არის დასახლებული.

ლე-უ კონფიქსებიანი ოიკონიმების გავრცელების ამპლიტუ-
და მარტვილის რაიონის მთელ ადმინისტრაციულ-ტერიტორი-
ულ სივრცეს მოიცავს. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სა-
ხელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში მსგავსი წარმოების 16
ოიკონიშია შესული, თუმცა ბევრად მეტი მაგალითის მოტანა
შეიძლება იმავე სოფლების მიკროოიკონიმთა სახით. ენათმეცნი-
ერ პ. ცხადაიას საილუსტრაციოდ მოაქვს მარტვილის რაიონის
ერთი სოფლის – თამაკონის მონაცემები და ჩამოთვლის დასახ-
ლებულ უბნებს, ესენია: ლეადამ(ი)ე, ლეაროსიე, ლეგვილ(ავ)ე,
ლეგოროზე, ლედგებიე, ლეინჯგიე, ლეკაკასქუე, ლეკვაშილე,
ლეკურდელიე, ლეპაპე, ლეპიტაზიე, ლესართანე, ლესხულუხე,
ლეფარცვან(ი)ე, ლეფაცაცე, ლეფეტელე, ლეფირცხელე, ლექა-
ჯაიე, ლექორაიე, ლეჭითანე და ლეჯგერენე (ცხადაია, 1985,
გვ. 142).

ფუძეში წარმოდგენილი გვართ სახელდებული 21 უბანი
ერთ სოფელში! როგორც ვხედავთ, რიცხოვნება ფრიად შთამ-
ბეჭდავია.

ლ ე ბ ა რ დ ე

კურორტი მარტვილის რაიონის უკიდურეს ჩრდილო-დასავ-
ლეთით, მდინარეების-ლებარდისა და ტეხურის სათავეებში, ზ.
დ. 1500-1800 მ. სიმაღლეზე. მარტვილს 55 კმ-ითაა დაშორებუ-
ლი. ჩრდილოეთით ლენტეხის რაიონი ესაზღვრება, ჩრდილო-
აღმოსავლეთით – ცაგერის რაიონი, დასავლეთით – ჩხოროწ-
ყუს რაიონის ტყისა და საძოვრების ზონა.

ლებარდე ცნობილია ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატ-
რიუმ-კალციუმ-რკინის შემცველი სამკურნალო წყლებით. ლე-

ბარდის მინერალური წყლის შემადგენლობა დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის დაავადებების-მეორადი ანემიის, ქრონიკული გასტრიტის, ქრონიკული კოლიტის, ნაწლავების მოტორული ფუნქციის მოშლის, ლეიშმანოზისა და ნაღვლის სადინარი გზების ქრონიკული ანთების, შარდის ბუშტისა და შარდსადინარი გზების ქრონიკული ანთებების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ფილტვისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზის დროს (იხ. რატიანი, 1956).

გადმოცემით, ლეზარდის მინერალური წყლები XIX საუკუნის მიწურულს აღმოუჩენიათ ადგილობრივ მწყემსებს.

ო. ხუხუა ფიქრობს, რომ კურორტის სახელწოდება უშუალო კავშირშია გვარ ბართიასთან და ნიშნავს „ბართიების სამკვიდროს“ ე. ი. ლეზარტე → ლეზარდე (ხუხუა, XVI, 1972, გვ. 39).

ერთი გადმოცემა კურორტის სახელწოდებას ფრანგულ სიტყვას უკავშირებს, რაც თითქოს პრინც მიურატსა და მის ფრანგ სტუმრებს უწოდებიათ ამ ადგილისთვის (იხ. რატიანი, 1956, გვ. 7). ა. რატიანის მოსაზრებით „ლეზარდე“ მეგრული წარმომავლობისაა (ლესხინდრაო, ლესიჭინე, ლეძაძამეს ტიპისა) და სარეველა მცენარის გავრცელების არეალს უკავშირდება.

უწინ აქ გავრცელებული ერთგვარი სარეველა მცენარის ზოგიერთი ჯიში შხამიანი ბუსუსებით იწვევდა კანის მწვავე ანთებას და ჩირქოვან პროცესს. ამ მცენარეს ბარდს ეძახდნენ და მისი გავრცელების ზონას თითქოს ამის გამო შეერქვა ლეზარდე (იქვე, გვ. 8-9).

ლეზარდე იგივეა, რაც „ბარდნარი“, „ბარდებსშირი ადგილი“; კურორტის სახელწოდება სვანური წარმოშობისაა (ლე- სვანური პრეფიქსით). ბარდ- ფუძიან ოიკონიმებზე მსჯელობა იხ. წინამდებარე წიგნში (სტატია ბაღდა).

ლ ე ბ ა რ ე

ლ ე ბ ა რ ე (ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტი ე ბ ა რ ი ე) — სოფელი ინჩხურის თემში, აბაშის მარჯვენა ნაპირას, კაჯამონას მთისძირში, ზ.დ. 210 მ. ბაჩილავას // ბაჩი(ლ)ას გვარის ძირძველი სამკვიდროა. 1904 წლის აღწერის მასალები

ბით ლებაჩიე მონოგენურ დასახლებას წარმოადგენდა, სადაც 24 კომლი მხოლოდ ბაჩილავა ცხოვრობდა და სხვა გვარი არ ერია.

გვარი ბაჩილა მოხსენიებულია 1621 წლის საბუთში (იხ. ქსდ, III, გვ. 412). გ. ელიავას მიაჩნდა, რომ ეს გვარი წინაპრის საუთარი სახელიდანაა წარმოქმნილი (ელიავა, 1977, გვ. 114). ბაჩა, ბაჩაჩია, ბაჩვა, ბაჩი, ბაჩია, ბაჩინია, ბაჩუა, ბაჩუელა და ბაჩუნა მეგრული ანთროპონიმებია, რომელთაგან ერთ-ერთი ფუძედ უნდა დასდებოდა გვარ ბაჩიას (ბაჩილას). არის ანდაზა – დადია მოზოჯუნდუა დო ბაჩია შარას გაიჩოქედუა „დადიანი მობრძანდებოდა და ბაჩილავა გზაზე იყო დაჩოქილი (დაჩოქილი უცდიდაო)“ (1977, გვ. 114). შდრ.: საბაჩილაო // საბაჩილაო ბაჩილავების უბანია გაღმა ქარიატაში, ხობისწყლის ხეობაში, ხოლო საბაჩილა – საბუკიოში, უტორის მარცხენა სანაპიროზე (ორივე ხობის რაიონში) (ცხადაია, 2000, გვ. 58; კეკელია, 2005, №3-4, გვ. 133).

ბაჩილავების საგვარეულო ჯგუფური მეტსახელებია: უხარუ პარჩხაქუ მატკომამაქუ (გამოუმიგნავი თევზის მჭამელები) და ბურტყანო მატკომამაქუ „ბურტყალეს მჭამელები“ (ბურტყალე // ბურტყა ბოტან. ფურფუჩა). შტოგვარებია: ბუტაბაჩიეფი, გალიფეაჩიეფი, გეჯეაჩიეფი, კალისობაჩიეფი, კოპუ(ი)ეფი // დუდკომპუეფი, ფინაბაჩიეფი, ქვათიეფი, ჩიკაბაჩიეფი, ცატაბაჩიეფი // ვატაბაჩიეფი, ხოტიაბაჩიეფი / / ხოტიათურეფი (იხ. კეკელია, „მარტვილი“, №3, 2010). გვარი დაფიქსირდა ინჩხურს გარეთ – მარტვილში, ნაგვაზავოში, ნაჯახუსა და გაჭედელში (სულ 92 კომლი მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე).

ლეგულორდაკვი

ლეგულორდაკვი (ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტი: ეგუდე, ეგუდორდე) – სოფელი წაჩხურის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 310 მ. (სალხინოს თემი). მარტვილს 18 კმ-ითაა დაშორებული. სულთა რაოდენობით გულორდაკვებს სალხინოს თემში მეშვიდე ადგილი უჭირავთ. გვარის გეოგრაფიული განსახლების ამპლიტუდა ფართოა (ოდიში, ჭკადუაში, ლეწურწუ-

მე, რუხი, წალენჯიხა, კოკი, ახალკახათი, ჭითაწყარი, საჩინო და ა.შ.). გულორდავები ცხოვრობენ მარტვილის რაიონის შემდეგ სოფლებში: სალხინო, დიდი ჭყონი, კიწია, გურძემი, გაჭედლი, ტალერი, თამაკონი და აბელათი. აგრეთვე ქალაქ მარტვილში (სულ 84 კომლი მარტვილის რაიონში).

მდრ.: **საბურღორდა(ო)** – უბანი რუხში (ზუგდიდის რ.). გადმოცემით, გულორდავები წაჩხურიდან ლედგებიეში, ხოლო იქიდან რუხში დამკვიდრებულან.

პ. ცხადაიას დაკვირვებით გვარის ფუძეში – **ბურღორდა**, ზმნური კონსტრუქციას წარმოადგენილი, რაც გამოხატავს მშობლის ნება-სურვილს და ბავშვის დაბადებისას ერქმევა, ე. ი. **ბური ორდა** (გული, ძვირფასი იყავი) → გულორდა → გულორდავა (ცხადაია, 2000, გვ. 77). მკვლევარი არ გამორიცხავს გვარის სვანურ წარმომავლობასაც და წერს: „ამასთანავე, ოლდ კნინობითობის სუფიქსი სვანური ენისა შეიძლებოდა მეგრულში – ორდ ფორმით გადმოსულიყო, რაც ამ გვარის შესახებ გადმოცემას რეალურ საფუძველს უქმნის“ (იქვე). გადმოცემა კი ასეთია: სვანეთიდან ერთ-ერთი დადემქელიანის მკვლელობისათვის გამოქცეული გულედანები წაჩხურში დამკვიდრებულან და გულორდავად წოდებულან. აქედან ზოგიერთი ჭკადუაში გადასულა საცხოვრებლად (იხ. ცხადაია, II, 2007, გვ. 385-386).

ლედგებიე

სოფელი დიდი ჭყონის თემში, ჩხოუშიის ორივე ნაპირზე (ქსე-ში შეცდომით მითითებულია ჩხოუშიის მარჯვენა მხარე), ზ.დ. 260 მ. დგებუაძეებით დასახლებული უბანი ჩხოუშიასა და ფაქვაშიას შუა უწინ ლედგებედ იწოდებოდა, მთელი სოფლისათვის ლედგებეს დარქმევის შემდეგ, უბანს, სადაც დგებუაძეთა გვარი მკვიდრობს, სადგებო უწოდეს (პ.ცხადაია). გიორგი ლიპარტიანის მიერ გიორგი ფალავასათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნში, რაც XVII ს-ით თარიღდება, დასახელებულია მოწმე და შუამავლი წიწაკოჩი დგებუაძე (პალ, II, გვ. 58). XVIII – XIX სს. ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილია აგრეთვე ამ გვარის შემდეგი წარმომადგენლები – ჯოლორია,

ბეჟან, ვეგენი, ნიკო (გუია), ავთანდილ და ჯოლორია ღვებუაძე-ები. გვარის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პროფ. პაატა ცხადაია: „ღვებუაძეები თავადებიც იყვნენ და აზნაურებიც (იოანე ბაგრატიონის მიერ ოდიშის თავადთა შორის დასახელებული „ღვებუაძე“ ღვებუაძე უნდა იყოს). XX ს. დამდეგს თავადი ღვებუაძეები მკვიდრობდნენ და ფლობდნენ მამულებს ლედგებეში, ოჩხომურში, ჭოლაში, ხანწყვი, ლექარჩეში, პ. ფოთში, გეჯეთში, ზუგდიდში, ლესაჯეში, მოხაშში, ხოლო აზნაური ღვებუაძეები – ნოსირში, წყემში, ჟინოთაში, გოდოგანში, კვაუთში, დოშაყეში, ლეგოგიეში, ფოცხოში, ვახაში. ამასთანავე, ინჩხურში, გურბემში, სალხინოსა და თამაკონში მცხოვრები ღვებუაძეების ნაწილი თავადი იყო, ნაწილი – აზნაური“ (პ. ცხადაია, 2000, გვ. 80). ღვებუაძეები ერთგულებდნენ თავად ელიზბარ დადიანს.

ლევან ანანი

სოფელი აბაშის მარცხენა ნაპირას (ბანძის თემი). ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია მკპახანნი // სამოთხე. ასე ეწოდება ოიკონიძის ფუძეში წარმოდგენილი გვარის – ვახანიას დასახლება ლევანანეში აერთიანებს რამდენიმე მიკროუბანს (ეკოტიე, ესართანე, ეგაგუე, ერარტიე, ექუთე, ევაღვე, ნაჩილაჩაო). პ. ცხადაიას მსჯელობით, გვარს ფუძედ უღვევს კოლხური პირსახელების – ვახას, ვახოს, ვახუს მოფერებითი ვარიანტი ვახანი (2000, გვ. 84). შდრ.: გვარის ვარიანტული ფორმა ვაჰანია და ვახამია. აკაკი ჭანტურიას სალექსიკონო მასალის მიხედვით ვახა, ვახაია, ვახანია, ვახეია, ვახთა; ვახთაია, ვახთანიკა, ვახია, ვახილა, ვახუ, ვახუელა, ვახუია მეგრული პირსახელებია (იხ. 2006, გვ. 34-35).

ბანძელი ვახანიები წარმოშობით სოფელ ხაბუმიდან (ჩხოროწყუს რ.) ყოფილან. აქაც მათ დასახლებას ლევანანე // ლევანანე ჰქვია (იხ. „კატალოგი“..., 1983, გვ. 63). ინფ.: „თავადმა ხაბუმელ ვახანიას ცოლს ნამუსი ახადა. ქმარმა ბატონი წყლით სავსე ქვევრში ჩააგდო და დაახრჩო. რადგან ხაბუმეში

არ დაედგომებოდა, ბანძაში ცოლთან ერთად გამოქცეულა და აბაშის პირას, ტყეში დასახლებულა. იქ, სადაც დღეს ლევანხანა, უწინ უღრანი ტყე ყოფილა. ტყე გაუკაფავს და ქოხი დაუდგამს. ორი საუკუნის წინანდელი ამბავია“ (იხ. კეკელია, 2007, გვ. 32). ამჟამად ბანძაში ამ გვარის სამი დინო (შტო) ცხოვრობს. ვახანიები სახლობენ აგრეთვე მარტვილში, აბღათში, ველიდკარში, თბილისში, ზუგდიდში, ჩხოროწყუში, ლეძამაძეში, დარჩელსა და სხვაგან. ბანძაში 21 კომლი სახლობს.

მკვლევარი ა.ფაილოძე ვახანიას სადაურობის აღმნიშვნელ გვარად მიიჩნევს და წარმომავლობას ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანის სახელწოდებას უკავშირებს (ა.ფაილოძე, I, 2005, გვ. 120).

ლექსიკონი

სოფელი ბანძის თემში, აბაშის მარცხენა ნაპირას, ზ. დ. 100 მ. მარტვილს 14 კმ-ითაა დაშორებული. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ეგაბუნე ესაზღვრება, სამხრეთით – (ლ)ეპატარე//პატარაიფიშ მუხური, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – მარტვილი – სენაკის საავტომობილო გზა. ადგილობრივი არაოფიციალური სახელწოდებაა მკმკმე//ლმკმკმე მუხური//ზემო ბანძა. ეს სოფელი კეკელიას გვარის ძირითად სამკვიდროს წარმოადგენს (55 კომლი). კეკელიები ცხოვრობენ თბილისში, მარტვილში, ზუგდიდში, ქუთაისში, ღანირში, ჯიხაშკარში, ველიდკარში, ნაგვაზავოსა და სხვაგან. საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარში სულთაროდენობით 826-ე ადგილზეა (1248 სული) (იხ. გვარსახელები..., 1997, გვ. 286). „ამ უბანში უწინ მხოლოდ კეკელიები სახლობდნენ. სხვა გვარისკაცი აღარ ცხოვრობდა. ახლა ეს ვითარება შეცვლილია. მერე შემოგვემატა ჩიქოვანი, კუკანია, წულაია, დიხამინჯია, კიზირია, ჩარგაზია, ცანავა, კალმახიძე, მოწაფია, არაბიძე, ცაგარეიშვილი, ხურცილავა, ბალიშვილი“, – გვიამბო აპოლონ კეკელიამ (იხ. კეკელია, 2007, გვ. 34).

ლექსანტალიძე

სოფელი ნოდელასა და ცხენისწყალს შუა, ლეციცხვაიეს საზღვართან (ნაკვაზავოს თემი). ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **მკვპტანი**. კვანტალიანი საქართველოში სულადობით ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია და 345-ე, ხოლო მარტვილის რაიონში 21-ე ადგილი უჭირავს. გვარის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია კვატაია (შდრ. კვატაიაშ ნატყაფუ „სადაც კვანტალიანის ტყე იყო“ – სახნავი დეეგანლეს მარჯვენა მხარეს). გვარის ამოსავალს მეგრული პირსახელები – კვატა, კვატალი, კვატელა, კვატი ან კვატია უნდა წარმოადგენდეს. სავარაუდოდ, გვარები – კვატაია, კვატალია, კვატია (ცხოვრობენ თერჯოლაში, ნოქალაქეფსა და ზუგდიდში), კვატიძე და კვატანია კვანტალიანის ვარიანტებია (მითითებული გვარების შესახებ იხ. ცხადაია, 2000, გვ. 94). არც ის ვარაუდი გამოირიცხება, რომ გვარის მნიშვნელობა უკავშირდებოდეს მეგრულ სიტყვას – **კვპტა(ლ)ი**, რაც სიარულის მანერის აღმნიშვნელია და ნიშნავს ჩია ტანის, მსუქანი ადამიანის იხვისებური, მოკლე ნაბიჯებით სიარულს (**კვპტა ზოლ. იხვი; ბიმკვპტა-ტაღუ** „ლამაზად, კოხტად დადის“).

კვანტალიანის ექვსი „დინო“ (შტოგვარი) ჩაგვაწერინეს: ხვაჩაჩიფი, პეტრე ჭითამ თურეფი, პეტრე ბებეშარეფი//პეტრე ბებემ ნარყი, ბურანდიეფი, ივა ძიკაშ თურეფი, ჭუხუარეფი//ჭუხუარეფიში ნარყი (იხ. ი.კეკელია, „მარტვილი“, №3, 2010 წ.).

ამ გვარისკაცი ცხოვრობენ აგრეთვე მარტვილის რაიონის სოფლებში – ლეხიანდრავო, ნაჯახუ, ხუნწი, ვედიდკარი, დიდი ჭყონი, სერგიეთი და აბელათი; აგრეთვე ქ. მარტვილში. კვანტალიანები // კვანტალიანების ქუჩა – უბანია აბაშის რაიონის სამიქაოს თემში.

ლემიქავე

სოფელი აბელათის თემში, ქვადრის ზემოთში, ბჟერის მთისკალთაზე, ზ.დ. 180 მ. მარტვილს 14 კმ-ითაა დაშორებული. ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **(ლ)ემიქე**, **ლემიქაღ**. ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია (4550 სული

საქართველოში, 3618 სული სამეგრელოში). აბელათში ამ გვარის 38 კომლი ცხოვრობს. მიქაეები ცხოვრობენ მარტვილის რაიონის სხვა სოფლებშიც: ბანძა – 7 კომლი, ვედიდკარი – 5, სერგიეთი – 3, თამაკონი – 2, გურბეში – 1, ნაჯახუ – 1, სალხინო – 1 (სულ 58 კომლი მარტვილის რაიონში).

მიქა, მიქაელ, მიქაელა, მიქე, მიქელ, მიქელია, მიქელა, მიქეია, მიქეინა და მიქა საქართველოში გავრცელებული პირსახელებია, რაც საისტორიო წყაროებშიც დასტურდება (იხ. ღლონტი, 1986, გვ. 163; ცხადაია, გვ. 113). აფხაზეთში მცხოვრები მიქამბების წინაპრები მიქაეები ყოფილან, ხოლო ლეჩხუმის სოფელ აღვში სამეგრელოდან გადასახლებული მიქაეები გვარად მიქამეები გამხდარან (იხ. თოფჩიშვილი, 1993, გვ. 16; ცხადაია, 2000, გვ. 113). მქალდანის თქმით მეგრული გვარი მიქაეა სვანური მიქელ-ან-იდან მომდინარეობს (იხ. ქალდანი, იკე, ტ. XXII, 1980, გვ. 72. შდრ.: გვარები – მიქაია, მიქანამე, მიქატაბე, მიქაუტაბე, მიქიაშვილი, მიქიანი, მიქელავა, მიქელაშვილი...

გვართან დაკავშირებული მიკროტოპონიმები აბელათში: ლემიქაოშ ტყა – ტყე მენჯღაის ხეობაში; მიქაშ კარი – 1. დასახლება ლეძაძამის საზღვართან, ტეხურის მარცხენა ჭალაში (ჯოლევი); 2. საჩაიე სირილის სერზე, ქვალრის მარცხენა მხარეს (ლემიქავე); მიქეშიშვილ ბოჯა „მიქაეების მთა“ – ბჟერის მთის აღმოსავლეთი განშტოება კვაუთის საზღვართან, ჩაფათღაისა და ქვალრის წყალგამყოფი (ლემიქავე); მიქეშიშვილ ნაოხმამშ „მიქაეების ნაეკლესიარი; ნალოცი“ – გორაკი ქვალრის მარჯვენა მხარეს. პარალელური სახელწოდებაა ღვთიშობეი. აქ მდგარა ღვთისმშობლის ეკლესია (ლემიქავე); მიქეშიშვილ ნოხორი(ი) „მიქაეების ნასახლარი“ – სახნავი ჩეჩონის სერზე, სადაც უცხოვრიათ ძმებს – გახუნია და ივანე მიქაეებს (ლემიქავე) და ა. შ. (იხ. კეკელია, 2008).

ლექსატარი

სოფელი ბანძის თემში, აბაშის მარცხენა ნაპირზე. „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეტანილია ლექსატარამეს ფორმით. ჩრდილო-

თით ლექველე ესაზღვრება, სამხრეთით – ლევახანე. აკონკრეტებნ: **გზნონონლიეპატარამ//მმენეპატარამ** (ქვემო ლეპატარე, გაღმა ლეპატარე – ბანძის მიმართულებით) და **წზ-მონონლიეპატარამ // მონენეპატარამ** (ზემო ლეპატარე, გამოღმა ლეპატარე).

პატარაია ერთ–ერთი მრავალრიცხოვანი გვარია. სულთა რაოდენობით 38–ე ადგილზეა საქართველოში (2130 სულით). სამეგრელოში პატარაიები კომპაქტურად ცხოვრობენ აგრეთვე ნოსირში, ნაჯახუში, აბელათში, ვედიდკარსა და სხვაგან. ბანძაში 80 კომლი სახლობს.

გვარის ფუძეს პირსახელი (პატარ, პატარა, პატარაი) წარმოადგენს. პატუ, პატუია, პატურა მეგრული სახელებია (იხ. ჭანტურია, 2006, გვ. 56). სწორედ ეს სახელები ქცეულა პატარაძის, პატარაშვილის, პატარიძის (იმერეთში), პატარავას (გურიაში) ფუძედ. ბანძელი პატარაიების საგვარეულო ჯგუფური მეტსახელია „**ყუჯა**“. შტოგვარებია: ხუტაიათურეფი//ხუტაიაშ დინო, ყუჯბურდლამეფი „ყურბალნიანები“, ჟირკიბირ(ამ)ეფი „ორკიბილიანები, მენჩერკიბილიანები, უკბილოები“, ჭურუეფი, პეხუეფი, ბაჭიპატარაიები, მუნჩვერეფი, ცოცოეფი//ცოცუეფი (იხ. კეკელია, 2007, გვ. 38 – 39; კეკელია, ფონიავა, „კულტურათაშორისი კომუნ.“, №4, 2008, გვ. 176 – 178).

გადმოცემის თანახმად ბანძაში პირველად სტუმარია პატარაია და მისი ორი ძმა ჩამოსახლებულა. სტუმარია ფაღავას მეჯოგე ყოფილა (კეკელია, 2007, გვ. 39).

ლეპატარეს ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტებია **მპატარამ//ლიეპატარამ** მუხურნი//პატარაიამ მუხურნი. შდრ.: **ლიეპატარამ** – ფერდობი კორცხელი-ოდიშის საზღვართან, ჯუმის მარჯვენა ნაპირზე. დღეს აქ ქობალიები ცხოვრობენ და მათ ლეპატარულ ქობალიებს ეძახიან (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 120; მისივე, II, 2007, გვ. 180). **ნაპატარაშ** – მინდორი და საჩაიე აბელათსა და პირველ ნამიკოლაგოში (ცხადაია, 2000, გვ. 120); **ნაპატარაშ** **წყაშ** – წყარო (აბელათი); **პატარაიამ** **მუხურნი** – სახნავი მუნჩიის ნაპირზე, აბასთუმანის თემის სოფელ მენჯში (ზუგდიდის რ.) და სხვ.

ლექსანი

სოფელი მაჩხაპესა და ზანას შუა, ზ.დ. 320 მ., დოშაყის თემში; მარტვილიდან 32 კმ-ითაა დაშორებული. ჟვანიები ცხოვრობენ აგრეთვე დიდი ჭყონში, კიწიაში, მარტვილში, ტალერში, სალხინოსა და ხუნწში. სულთა რაოდენობით ერთ-ერთი რიცხვმრავალი გვარია (3454 სული საქართველოში). შდრ.: საქ-ვანი - 1. უბანი ატამონია-სქაიის წყალგამყოფ სერზე (ნარაზენი, ზუგდიდის რ.). აქაური ჟვანიები დოშაყიდან ჩამოსახლებულან (იხ. ცხადაია, II, 2007, გვ. 201); 2. უბანი ეკისა (სენაკის რ.) და ონტოფოს თემებში (აბაშის რ.); 3. უბანი მორინჯის ნაპირზე, აგვავერაში (ოქუშის თემი, გალის რ.); საქვანი-საქითაწყარო - უბანი ზუგდიდის საზღვართან (ახალსოფლის თემი).

გვარ „ჟვანიას“ მიღების დაზუსტებული სურათი შ. აფრიდონიძის მოსაზრებით ასეთია: იოანე → დიანე → ჟიანე → ჟუანე → ჟვანია (აფრიდონიძე, I, 1987, გვ. 254).

ლესსულუხე

სოფელი წაჩხურის მარცხენა ნაპირას, სალხინოს თემში. გვარის ძირძველი დასახლებაა. აკონკრეტებენ: მლახონე მსს უჯ უსე (ზემო ლესსულუხე) და ბიმახონესე უჯ უსე (ქვემო ლესსულუხე). ოიკონიმი ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტებია მსჯ უსე, მსუჯ უსე, მსს უჯე. გადმოცემით, გვარის ძირის სალოცავი ილორის წმ. გიორგია. „სხულუხიას“ ხალხ. მოტივაცია: „სულ უხვია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ გვარის ხალხი გულუხეობით გამოირჩეოდა“ (მთხრ. შალვა სხულუხია). გვარს ფუძედ უნდა დასდებოდა საზოგადო სახელი სხული „მსხალი“ (იხ. მაისურაძე, 1990, გვ. 152., ცხადაია, 2000, გვ. 129). სხვა მოსაზრებით, გვარის ამოსავალია კოლხური პირსახელი სულუქი (სულუქია → სულუხია → სხულუხია). იმერეთში გავრცელებულია გვარის საპასპორტო ვარიანტი სულუხია (ცხადაია, 2000, გვ. 129). აჭანტურია მიუთითებს სხულიხია ვარიანტსაც (2006, გვ. 13). სხულუხიები ცხოვრობენ აგრეთვე თამაკონში, ტალერში, დიდი ჭყონში,

მარტვილში, ხუნწში, ლეხანდრაგოში, ნაგვაზავოში, სერგიეთში, კიწიაში, ცაიშში, ნარაზენში, ინგირში, გურიფულში, კახათში, ხამისქურში, ზობსა და ა. შ.

ლ ე ფ ო რ ხ უ ე

ლევოჩხუე პატარა სოფელია მუხურჩასა და ბანძას შუა, აბაშის მარცხენა ნაპირას, ზ.დ. 80 მ. სოფლის სახელწოდება გვარ **შ ო რ ხ შ ა ზ ე** ლეე ტოპოფორმანტის დართვით წარმოქმნილა. აქ ცხოვრობენ ფოჩხუები. ლევოჩხუე ამ გვარის ძირითადი, თავდაპირველი საცხოვრისია (საქართველოში სულ 1159 სული აღირიცხა). მიკროუბანს აბაშაჭაეს აღმოსავლეთით, სოფლის ჩრდილოეთით, ბუ(რ)ძღაიამ სამოხიოს გასწვრივ, **შ შ ა შ მ შ ო რ ხ შ ე** „შუაეფოჩხუე“ ეწოდება. საჩაიეს სოფ. მუხურჩაში, ვედიდკარის საზღვართან, „ფოჩხურს“ ეძახიან. აქ უწინ ფოჩხუებს უცხოვრიათ, რომლებიც შემდეგ საცხოვრებლად გადასულან ლევოჩხუეში. ხალხური გადმოცემით, ბატონისთვის გაწეული ცუდი სამსახურის გამო ფოჩხუები ეკლესიისთვის შეუწირავთ და საეკლესიო გლეხები გამხდარან (პროფ. პაატა ცხადაიას ინფორმაცია). ფოჩხუების შტოგვარებია: ბუძღაიეფი, ქაუჩიათურეფი // ქაფჩიეფი, კოჩიათურეფი და ხუხუიეფი//ხუხუიათურეფი.

სოფელში განსახლებულ სამ ათეულამდე გვარიდან კომლმრავალი გვარებია: ფოჩხუა, ცანავა, სიგუა და ესვანჯია (იხ. კეკელია, „მარტვილი“, №8, 2010).

ლ ე მ ა ჯ ა ი ე

სოფელი აბედათის თემში, ბუერის.მთისკალთაზე, ზ. დ 210 მ. ქაჯაია სულადობით ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში (3585 სული). აბედათში 38 კომლი აღირიცხება. გვარი განსახლებულია მარტვილის რაიონის სხვა სოფლებშიც: ონოლია – 85 კომლი, ბანძა – 27, ნაჯახუ – 9, თამაკონი – 6, სალხინო – 5, ლეხანდრაგო – 3, ვედიდკარი – 2, ნაგვაზავო – 1, მარტვილი – 1; აგრეთვე საჯიჯაოს თემის სოფელ ზენში, სადაც უბანს გესახვილესა და წიფურღალს შუა საქაჯაიო

ეწოდება (ხობის რ.). ექაჯაიე ქაჯაიების გვართ დასახლებული უბანია ონოლიაში, დაღვანის ორივე ნაპირზე. გვარისკაცნი – დეისმამა და შია ქაჯაიები მოხსენიებულია ნიჟანეულის საეკლესიო გლეხთა სიაში, რაც XVI საუკუნის ბოლოთი თარიღდება (ქსმ, 1970, გვ. 385). 1621 წელს შედგენილ საბუთებში გვხვდება ნაჟანეულელი ეკლესიის მეტეგრე მესტუმრია ქაჯაია (იქვე, გვ. 424). გვარის ძირეული ნაწილია ქაჯა, ქაჯა. აჭანტურია მეგრული ანთროპონიმების ლექსიკონში მიუთითებს პირსახელებს – ქაჯას და ქაჯალას (2006, გვ. 69). იმანსურაძეს ქაჯა ეთნონიმური წარმოშობის საკუთარ სახელად მიაჩნია (1990, გვ. 172). ქაჯი იგივე „ქაჯია“; ქაჯალი და ქაჯაშა „ქაჯივით სიარულს“ ნიშნავს, რაც გვარის ეპონიმის მეტსახელად შეიძლებოდა ქცეულიყო (ხასიათის ან სიარულის მანერის მიხედვით) (გვარის შესახებ იხ. კეკელია, „მარტვილი“, №10, 2009, გვ. 4; მისივე, „მარტვილი“, №8, 2010).

გვართან დაკავშირებული ტოპონიმებია: ნაქაჯაშ „ქაჯაიას ყოფილი“ – მინდორი ღურჯუმის გასწვრივ, ქვარის ხეობაში (ლემიქავე, აბელათის თემი); ქაჯანიშ ნაღინ(ბ) „ქაჯაიას ნაქონი მიწა“ – ერქვა სათესს ეზარქუეში (აბელათი); ქაჯანიშვიშ ბოჯა „ქაჯაიების მთა“ – მთა; იგივე აბელათიშ გოჯა (აბელათი); ქაჯანიშვიშ ტყა „ქაჯაიების ტყე“ – ტყე კოჯოშონას შემოგარენში (ლემიქავე)...

ლემობალი

სოფელი ზანასა და ოყვაბუეს შუა (დოშაყის თემი), ზ.დ. 340 მ. ქობალიები ცხოვრობენ დიდი ჭყონში, ტალერში, მარტვილში, ლეხაინდრაგოში, გაჭედელში, კიწიაში, კორცხელში, ოდიშში, დარჩელში, ლიაში, რუხში, ცაიშში, ჭოლაში, ალერტკარში, ჩხოროწყუში, ხაბუმესა და სხვაგან. დოშაყის თემში ამ გვარის 23 კომლი სახლობს. ლემობალი ეწოდება აგრეთვე უბანს ჭოლის თემში (ჩხოროწყუს რ.). აქვე სერს ლემობალემ სუკი//ქობალიაშ სუკი ჰქვია. გადმოცემით ქობალიების წინაპრები სვანი ქობალიანები არიან. მაგალითად, ნარაზენელი ქობალიები წმ. გიორგის ხატზე ლოცულობდნენ სვანეთის სოფელ ლატალში (იხ. ცხადაია, II, 2007, გვ. 201). საქობალიო უბნე-

ბია ოდიშის თემში. აქაური ქობალიების ერთი შტოა ნახირზე ქობალიეფი „გახიზნული ქობალიები“.

გვარის ვარიანტული ფორმა ქვაბალია გვხვდება წალენჯიხის ტაძრის წარწერაში (1384 – 1396 წ.წ.).

ლმცაჰმ

სოფელი სალხინოს თემში, ჩერსა და აფხაზურას შუა. ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია მცმ. ცაავა // ცაა მარტვილის რაიონში ერთ-ერთი გავრცელებული გვარია და სულთა რაოდენობით მე-7 ადგილზეა. ცაავეები მკვიდრობენ აგრეთვე დიდი ჭყონში, მარტვილში, გაჭვდილში, თამაკონში, ვედიდკარში, ტალერში, ბანძაში, ნაგვაზავოში, ლეხანდრაგოსა და ხუნწში. ძირძველ სამკვიდროს სოფელი ეცე//ლეცავე წარმოადგენს, რაც სამ ნაწილად იყოფა: მემენ მცმ, მომენ მცმ და წმმონხონ მცმ. შდრ.: უბანს ზუგდიდის რაიონის სოფ. ორულუში, მოვირწყარის ხეობაში, საცმეჰო//ცმეჰი ეწოდება. ოიკონიმიან დაკავშირებულია ტბორის სახელწოდება გაჭვდილის სატყეოში – მცმეჰ ტობა // ცმეჰიჰ ტობა. გვარის იშვიათი საპასპორტო ვარიანტია ცავა და ცაია. პ.ცხადაიას ვარაუდით, გვარი ცაავა სვანეთის საისტორიო ძეგლებში დაფიქსირებულ ცაავანს უნდა უკავშირდებოდეს (ცხადაია, 2000, გვ. 154).

1872 წლის ცნობით ლეცავე სალიპარტიანოში შემავალი სოფელია (იხ. კოლხიდელი, 1926, გვ. 36; ჯღარკავა, თსუ-ს შრომები, ტ. 113, 1965, გვ. 284).

ი. მეუნარგია ჯვარის მაზრის სოფლებს შორის ლეცავესაც ასახელებს (1939, გვ. 112).

1904 წლის აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ ლეცავეში მამულებს ფლობდნენ აზნაურები – იოსელიანები და შავდიები (იხ. კეკელია, „მარტვილი“, №8, 2010).

ლმციცხჰაიი

სოფელი ხუნწის თემში, ნოღელის ორივე ნაპირზე, ზ.დ. 130 მ. მარტვილს 5 კმ-ითაა დაშორებული. აერთიანებს მიკროუბნებს–(ლ)ებაკურიეს, ეგვაიეს, ეთოფურეს, (ლ)ემასხუდეს,

(ლ)ეწოწორიეს, ეხუნწიეს, ეჯაშიეს, ეჯიქიეს, (ლ)ეჯღამაიეს და საკუთრივ ეციცხვაიეს. საბჭოთა წყობილების დამყარების პერიოდში სოფლის სტატუსით გაერთიანდა ხუნწის სასოფლო საბჭოში. 1930 წლის მონაცემებით ლეციცხვაიეში აღირიცხებოდა 171 კომლი (813 სულით). პარალელური სახელწოდებაა ნატებერა. ციცხვაიების კომპაქტური დასახლებაა ნოღელის მარჯვენა ნაპირზე, მარტვილი – ხონის საავტომობილო გზაზე, ნახარებავოს საზღვართან. აქ უბანს მცნცხვაიე // მცხვაიე ეწოდება, მოგვიანებით კი მთელ სოფელს ლეციცხვაიე უწოდეს. ნატებერას პირველმოსახლენი ციცხვაიები, გვალეები და წოწორიები ყოფილან. სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია ლეციცხვაიე, რაც ჰაპლოლოგიის, ანუ ტოპონიმურ საფეხურზე ცნ კომპლექსის ამოვარდნის შედეგია (შღრ.: ეგეიე ← ეგეგეიე (← გეგელია. გვარი), ეგეჭკორე ← ეგეგეჭკორე (← გეგეჭკორი), ენჯღე ← ეჯღანჯღე (← ჯანჯღავა), ეძიგურე ← ეძიძიგურე (← ძიძიგური), ეკვეციე ← ეკვეკვეციე (← კვეკვეცია) და ა.შ.). ციცხვაია მცირერიცხოვანი გვარია (392 სული საქართველოში). კომლთა რაოდენობით ლეციცხვაიეში მესამე ადგილზეა (თოფურიასა და წოწორიას შემდეგ). სოფელში 15 კომლია აღრიცხული. ციცხვაიები ცხოვრობენ აგრეთვე მარტვილში – 12, ნაჯახუში – 2, ლეხანდრავოში – 2, ნაგვაზავოში – 2, სერგიეთში – 1 (სულ 43 კომლი მარტვილის რაიონში). გვარში გავრცელებული თქმულების მიხედვით, აფხაზეთიდან ირემს გამოდევნებულ ციცხვაიას ნატებერამდე უვლია. ირემი აქ მოუკლავს, მაგრამ უკან არ დაბრუნებულა, ტყე გაუკაფავს და აქვე დასახლებულა (იხ. კეკელია, „მარტვილი“, №8, 2010).

ლ ე ს ა ი ნ დ რ ა ვ ი

ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია (ლ)ეწაინდრე. თემში სამი სოფელი შეღის-ლეხანდრავო, ნოჯიხევი და სტეფასდაბალი. სოფელი მღებარეობს ზღ. 114 მ., ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში. რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებულ საკომლო აღწერის ცნობარზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლეხანდრავო-ონოღიის სოფლის საზოგა-

დოება ერთ-ერთი მოზრდილი დასახლება იყო ნოქალაქევის საპოლიციო უბანში, სადაც შედიოდა ოთხი სოფელი-ლესხანდრაო, ნაგიბეროვო, ნაჯახოვო და ონოლია(სულ 696 კომლითა და 4669 სულით). საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ შეიქმნა ლესხანდრაო-ონოლიის სასოფლო საბჭო, რაც აერთიანებდა ხუთ სოფელს-ლესხანდრაოს, ნაგიბეროვოს, ნაჯახოვოს, ნოჯიხევს და ონოლიას. ამ სახით სასოფლო საბჭო სენაკის მაზრის მარტვილის რაიონში შედიოდა.

XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის-ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზე, ცხენისწყლის პირას აღნიშნულია პუნქტი **ლესხანდა**-ს სახელწოდებით. ვახუშტისეული „ლესხანა“ ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ **ლესხანდრის** შეესაბამება(იხ. კეკელია, №12, 2010, გვ. 73).

XVII საუკუნის მოგზაური არქანჯელო ლამბერტი, რუკაზე, ცხენისწყლის ნაპირას აღნიშნავს პუნქტს **ლესორის** ფორმით. მკვლევარი შ. ჯღარკავა მიიჩნევდა, რომ „ლესორი დღევანდელი ლესხანდრაო“ (ჯღარკავა, 1970, გვ. 230 (ხელნაბეჭდი)). სენაკის მაზრის უფროსი კორნელი ბოროზდინი წერს: „ცხენისწყლის პირას მდებარე, ფალავების საყმო, სოფლები-ლესხანდრო და ნაგვაზუ ადამიანს გააოცებდა. აქ არაფერსა სთესდნენ: არც პურს, არც სიმინდს და სოფლელებს კი არაფერი აკლდათ...“ (ბოროზდინი, 1934, გვ. 250).

ხანდრაეების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ პირობის წიგნში დასტურდება „მოწმე სულ ერთობით სახანდრაო“ (კაკაბაძე, II, ტფ., 1921, გვ. 175).

სოფლის სახელწოდებისა და თვით სოფლის შესახებ საინტერესო გადმოცემა ჩაგვაწერინა მკვლევარმა შალვა ჯღარკავამ, რაც გასული საუკუნის სამოციან წლებში ლესხანდრაოელ პედაგოგ პოლიკარპე ლავრენტის ძე ხანდრაეასაგან მოუსმენია: „ოდესღაც აზნაურთა ორ გვარს-კორძაიებსა და ხანდრაეებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. კორძაიებს ხანდრაეები დაუბეზდებიათ სამეგრელოს მთავართან, როგორც მთავრის მოღალატენი. განრისხებულ მთავარს ხანდრაეები ამოუჟლეტია. ხოცვა-

ელეტას გადარჩენია ხაინდრავას ერთი რძალი, რომელიც ამ დროს იმერეთში ყოფილა, მშობლების სახლში. ქალი ორსულად იყო და ვაჟიშვილი შეძენია. ხაინდრავას ძე კარგი ვაჟკაცი დამდგარა, რომელსაც ერთხელ თავი უსახელებია იმერეთის მეფის კარზე. მეფესთან სტუმრად მყოფ სამეგრელოს მთავარს ეს შეუნიშნავს და მისი ვინაობა უკითხავს. როცა გაუგია მისი თავგადასავალი და ისიც, რომ ხაინდრავები უდანაშაულონი ყოფილან, ხაინდრავას ვაჟისთვის ცხენისწყლის პირას მამულები უბოძებია. ხაინდრავა ჯორზე შეუსვამს მთავარს და უთქვამს- მამული, რასაც ამ ჯორით მზის ჩასვლამდე შემოივლი, შენი იყოსო. მაშინ ეს ადგილები გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული, მაგრამ ხაინდრავას მაინც მოუსწრია ვრცელი ტერიტორიის შემოვლა აბაშასა და ცხენისწყალს შუა. აქ დასახლებულა და გამრავლებულა. სოფელსაც გვარის მიხედვით ლეხაინდრე შეერქვა“ (კეკელია, №12, 2010, გვ. 73). კ. ბოროზდინის თქმით, ხაინდრავები სათავადო აზნაურები ყოფილან (1934, გვ. 257).

(ლ)ეხაინდრე უწინ სოფლის ერთ პატარა უბანს ერქვა, სადაც ხაინდრავები სახლობდნენ(გვარის შესახებ იხ. ბედოშვილი, „მახარია“, №1, 2004, გვ. 3 და იქვე მითითებული ლიტერატურა). კომლთა რაოდენობით დღეს ხაინდრავებს ამ სოფელში დანელიები ბევრად ჭარბობენ, მაგრამ სოფლის ტრადიციული სახელწოდება ლეხაინდრე მაინც უცვლელი დარჩა(ცხადაია, 2000, გვ. 167; ლეხაინდრავოს შესახებ იხ. აგრეთვე - ჯახუა, „ლიტ. საქ.“, №9, 1988, გვ. 12). XX საუკუნის დამდეგს ხაინდრავებს უცხოვრიათ ნახუნუში, სადაც ისკიის მარჯვენა შენაკადს საჭილაოში დღესაც ეწოდება ხაინდრე. სახელდების მოტივი: ხაინდრავა ფლობდა მიწებს ღელისპირებში(კეკელია, №12, 2010, გვ.73).

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნეში, როგორც ჩანს, სათავადო აზნაურთა-ხაინდრავების (ადგ. გამოთქმით ხაინდრავა) მფლობელობაში არსებული მამული „სახაინდრაოდ“ იწოდებოდა. შდრ.: სახაინდრავა-უბანი ნაკალწყარსა და სკურჩეს შუა, დიდ ნემში(ზუგდიდის რ.). ივანდიდელი ხაინდრავების ძირის სალოცავი ნაჯახუს მთავარანგელოზთა ეკლესიაში ყოფილა. ცხადაიას დაკვირვებით, ლეხაინ-

დრა(ვ)ოს მაგალითზე ლე- პრეფიქსთან ერთადერთ შემთხვევაში ფიქსირდება —ო სუფიქსი, რაც სა- —ო და ნა- —ო კონფიქსებისეული —ო —ს გავლენით(ანალოგიით) უნდა გაჩენილიყო, სა-ბერულავ-ოს, ნა-გვაზავ-ოს და სხვათა მსგავსად (ცხადაია, 1985, გვ. 154).

მარტვილი

ქალაქი აბაშისა და ინჩხიის ხეობებში, ზ. დ. 170 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. მარტვილის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჭვენიას მაღალ სერზე, იქ, სადაც მარტვილის სამონასტრო ანსამბლია განლაგებული, წინაქრისტიანულ ხანაში იდგა უზარმაზარი მუხა ჭყონდიდი, რაც კერპად მიიჩნეოდა. ძველ საქართველოში ხეთა თაყვანისცემის და მცენარეულობის მძლავრი კულტის არსებობაზე მიუთითებდა აკად. ივანე ჯავახიშვილი: „ხემცენარეთა თაყვანისცემის არსებობის ერთ-ერთ საუკეთესო დამატკიცებლად უნდა ჩაითვალოს ძველ სამეგრელოში სახელგანთქმული ჭყონდიდი, რომელიც მეგრულად დიდ მუხას ნიშნავს და თავდაპირველად, უეჭველია, მუხის მსახურების სალოცავ ადგილად უნდა ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი, 1979 გვ. 134). წმინდა ხე ასოცირდებოდა სიუხვესა და ნაყოფიერებასთან. ამასთანავე ხესთან ასრულებდნენ რიტუალებს და შესთხოვდნენ პირუტყვის მომრავლებასა და დაცვას, გვარის გამრავლებას, მეთემეთა ჯანმრთელობას და ა.შ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შუმერულ მითოლოგიურ და ლიტერატურულ ძეგლებში განსაკუთრებული ჯიშის არაჩვეულებრივ მცენარეს სუფთა, ნათელი, ბრწყინვალე, წმინდა („Kyd“, „paz-paz“, „nu-ul-la“), ხოლო აქადურში „is-su el-lu“, — სუფთა, ბრწყინვალე, წმინდა ხე ეწოდება (იხ. კომოროცი, 1981, გვ. 51).

გადმოცემების თანახმად, ჭყონდიდის ხეს მსხვერპლად ეწირებოდა დედისერთა ჩვილი ბავშვი. ხალხის რწმენით თვით ხეში მცხოვრები კერპი ითხოვდა ადამიანებისგან მსხვერპლს. „სახელწოდება მარტვილი წარმოსდგა მეგრული სიტყვა მარცვიიდან (მე მოგკალი), მა რხვიი სქშა (მე მოგკალი, შვილო-ი.კ.)“ (იხ. ელიავა, 1977, გვ. 102). გადმოცემებში აღწერილია მუხისადმი მსხვერპლშეწირვის რიტუალიც. სამსხვერპლო ყრმას მთვარის დღეს — თუთაშხას (ორშაბათი) გამართულ

ყრილობაზე მოგვები კენჭისყრით შეარჩევდნენ. ღვთისგან რჩეულის პატივსაცემად შაბათ დღეს ლხინი იმართებოდა, ხოლო კვირას მსხვერპლად შეწირვის რიტუალი მუხასთან სრულდებოდა (იხ. ელიავა, 1962, გვ. 16). „საინტერესოა ის, რომ „თუთამ დღა“ და „ბჟამ დღა“ მთვარისა და მზის საზეიმო... დღედ იყო მიჩნეული; მხოლოდ მთვარისა და მზის „ნებასურვილით“ და „მზრუნველობით“ სწირავდა ტომი მათთვის განკუთვნილ საზეიმო დღეს მსხვერპლს. მუხის კულტი, უდავოა, დაკავშირებული იყო მზისა და მთვარის კულტთან“ (ელიავა, 1962, გვ. 16).

მუხაში დაბუდებული ყოფილა ღვთაება **კაკუშ** კაკუშნია. პროფ. სერგი მაკალათიას თქმით, მოსახლეობას „... ვალად სდებია მისთვის შეეწირა ადამიანის სული — „კოჩიშა გინომე კოჩიში შურია“ (ადამიანზე ვალად ელო ადამიანის სულიო — ი.კ.). ამიტომ, ვისაც შვილი ეყოლებოდა, ერთი შვილი მისთვის უნდა მიეცაო. შემდეგ ხალხს მისგან თავი დაუხსნია და კაცს სულის სანაცვლოდ მსხვერპლად ღორი გაუჩენია“ (მაკალათია, 1941, გვ. 308).

ხალხის რწმენით, სწორედ ეს ღვთაება ითხოვდა მსხვერპლს. სამსხვერპლოსთან მის „პატივსაცემად“ ვინც ბავშვის სისხლს არ დაღვრიდა, მას თითქოს რისხვად მოევიწიებოდა კაკუნია.

ჭყონდიდის კერპი წმინდა ანდრია პირველწოდებულს მოუჭრია. მარტვილის ეკლესიის ტრაპეზი თითქოს იმ მუხის ძირზე უნდა იყოს დადგმული, რაც ანდრია მოციქულს მეგრელთა ქრისტიანულ რჯულზე მოქცევისას მოუკვეთია (იხ. თაყაიშვილი, 1993, გვ. 3). წერილობითი წყაროებიც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას წმინდა ანდრიას სახელს უკავშირებს.

XI საუკუნის მემატიანე ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელი არს სოფელი მეგრელთა, სადა—იგი დაჰყო ჟამი მცირედი და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკუიდრთა შორის მის ქალაქისათა... წმინდამან მოციქულმან ანდრია მოიკითხნა ყოველნი სიმდაბლით და სიყუარულით, მისცა მშუილობა და წარემართა სხუათა ადგილთა ქდაგებად სახარებისა... ხოლო ვითარცა აღესრულა დღესასწაული მარტვილისა, წამოვიდა მუნით დიდებუ-

ლი ანდრია სხუათა მათ თანა მოციქულთა, მოვიდოდეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა, და ესრეთ მიიწივნეს ქვეყანასა ქართლისასა“ („ქ.ცხ.“, I, 1955, გვ. 39-42).

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ მუხის ადგილზე ხის სენაკი ან ტაძარი უნდა მდგარიყო, VII საუკუნის დასაწყისში კი მონუმენტური ნაგებობა – ჯვრის ტიპის ეკლესია ააგეს. მის გარშემო შეიქმნა მონასტრის მთელი კომპლექსი, რასაც მარტვილი ეწოდა (იხ. კეკელია, 2009, გვ. 11-12).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „მარტვილი // მარტვირი“ ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრმასა უწოდენ“ (1928, გვ. 197). ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს ექვთიმე თაყაიშვილიც. მისი თქმით, „სიტყვა მარტვილი წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან რომელიც ნიშნავს წამებულს“ (თაყაიშვილი, 1993, გვ. 3). მოწმის, თავისი სისხლით დამმოწმებლის, დამამტკიცებლის აღსანიშნავად ბერძნულში მართლაც ითქმის სიტყვა „მარტვიროს“. აქედან არის ნაწარმოები „მარტვილობა“ და „სამარტვილე“, რაც „წამებას“ და „საწამებელ ადგილს“ ნიშნავს.

მარტვილი ან მარტვილნი იმ ადამიანთა მიმართ გამოიყენება, რომელნიც, გიორგი აღიბეგაშვილის თქმით, მოღვაწეობდნენ და იმარტვილეს – მოწამეობრივად დაასრულეს სიცოცხლე, ვითარცა ქრისტემ (იხ. აღიბეგაშვილი, 1994, გვ. 39).

მარტვილი „ქრისტეს ერთგულების დამადასტურებელს, ტანჯულს, ნაწამებ-ნაწვალებს“ ნიშნავს. ასე, მაგალითად, „აბო თბილელის წამებაში“ ერთგან ვკითხულობთ: „... ხოლო ძვალნი იგი წმიდისა მოწამისანი, რომელთა ვერღარა უძლეს დაწვაი, შთაკრიბნეს დიდსა მას მდინარესა... და იქმნა... სიღრმეი იგი წყალთაი საფლავ წმიდისა მის მარტვილისა (ხაზგასმა ჩვენია – ი.კ.), რაითა არავინ უდებად მიეხოს მათ“. მოტანილ ნაწყვეტში „წმინდისა მის მარტვილისა“ ნიშნავს „წმინდა წამებულს“, ე.ი. ქრისტეს ერთგულებისთვის ნაწამებს. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება მარტვილობითი ჟანრის ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებიდან.

ხალხურ გადმოცემაში გაბატონებულია აზრი, რომ მარტვი-

ლის ტაძარი წამებულთა სახელზეა აგებული და ამ წამებულებში სწორედ იმ დედისერთა ჩვილ ბავშვებს გულისხმობენ, ხალხური რწმენით დიდ მუხაში დაბუდებულ ღვთაება კაპუნიას რომ სწირავდნენ წარმართი კოლხნი. სინამდვილეში კი სახელწოდება „მარტვილში“ ქრისტიანი წმინდა მოწამენი უნდა ვიგულისხმოთ. ეს აიხსნება თუნდაც იმ გარემოებით, რომ კერპისთვის მსხვერპლად შეწირულთა სახელზე ქრისტიანული სალოცავი არ აშენდებოდა, იმდენად, რამდენადაც, წარმართებს ვალად ემართათ კაპუნისთვის ადამიანის სული და ამდენად ჩვილ ბავშვთა მსხვერპლად შეწირვის რიტუალი მათი პირადი ნების გამოხატულება უფრო იქნებოდა, ვიდრე შეწირულთა მოწამეობრივ აღსასრულად მიჩნევა. წმ. ანდრია მოციქული სახარების ქდაგებით ცდილობდა ქართველ წარმართთა ქრისტეს რჯულზე მოქცევას. ქრისტიანობისთვის წამებული კი, როგორც აღვნიშნეთ, „მარტვილად“ იწოდება და მის შინაარსში შეუძლებელია ვიგულისხმოთ წარმართთა მიერ ნაწამები, ხისთვის მსხვერპლად შეწირული ადამიანები. ქრისტიანული ტაძარი, ბუნებრივია, მხოლოდ ქრისტესათვის წამებულთა (და არა კერპისთვის შეწირულთა) სახელზე იქნებოდა აგებული. ეს რომ ასეა, რამდენიმე ისტორიული წყაროთი დასტურდება. მაგალითად, მარტვილის ტაძრის დასავლეთ კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე, ამოქოლილი თაღის მარჯვნივ, არის ნაკაწრი წარწერა, რაც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით III–IV საუკუნეებით თარიღდება (იხ. კულავა, „მაცნე“..., 3–4, 1993, გვ. 206). წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „... წმიდაო მარტ(ვ)ილნო, შეიწყალე ამისი დამწერი ლ(ეონ)ი და ვინ წაიკითხოს, შეუ(ნ)დვე ღმერთმა ცოდვანი...“ (იქვე). „წმიდა მარტვილნი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტესათვის წამებულებს, ქრისტეს ერთგულებისთვის ტანჯულებს ნიშნავს. ამ მნიშვნელობითაა იგი გამოყენებული ეთაყიშვილის მიერ გამოცემულ მარტვილის ვერცხლის სასვენებლის ზურგზე გაკეთებულ მხედრულ წარწერაში (VII ს.), სადაც ვკითხულობთ: „ქ: ეპა შენ. ცათა უმაღლესო და ქერობინთა უწმიდესო უხრწნელად მშობელო ძისა ღ(მრ)თისაო: მარადის ქალწულო მარტვილთა ღვთის მშობელი (ხაზგასმა ჩემია – ი. კ.)“ (თაყაიშვილი, 1993, გვ. 8).

VIII საუკუნის ოცდაათიან წლებში, არაბთა ლაშქრობის დროს იავარქმნილი ტაძარი X საუკუნეში აღუდგენია „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ს, რომელმაც ჭყონდიდი საეპისკოპოსო კათედრად გამოაცხადა. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს: „ამან (გიორგიმ – ი.კ.) განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტულთათა“ („ქ. ცხ.“, I, 1955, გვ. 265). ირკვევა, რომ გიორგი „აფხაზთა“ მეფეს **წმიდა მარტვილთა** (მოწამეთა) ნაწილებით – ქრისტიანული სიწმინდეებით შეუქმნია მარტვილის აღდგენილი ტაძარი.

როგორც ჩანს, თავდაპირველად ყველა წმინდანის („მარტულთა“) სახელზე აგებული ტაძარი, სწორედ X საუკუნეში, მეფე გიორგის მიერ მისი აღდგენის შემდეგ იწოდა მარტვილის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრად, რომლის სახელსაც ატარებს დღესაც¹.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჭყონდიდში მდგარი მონასტერი საუკუნეების მანძილზე ატარებდა **მარტვილთა** სახელს. მეტონიმიის გზით სალოცავის სახელწოდება დასახლებულ პუნქტზეც განივრცო და უკვე XVII საუკუნის მიწურულიდან, ლევან III დადიანის მთავრობის პერიოდში, ჭყონდიდის პარალელურად სოფელი მარტვილადაც იწოდებოდა. შემდეგ სოფლის სახელწოდებად მარტვილი გაბატონდა, საეპისკოპოსო კათედრალს კი ძველი სახელი – ჭყონდიდი შერჩა (იხ. ბერაძე, XXI, 1970, გვ. 45).

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჭყონდიდ–მარტვილი საისტორიო საბუთებში პარალელურად **ნაოლღალქვად** იწოდებოდა.

სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის დროს ოდიშ–ლენჩხუმი რამდენიმე მაზრად იყო დაყოფილი. მარტვილის მაზრა იმეუნარგიას მონაცემებით 23 სოფელს აერთიანებდა, მათ შორის დასახელებულია თვით მარტვილი, საელიაეო, ქვაითი და ნა-

¹ შტრ.: მოწამეთა – მონასტერი წყალწითელას ხეობა-ში; ყველაწმინდა – ტაძარი გურჯაანში.

ლფესოუ (იხ. მეუნარგია, 1939, გვ. 113). 1917 წლამდე სენაკის მაზრის შემადგენლობაში იყო. 1936 წლამდე სოფელი მარტვილად იწოდებოდა. 1936 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით რევოლუციონერ ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის პატივსაცემად გეგეჭკორი დაერქვა და ამ სახელს ატარებდა 1989 წლამდე. 1956 წელს გეგეჭკორს დაბის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 1982 წელს – ქალაქისა (იხ. კეკელია, 2009, გვ. 149). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 6 ივლისის ბრძანებულებით რაიონსა და ქალაქს ძველი სახელწოდება დაუბრუნეს და იწოდებოდა მარტვილის რაიონად და ქალაქ მარტვილად (იხ. კეკელია, 2009, გვ. 149). 2007 წლიდან ქ. მარტვილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნასთან დაკავშირებით გეგეჭკორის საქალაქო საბჭოს ორი სოფელი – ნახარებავო და საელიავო ტერიტორიულად შეუერთდა ქალაქ გეგეჭკორს (იხ. დანართი). ამჟამად ქალაქი მარტვილი აერთიანებს საკუთრივ მარტვილსა და სოფლებს – ნაესუსს (ნალეფსაო), ნახარებაუს (ნახარებავო), საელიავოსა და ქვაითს.

მ ა ხ ა თ ი

მახათი ნოღელის ხეობაში მდებარე პატარა სოფელია (ველიდკარის თემი). ზ.დ. 70 მ-ზე მდებარეობს და მარტვილს 17-კმ აშორებს. 1886 წლის საკომლო აღწერის მასალების მიხედვით ბანძის სოფლის საზოგადოების შემადგენლობაშია. გელიავას მიერ ჩაწერილი ხალხური განმარტება ასეთია: „აქ ისეთი უღრანი ტყე ყოფილა, რომ კაცი მახათს ვერ გაატარებდა და ამიტომ ადგილს მახათი უწოდესო. აქ გაუვლია მთიდან დაძრულ ტომს. შეუსვენებია მუხნარში (ჭყონარი), სადაც ტომის მეთაურს მახათი დაკარგვია. ეს ტომი მახათს გვარისა იყო და თვით ტომის მეთაური მახა(მახარია) ყოფილა“ (იხ. ელიავა, 1977, გვ. 66).

ა. ჭანტურია მეგრულ პირსახელთა შორის ასახელებს მახას, მახათს, მახათიას, მახაიას და მახეიას (იხ. ჭანტურია, 2006, გვ. 49).

მახათი ანთროპოლოკონიმაღ უნდა მივიჩნიოთ, სადაც მახა პირსახელია, ხოლო თი იგივეა რაც ოჯახი; სახლი, სახლ-კარი (იხ. კეკელია, ბუალავა, „ქ. ო“, IV, 2010, გვ. 120). თი სახელისა ან გვარისგან აწარმოებს დასახლებული ადგილის სახელს (მღრ.: სერგიათი ← სერგიაშ თი, ბომბოთი ← ბომბოშ თი, კვაუთი ← კვაუშ თი, თოლორდათი ← თოლორდაშ თი (თოლორდა, თოლორდავა გვარია), ბერიათი ← ბერიაშ თი, სეფიათი ← სეფიაშ თი, გეჯეთი ← გეჯეშ თი, გუგუნაყათი ← გუგუნააშ თი და ა. შ.).

გაღმოცემით, მახათი თავიდან ნასახლარების სახელწოდება ყოფილა მუხურჩის ტყეში; მეტონომიის გზით კი მის აღმოსავლეთ გაგრძელებასაც მახათი დაერქვა. სოფელი ორ მიკროუბანს საკარტოზიოსა და საძიძიგუროს აერთიანებს. აქვე ცხოვრობს გვასალიას, ურიდიას, ჩიქვანაიასა და სხვა გვართა თითო-ოროლა კომლი.

მუხ ურჩა

აბაშის მარცხენა მხარეს, გაშლილ ველზე, ზ.დ. 65 მ.-ზე მდებარე სოფელია. მარტვილს 17 კმ-ითაა დაშორებული. XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მესამედში მუხურჩა ჯერ ბანძის საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ ბანძის სასოფლო საბჭოში შედიოდა. „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებაში“ სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია მუხ ას-თიან. სინამდვილეში ამოსავალია სიტყვა მუხ ური, რაც სამეგრელოში „კუთხეს, მხარეს, უბანს; მდინარის რკალში მოქცეულ, მომწყვდეულ ადგილს“ ნიშნავს.

მუხურ – ფუძიანი ტოპონიმები ფართოდაა გავრცელებული. სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონებში არის სოფელი მუხ ურის სახელწოდებით; მუხ ური სოფელი და თემის ცენტრია სამურზაყანოში, ოქუმწყარის მარცხენა ნაპირზე (გალის რ.); ბანარჯიის მუხ ური (ბანმუხ ური) სოფელი და სოფლის ცენტრია ენგურის მარჯვენა ნაპირას (ზუგდიდის რ.); მუხ ურა//მუხ ური ეწოდება ჭალა-სახნავს მდ. ცივის მარჯვენა ნაპირზე (მეორე ლესიჭინე).

აქვე დავასახელებთ სხვა საილუსტრაციო მასალას მარტვილის რაიონის ტოპონიმიდან:

მუხ შრაბ – დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებულია გ.ელიავას წიგნში, სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ტყისა და საძოვრების ზონაში და განმარტებულია, როგორც „კუთხე, ერთი მხარე“ (ელიავა, 1977, გვ. 180).

მკპკმე//მკპკმეშ მუხ შრი – სოფელი ბანძის თემში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას;

მკატარე//ლმკატარე//კატარანიაშ მუხ შრი – სოფელი ბანძის თემში, აბაშის მარცხნივ, ლეკეკელეს საზღვართან;

მუხ შრი – მინდორი ოგურგინეშსა და დიდლალს შუა, ეხუნწეში (ქვაითი);

მუხ შრი//ჭკოკშრი – მინდორი ხუფათსა და ღარწყკუს შუა (ჯოლევი);

ჯორიმესკშაეფიშ მუხ შრი – უბანი სოფლის აღმოსავლეთით (ლესხანდრაავო). **ჯორიმესკშა** დანელიას გვარის ერთ-ერთი შტოა;

ბანარჯიაშ მუხ შრი – უბანი ლესხანდრაავოს საზღვართან (ნაჯახავო);

ბაკოსქშაეფიშ მუხ შრი – უბანი (ლესხანდრაავო);

ბოქლოსქშაეფიშ მუხ შრი – უბანი (ლესხანდრაავო);

კაკუცასქშაეფიშ მუხ შრი – უბანი (ლესხანდრაავო);

კოჩობასქშაეფიშ მუხ შრი – უბანი (ლესხანდრაავო) და ა.შ.

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში ოიკონიმი „მუხურჩა“ (←მუ-ხ-შრი(ი)შჩა) შეიძლება აიხსნას, როგორც „შავი“ კუთხე; შავმიწა“ (მღრ.: შჩა დიხა „შავი მიწა“).

სახელდების ხალხური მოტივაცია: ა. „მუხურჩა შავ უბანს ნიშნავს. შემოსეულ მტერს აუოხრებია“; ბ. „ნახანძრი, ნაკაფი უბანი“; გ. „სოფლის ტერიტორიაზე რამდენიმე ღელე-ნაკადული მიედინება. იტყვიან – წყარი მეხურჩანს „წყალი მიჩხრიალებს, მირაკრაკებს“ (ინფ.). გ.ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით მუხურჩა უბედურ, შავ და განამწვარ კუთხეს, უბანს ნიშნავს; სხვა გადმოცემით კი სოფლის სახელწოდების თავდა-

პირველი ფორმაა მუხ ურაჩი „თეთრი უბანი“: „რადგან ქვიანი უბანია, ველები გადათეთრებულია ქვებით“ (1977, გვ. 67).

ქართულიდან შეთვისებული ნა- პრეფიქსის ძირითად დანიშნულებას სამეგრელოს ტოპონიმიში ყოფილობის, პიროვნების ნამყოფობის, წარსულში კუთვნილების გადმოცემა ანუ წინავითარების აღნიშვნა წარმოადგენს, ერთი თავისებურების გათვალისწინებით – ამოსავალი ფუძე ხშირ შემთხვევაში ანთროპონიმი. ამდენად, ნა- პრეფიქსი ამა თუ იმ სახელის, ან გვარის მატარებელთა ტოპონიმით სახელდებულ ადგილას ნამყოფობის ხაზგამსმელია, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ნამყო დროის მიძლეობას წარმოადგენს.

საინტერესოა ტოპონიმიის ცნობილი მკვლევრის – პაატა ცხადაიას დაკვირვება ანთროპონიმიდან, კერძოდ, გვარიდან ნა- პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებზე. ნაღარანჯ, ნაკმშილუ, ნაღაზარუ, ნაქუთილუ, ნაცხადუ და ნაქმრუ ტიპის ტოპონიმთა სახელდებისათვის საერთო სიტუაციას ენათმეცნიერი ასე წარმოადგენს: „მთიან სამეგრელოში გავრცელებული იყო მიკროდასახლებანი, თითოეული მათგანი, როგორც წესი, თითო გვარის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა და სახელიც ამ გვარისგან ლე-ე ან სა-ო კონფიქსებით ეწარმოებოდა. უკვე დასახლებული ან სახელდებული ტერიტორიის მახლობლად შემდგომში შეიძლებოდა სხვა გვარის წარმომადგენელიც დაეკვიდრებულიყო. თუ ეს ახლადდამკვიდრებული გვარი გამრავლდებოდა და რამდენიმე კომლს მიაღწევდა, - მაშინ მათს დასახლებასაც მიეკუთვნებოდა გვარისაგან ლე- ან სა- პრეფიქსით წარმოქმნილი სახელწოდება. მაგრამ ხშირად ხდებოდა პირიქითაც: ახლადდასახლებული ადგილი გარკვეული დროის შემდეგ სხვადასხვა მიზეზით (შინაომი, დევნა-შევიწროება, უამი, ტყვედ მოტაცება) ცარიელდებოდა, ნასახლარად იქცეოდა. სწორედ ასეთ ადგილს ახლომახლო მცხოვრებნი შეარქმევდნენ ხოლმე გვარისგან ნა- თავსართით ნაწარმოებ სახელს. ადგილის დახასიათება იმის მიხედვით, თუ ვის უცხოვრია იქ, ჩვეულებრივი

და ფართოდ გარცელებული მოვლენაა კოლხეთის ტოპონიმიაში“ (ცხადაია, 1985, გვ. 167).

პირსახელიდან ან გვარიდან მომდინარე ნა-პრეფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდებანი მარტვილის რაიონში ორმოცდაათს აღწევს, რომელთაგან თითქმის ერთი ათეული სოფლის სახელწოდებაა.

ნაბიბირუ

სოფელი ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ნოდელის ხეობაში. მარტვილს 12 კმ-თაა დაშორებული და ზ. დ. 105 მ-ზე მდებარეობს „გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესულია ნაბიბირაპოს ფორმით. პ. ცხადაია ოიკონიმ ნაგებერავოს მიხედვით აღადგენს გვარ გებერავას (2000, გვ. 67), ე. ი. ნაგებერუ – „სადაც გებერავას უცხოვრია.“

უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია ოიკონიმ „ნაგებერუ(უ)ს“ გვარ გიგიბერიასთან დაკავშირება. მხარეთმცოდნე გ. ელიაეას განმარტებით „ნაბიბირუ, ადგ. გიგიბერიების (გვარია) ნასახლარი“ (1977, გვ. 82). გიგიბერიები ცხოვრობენ ფოთში (130 სული), სენაკში (127 სული), ზუგდიდში (98 სული), ძველ სენაკში (21 სული), ობუჯში (15 სული), განარჯიის მუხურში (7 სული), ქარიატაში (7 სული), დარჩელსა (3 სული) და სხვაგან. საგიგიბერიო უბანია ძველი სენაკის თემში. საბიბირიო (ს)სენი მინდვრის სახელწოდებაა გამოღმა შუა ხორგაში (შუა ხორგის თემი, ხობის რ.), სადაც ქარიატელ გიგიბერიებს საყანე ჰქონიათ. ბიბ(ი)ბირიაშ მუხური საძოვარია ხობისწყლის ჭალაში (გამოღმა ქარიატა, ხობის რ.).

პირველი წერილობითი წყარო, სადაც გვარი გიგიბერია იხსენიება, თარიღდება XVIII ს. ბოლო მეოთხედით. ესაა შეწირულების წიგნი, საიდანაც ირკვევა, რომ ხორგაში მცხოვრები აზნაურისშვილი მორღებუ გიგიბერია თავის ორ გლეხთან ერთად ბიჭვინთის ეკლესიისთვის შეუწირავთ (იხ. ქსდ, 1970, გვ. 612). XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთი დოკუმენტის მიხედვით გაღმა ხორგაში მცხოვრებ ბესია გიგიბერიას და მის ორ გლეხს გარკვეული საეკლესიო გადასახადი ემართათ (იქვე, გვ. 770). 1904 წლის აღწერის მონაცემებით აზნაურ გიგიბერიებს

უცხოვრიათ ხორგასა და დიდ კოკში (ცხაღია, 2000, გვ. 71).

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს გვარის ვარიანტის – ბებებერია ისტორიულ საბუთებში დადასტურება. 1455-1474 წლებით დათარიღებულ საბუთში მოხსენებულია გეგებერია (იხ. პალ, 1991, გვ. 611). „საქაიშლო გამოსავლის დაუთარში“, რაც 1616-1621 წლებშია შედგენილი, დასახელებულია ოცზე მეტი საეკლესიო გლეხი, გვარად გეგებერია, რომლებიც ცაიშსა და მის ახლომახლო სოფლებში მოღვაწეობენ (იხ. ქსმ, III, 439-440, 442, 468-469)...

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაბებებერა → ნაბებერა ნიშნავს გეგებერიას (გეგებერიას) ნასახლარს, ადგილს, სადაც ამ გვარს ან გვარისკაცს უცხოვრია. შესაძლებელია ნაბებერა, ნაბებერა თავდაპირველად მხოლოდ პატარა გეოგრაფიული ობიექტის – სახნავის, საძოვრის, მინდვრის ან ტყის სახელი ყოფილიყო და გარკვეული მიზეზების გამო განიცდოდა სახელდებული ობიექტის უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, რაც დამახასიათებელია სამეგრელოს ტოპონიმისათვის (იხ. ქვემოთ ნაბებერა(ბ), ნაბებერა(ბ)...)...

ნაბებერა(ბ)

სოფელი აბაშისა და ცხენისწყლის შუამდინარეთში, ვაკეზე. ტერიტორია ვრცელდება სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სოფლის სახელწოდება ნა-უ ინფიქსებითაა ნაწარმოები, რომლის ფუძეს ბებერა- წარმოადგენს. ამ და, სოფლის მსგავს სახელწოდებათა წარმომავლობის შესახებ აკად. არნოლდ ჩიქობავა წერდა: „ნა-ლემუს-(-)-ბ სადაც ლემუსა-იები ცხოვრობდნენ; ნა-ბებერა-(-)-ბ, სადაც გვაზავები მოსახლეობდნენ... შეუძლებელი არაა, ამგვარი წარმოების სოფლის სახელები ისტორიულად იმაზე კი არ მიუთითებდეს, სადაც ამა თუ იმ გვარს წინათ უცხოვრია, არამედ – სადაც ეს გვარი ცხოვრობს, ე. ი. ნა = სა - : ნა- გვაზოუ, სა-გვაზოუ... თუ ეს ასეა, სოფლის სახელთა ნა- პრეფიქსით წარმოება ძველია“ (ჩიქობავა, 1942, გვ. 196). ამ თვალსაზრისს იზიარებდა აკად. აკაკი შანიძეც, რომელიც ნა- პრეფიქსს ქართულ სა-ს ბადალად და სვანური წარმოშობისად მიიჩნევდა და წერდა, რომ თავდაპირ-

ველად დანიშნულების პრეფიქსი ლე- პრეფიქსი უნდა ყოფილიყო (იხ. შანიძე, „მაცნე“, 3, 1972, გვ. 155).

გ. ელიავას მიაჩნდა, რომ „ნ ა გ ვ ა ზ ა ო წარმომდგარია ზ ვ ა ზ ა გვარიდან. ნ ა გ ვ ა ზ უ სიტყვასიტყვით გვაზავების წნასახლარია. ახლა აქ ოცამდე სხვადასხვა გვარი ცხოვრობს, ;გვაზავები კი საგრძნობლად მცირერიცხოვანია“ (ელიავა, 1977, ;გვ. 107).

ნა- პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმების წარმომავლობისა და შინაარსის საკითხს ვრცლად შეეხო პ. ცხადაია, რომელმაც გვარისგან ნა- პრეფიქსით ნაწარმოები (თანმხლები სუფიქსითურთ) მიკროტოპონიმების წარმომავლობისა და სახელდების ისტორიის გათვალისწინებით არ გაიზიარა მოსაზრება ნა-, ლე- და სა- პრეფიქსების იდენტურობის შესახებ: „სა-ბჰპაზა-წ არის „გვაზავების საცხოვრებელი ადგილი“, ხოლო ნა-ბჰპა-ზუ – „გვაზავების (ან გვაზავას) ნაცხოვრები ადგილი... ნა-ჯღარკ-უ // ლე-ქურსუ-ე ტიპის სახელწოდება – ვარიანტებშიც კი ნა- და სა-, ან ნა- და ლე- ფუნქციით ერთმანეთის იდენტურნი არ არიან. ორი განსხვავებული ფორმა ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდებისა, ერთისა და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები, ასახავს სინამდვილის ორ სხვადასხვა მხარეს, ორ განსხვავებულ ისტორიულ ვითარებას“ (იხ. ცხადაია, 1985, გვ., 170-171).

სოფელში გვაზავებით დასახლებულ ერთ პატარა უბანს, რაც ქვედა ნაგვაზავოში, მდ. ნოღელის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, ე გ ვ ა ზ ე ს (საგვაზავო) ეძახიან. ამ უბანში გვაზავები დღესაც ცხოვრობენ. მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთლიანად სოფლის სახელწოდებად ფიქსირებული ფორმა „ნაგვაზუ(უ)“ „გვაზავების (ან გვაზავას) ნასახლარს“ ნიშნავს? ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პ. ცხადაიამ. მკვლევრის აზრით, ნაბჰპა-ზუ(უ) // ნაბჰპაზ(ო)უ თავდაპირველად მცირე ტერიტორიული შემოსაზღვრულობის მქონე გეოგრაფიული ობიექტის – სახნავის, ტყის, მინდვრის, ბორცვის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. მეტონიმის გზით კი მთელ სოფელს ამ ადგილის სახელი დაერქვა. „ნა-ბჰპაზ-ო“უ „გვაზავას ნაცხოვრები ადგი-

ლი“ შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს კი არ გამოხატავს, არამედ ახლომახლო მოსახლე იმ კოლექტივის თვალსაზრისს, რომლის თვალწინ მოხდა გვაზავას საცხოვრებელი ადგილის გადაქცევა ნასახლარად“, – წერს პ. ცხადაია (იქვე).

წერილობით წყაროებსა და ზეპირმეტყველებაში ტოპონიმის რამდენიმე ფორმაა ცნობილი. XVII საუკუნის I ნახევრით დათარიღებულ წერილობით საბუთში ვკითხულობთ: „ამას გარდა ნაბჰაზაშურს ორი კაცი იყო, მარტო ბეგარა ჩვენი იყო და სხვა სამსახური ლიპარტიანისა ეღვა“ (იხ. აფხაზეთის კათალიკოსის დიდი იადგარი, გვ. 191). იმავე საბუთის ადრინდელი მინაწერი გვამცნობს: „...ნაბჰაზაშოს სასახლისთვის ბატონს ლიპარტიანს შევებვეწეთ და ცარიელი უსახლკარო სასახლე ადგილი მომაქრთამა ორი მოსახლითა... საყდარი ავაშენე...“ (გვ. 191). „აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ ჩვენ... სასახლე ნაბჰაზაშო“... (გვ. 193).

„აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დაუთარში“ ფიქსირებულია აგრეთვე ტოპონიმი ნაბჰაზაშურმბი: „ახლა ბატონმან ლიპარტიანმან და ბატონმა კ-ზმან დავსდევით ნაბჰაზაშურმბს რაც კაცი სახლობს კუამლის თავსა თითოს კაცსა ათათი კოდი ლომი...“ (იხ. კაკაბაძე, გვ. 18).

სოფელი ნაბჰაზაშუს ფორმით თავის რუკაზე აღნიშნული აქვს XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, გეოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს – ვახუშტი ბაგრატიონს.

კორნელი ბოროზდინი წიგნში – „სამეგრელო და სვანეთი“, იხსენიებს სოფელ ნაბჰაზაშუს: „ცხენისწყლის პირას მდებარე, ფალავების საყმო, სოფლები – ლენაინდრო და ნაგვაზუ ადამიანს გააოცებდა...“ (გვ. 250). მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია, ოდიშის მთავრის – დავით დადიანის დროინდელი მარტვილის მაზრის სოფლებში პირველ და მეორე ნაბჰაზაშოს ასახელებს (იხ. 1939, გვ. 113).

„საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში (მასალები)“ შესულია ნაბჰაზაშუ – სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. პარალელური სახელწოდებაა ნაკათი (ლევურწყუმის თემი). ამავე ლექსიკონში, იქვე, მითითებულია „ნაბჰაზაშო – სოფლების ზემო ნაბჰაზა-

ვოსა და ძველი ნაბჰაზაპოს გავრცელებული სახელწოდება“ (1987, გვ. 73).

ხალხურ მეტყველებაში მოსახლეობა სოფლის სახელწოდებად ნაბჰაზ(უ)ს იყენებს. ფოლკლორისტ კალისტრატე სამუშიას მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ: „ნაბჰაზ(უ)ს გიმანთხესენი, ყარამანი ოკათულუ, ჯვარცგ უზაღანდესენი, მუში ჯვარი მონათუნდგ...“ (ნაგვაზუში რომ დამესხნენ, (იქ) ერია ყარამანი, ჯვარს რომ ჰპირდებოდნენ, მონათებდა მისი ჯვარი)“ (1971, გვ. 87). ტოპონიმის ასეთივე ფორმა გვხვდება მეორე ხალხურ ლექსშიც – „ვო, დაღია, დაღია“. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ზემო და ქვემო ნაგვაზუ(უ)ს პარალელურ სახელწოდებად გვხვდება ნოღა-ნაბჰაზ(უ) და სანძიპანოშ ნაბჰაზ(უ).

ამდენად, სოფლის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტიდან (ნაგვაზაური, ნაგვაზაურები, ნაგვაზუ(უ), ნაგვაზავო) სწორი ფორმაა ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებული ნაგვაზუ(უ).

ნაქსუ

ნაქს(უ) („საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით ნაქს(უ)ს(ო)) ქალაქ მარტვილის საკრებულოში შედის და შეფენილია კადამონას მთის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ. დ. 210 მ-ზე. სოფელი მარტვილს 4 კილომეტრითაა დაშორებული. ოიკონიმის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით გ. ელიავას ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: „სახელწოდება სუ-დან არის წარმომდგარი. ეს ადგილი, ისე როგორც ესუე, სელის ნათესებით იყო ცნობილი. ძალიან დიდხანს, თითქმის უკანასკნელ 30 წლამდე (იგულისხმება გასული საუკუნის 20-30-იანი წლები – ი. ა.), აქ მოჰყავდათ სელი და კანაფი. მათგან ამზადებდნენ თოკებს, ქსოვდნენ ბადეს, თვით ტილოსაც კი. დღესაც სულაბერიძეების და სულავეების ოჯახები მისდევენ ბადის ქსოვას სელის ძაფისაგან, ხოლო მარცვლებისაგან ამზადებენ საჭმელს – ქუმუს“ (1977, გვ. 101). მისივე თქმით, სელის მოყვანის ტრადიციული ადგილები ყოფილა ესუე, ნაესუ, ოსუე და სხვ. ოიკონიმ ესუდეს სუ-სთან დაკავშირება არააღმაჯერებელია იმდენად, რამდენადაც ესუე სუ-

ლავას ან სულაგების გვარის სამოსახლოს, უბანს ეწოდება და არა სასელე, სელის მოსაყვან ადგილს, როგორც ფიქრობდა პატივცემული მკვლევარი (ელიავა, 1978, გვ. 47). ასევე არასწორია ოიკონიმ ნაესუს „სასელე ადგილად“ გააზრება (იქვე, გვ. 48).

ხალხური გადმოცემა სოფლის სახელწოდების წარმომავლობას რუსულ სიტყვას უკავშირებს: „ეს ადგილები სულ ტყიანი ყოფილა. რუსის ჯარი შემოსულა და დასაბანაკებლად გეზი სწორედ ტყისკენ აუღია. ისინი ამბობდნენ „Поелан на (в) пещу“ (წავიდეთ ტყეში). ამიტომ სოფელს „ნაელესუ“, ნაღმ-სუ დაერქვაო.“

იოსებ ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკაში“ ნაღესოუს ამოსავალ ფუძედ გვარ ლქმესანიას მიიჩნევდა. პ. ცხადაიას მოსაზრებითაც ნაღესაო (ადგ. ვარიანტი ნაღმსუ) ნემსაძის გამეგრულებულ ვარიანტს – ლეფსაიას უკავშირდება (ლეფსაიები ცხოვრობენ ზუგდიდში, თბილისში, ფოთში, ქვემო ქვალონსა და სხვაგან. საქართველოში 355 სული დაფიქსირდა. შდრ. გვარები – ლეფსია, ებსია, ეფსია, ეფსაია).

სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის დროს (XIX ს.) მარტვილის მაზრის სოფლებს შორის ნაღმსუწოუ იხსენიება (მეუნარგია, 1934, გვ. 113). 1904 წლის აღწერის თანახმად სოფელში მამულები ჰქონიათ აზნაურებს – იოსელიანებსა და შავდიებს.

აკად. აკაკი შანიძეს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაღმსუწოუ მიაჩნდა არა ლეფსაიას ნაქონად, არამედ საღმსუწანი-ოდ.

ჩვენი აზრით, ოიკონიმის ამოსავალი უნდა იყოს გვარი მსი-აპა (ადგ. ვარიანტი მსიპ). საქართველოში ესიწავას გვარის 420 სული აღირიცხა. მარტვილის რაიონში ამ გვარისკაცნი ცხოვრობენ ნაესუ(უ)ს მახლობლად – მარტვილში, ბანძაში, ნაგვაზავო-სერგიეთსა და აბედათში (შდრ. ტოპონიმი ლესიაო, ნესიაუ – დაბალი გორაკი ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლედარ-საღეში, ბების მარცხენა ნაპირზე. აქ ოდესღაც ესიავებს უცხოვრიათ. საესიო ესიავების უბანია აბედათსა და მაცხოვრისკარში (იხ. ცხადაია, 2000, გვ. 83., კეკელია, თბ., 2008, გვ. 77).

ამდენად, ნაქსე(უ) იგივეა რაც „ესიავას ან ესიაეების ნასახლარი; ადგილი, სადაც ამ გვარს ან გვარისკაცს უცხოვრია“ (იხ. კეკელია, „მაზარია“, №3, 2004). ოიკონიმიდან დაკავშირებული მიკროტოპონიმია ნაქსე(უ) ტოპა - მორვეი აბაშაზე (ლებაჩე).

ნამიკოლავო

სოფელი ტეხურის ხეობაში, ზ. დ. 240 მ. მარტვილიდან 15 კმ-ითაა დაშორებული. ადგ. არაოფიციალური ვარიანტია ნამ-კოლუ. „გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შესულია ნამიკოლავოს ფორმით და იქვე მითითებულია, რომ ესაა ნამიკოლავო პირველისა და ნამიკოლავო მემორის გავრცელებული სახელწოდება. სოფლის ერთი ნაწილი საზიაროა თამაკონთან, ლედგებესთან, გურძემსა და კიწიასთან. გ. ელიაევას მიერ ჩაწერილი გადმოცემა კომონიმს კოქოს-პატარა დოქს უკავშირებს, ე.ი. „ნაკოქ“ ადგილია, სადაც კოქოები-პატარა დოქები მზადდებოდაო“ (1977, გვ.136).

გურამ გრიგოლიას მოსაზრებით, ნამკოლუ ის ადგილია, სადაც უწინ ბალამწარა იდგა (სიგკ, II, 1964, გვ. 109). შდრ.: ნამ(მ)კოლუ-ბუჩქნარიანი ფერდობი ახუთში, ზანის მარჯვენა მხარეს. პ.ცხადაიას აზრით, ტოპონიმის ამოსავალი გვარი ნიკოლა(ვა)ა (ცხადაია, IV, 2008, გვ. 239). კოლო, კოქო ო.ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ განმარტებულია, როგორც „მწარე“. მოცემულია საილუსტრაციო მასალაც: კოლო რენ დო ვე ეჭკომენია: ი.ყიფშ., გვ.70- მწარეა და არ შეიძლება შეიჭამოსო. ბული ზვანც კოლო რენია: ხალხ. სიბრძ., I, გვ. 20-ბალი წვერზე მწარეაო...“ (ქაჯაია, II, 2002, გვ. 155). კოლო ბული // ტყარბი ბული ბოტან. ბალამწარა(იქვე), მაგრამ აქვს თუ არა კომონიმ „ნამკოლუს“ მეგრულ საზოგადო სახელთან-კოლოსთან რაიმე კავშირი, ძნელი სათქმელია (იხ. კეკელია, №12, 2010, გვ. 74).

ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური გადმოცემით სოფლის სახელწოდების უწინდელი ფორმა ნანკოლუ უნდა ყოფილიყო. კო(ლ)ი იგივე ენტომ. კალიაა (შდრ.: ლაზ. კოლი//მკოლი-ჭრიჭინა): ნანკოლუ - ადგილი, სადაც კალიები ბინადრობ-

დნენ.ინფ.: „ყანას კალია შესევია და შეუჭამია“ (იქვე). შდრ. ნანკოლჩერე-ოკვინორეალის მარჯვენა შენაკადი სამურზაყანო-ში, გინძე ენწერში(იხ. ცხადაია, ჯოჯუა, 2003, გვ.109); სხვა გადმოცემით, სოფლის მოსახლეობა უძველესი დროიდან კერამიკულ წარმოებას მისდევდა. კოლოების, პატარა სურების შესაძენად შავიზღვისპირეთიდანაც კი მოდიოდნენ.კოლოს დამზადების ოსტატები ამ სოფელში ნიკოლაეები-ნიკოიას გვარისკაცი ყოფილან. სოფლის სახელწოდება ნაკოჯოც თითქოს აქედან მოდის(ელიავა, 1977, გვ.136).

კომონიმ „ნამკოლუს“ ნიკოლავას გვართან აკავშირებს ენათმეცნიერი პაატა ცხადაიაც. ნიკოლავა მცირერიცხოვანი გვარია (249 სული). ამ გვარისკაცი ცხოვრობენ თბილისში, სენაკში, ფოთში, ნაქალაქევში, სეფეთში, ფოცხოში, ჯოჯოსა და სხვაგან (შდრ. გვარები-ნიკოლაძე, ნიკოლაიშვილი, ნიკოლეიშვილი) (ცხადაია, 2000, გვ. 118). ლენიკოლე უბანია მეორე მოხაშში, ციის მარცხენა მხარეს(სენაკის რ.).

მწერალი იონა მეუნარგია ოდიშის სამთავროში ჯვარის მაზრის სოფლებს შორის მიუთითებს სოფელს „ნამიკოლოუს“ სახელწოდებით(მეუნარგია, 1939, გვ. 112). 1872 წლის „აღწერის“ მასალებიდან ირკვევა, რომ „ნამიკოლოვო“ სალიპარტიანოს შემადგენლობაში ყოფილა(ზსიემ, ფ. №3365/276; ჯღარაკვა, 1970, გვ. 241).

ნ ა ხ ა რ ე ბ ა ვ ო

ყოფილი სოფელი ნახარებავო (ნახარებუ) ნოღელის ნამდინარევ ველზე მდებარეობს. იგი მარტვილს დაბალი სერით საზღვრავს. ოიკონიმის ეტიმოლოგიის შესახებ გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ქრისტეს მოციქულებს ამ ადგილას ხალხისთვის უხარებით ანდრია პირველწოდებულის მიერ მუხის კერპის მოჭრა და წარმართობის დამარცხება (ელიავა, 1969, გვ. 26). სხვა გადმოცემით, ნახარებუ ის ადგილია, სადაც მახარობელმა კერპისთვის ერთადერთი შვილის შესაწირად მიმავალ დედას ჭყონდიდის კერპის მოსპობა ახარა და ახალი რელიგიის — ქრისტიანობის გამარჯვება იქადაგა (ელიავა, 1977, გვ. 103).

მწერალი აკაკი გაწერელია „მოგონებებში“ სოფლის სახელწოდებას ხარების ეკლესიის არსებობას უკავშირებს: „ჩემს მშობლიურ სოფელში ნახარებაოს თავისი ეკლესია ჰქონდა XVIII საუკუნის მიწურულს. სანამ მარტვილის ეპისკოპოსი ანტონ ჭყონდიდელ-ცაგარელი ააშენებდა ამ ეკლესიას, ჩვენი სოფელი მარტვილის ნაწილს შეადგენდა. ანტონის მიერ აგებულ, პატარა, აჟურულ ეკლესიას, ჩანს, ხარების (იხ. საეკლესიო კალენდარი) საყდარი ეწოდა. მისი აშენების შემდგომ მეზობელ მხარეს ამიტომ დაერქვა ნახარებაო.“

ოიკონიმს არანაირი საერთო არა აქვს სიტყვა ხარმბას-თან („სადაც ახარეს“). მაშინ სოფელს „ნახარეფი“ უნდა ღარქმეოდა და არა „ნახარებუ“. რაც შეეხება ა. გაწერელიას თვალსაზრისს,ოიკონიმის საეკლესიო დღესასწაულ ხარმბი-დან მომდინარეობის შესახებ („სადაც ხარების ეკლესია იდგა“), ვერც მას გაეიზიარებთ, იმ გარემოების გამო, რომ წმ. ანტონის მიერ აგებულ ეკლესიას ხარმბისა კი არა, წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებულ და მის სახელს ატარებს დღესაც. ეკლესიას, როგორც ჩანს, ხარების სახელი ეწოდაო, ამბობს მწერალი, თუმცა, არა – გადაჭრით...

ნახარმბუ(უ) ხარებავას (ხარებავეების) ნაცხოვრები ადგილია. ხარებავა ერთ-ერთი გავრცელებული გვარია საქართველოში (2717 სული). სხვათა შორის, ხარებავას რამდენიმე კომლი დღესაც ცხოვრობს სოფ. ნახარებავოში. შტრ. ლმხარბი და სახარმბო-ხარებავეების უბანია ლეგოგიე-ნასაჯუსა და ყულიშკარში. ლმხარბი ეწოდება აგრეთვე სერს მეორე გურძემში, ხოლო ნახარმბუ ბორცვისა და უბნის სახელწოდებაა სამესხიოში (წალენჯიხის რ-ნი). 1904 წლის აღწერის მიხედვით მარტვილში ხარებაიას გვარის 8 კომლს უცხოვრია (იხ. ცხადია, 2000, გვ. 166).

1871 წლის „აღწერის“ თანახმად ნახარებუ ჭყონდიდის ეკლესიის საეკლესიო მამულს წარმოადგენდა (ზსიემ, №6494/18; ჯღარკავა, 1970, გვ. 265).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 21 დეკემბრის №1506-X ბრძანებულების საფუძველზე

გაუქმდა გეგეჭკორის საქალაქო საბჭოს სოფელი ნახარებავო და ტერიტორიულად ქ. გეგეჭკორს (ახლანდელ მარტვილს) შეუერთდა (იხ. კეკელია, 2009, გვ. 149).

ნახ ურცილავო

ნახ ურცილუ (ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით ნახ ურცილავო) გურძემის თემში შედის. ზ. დ. 250 მ სიმაღლეზეა და მარტვილს 24 კილომეტრითაა დაშორებული. ოიკონიმის ფუძეს გვარსახელი ხ ურციბ (ხურცილავა) წარმოადგენს, რომელიც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია და სულთა რაოდენობით მარტვილის რაიონში მეექვსე ადგილი უკავია. ხურცილავას ნაცხოვრებ ადგილს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთში ნახ ურცილუ ეწოდება. სოფ. სკურდში ჩაის პლანტაციას ნახ ურცილუს ეძახიან. ეს ურციბ ჩაის პლანტაციის სახელწოდებაა ნაგებერუში. ეხურციე ეწოდება აგრეთვე ხურცილავების უბანს მეორე ბალდასა და ლემიქავეში (გვარის შესახებ იხ. ცხადაია, 2000, გვ. 170).

საინტერესო გადმოცემა ჩაუწერია მხარეთმცოდნე გივი ელიავას ნახურცილუს შესახებ: „ხურციას ორი შვილი ჰყოლია: კუჩია და მაკუჩია. თითოეულ მათგანს დიდი ოჯახი ჰქონია. მათ ოჯახებში ოცდაოთხ-ოცდაოთხი მელოგინე ყოფილა. ერთი ძმა სახლებულა იქ, სადაც დღეს მთავარანგელოზის ეკლესიაა. ეკლესია ზაიკა დგებიას დაუდგამს კუჩიას ნასახლარზე. მას კ უ ჩ ი თ ი ს ა ც ეძახდნენ. მამის სახელი ხურცია მათ გვარად გაუხდიათ. ხურციები ემორჩილებოდნენ ამ მხარის ბატონს, ჯაიანს, რომელსაც აგრეთვე დიდი ოჯახი ჰყოლია. საშინელი შიმშილის წელი ყოფილა. ჯაიანს ხურციებისგან მოუთხოვია ერთი ბედლის ავსება ღომის თავთავი. ხურციებს მისი თხოვნა შეუსრულებიათ. ახლა მეორეჯერაც მოუთხოვია. ამჯერად ხურციებს უარი უთქვამთ, მაშინ ჯაიანი შესევია ხურციების სახლკარს და ამოუწყვეტია, ზოგი კი გაქცეულა. ოჯახის ერთი რძალი, რომელიც იმ დროს მოსალოგინებლად დედასთან ყოფილა კვაუთში, გადარჩენილა, იქ ვაჟი შეებნია. შემდეგ ამას მოუმრავლებია ხურციები“ (1977, გვ. 157).

ნახუნუ („საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორ-
თოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით ნახ უნაპო) თემის
ცენტრია და სამ სოფელს-ჭაბურთას, წინაკვერკვესა და საკუთ-
რივ ნახუნუ(უ)ს აერთიანებს. მარტივლს 5 კმ-ითაა დაშორებუ-
ლი და მდინარეების-ნოდისა(ტარჩენის ერთ-ერთი მდგენელი)
და ისკიის ხეობებში მდებარეობს.

ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-
ტერიტორიული დაყოფის (1831 წ.) მიხედვით პირკმლი,
მეორე და მესამე ნახ უნოუ მარტივილის მაზრაში შემავა-
ლი სოფლებია (მეუნარგია, 1939, გვ. 113). 1872 წლის „აღწე-
რის“ მასალებიდან ირკვევა, რომ ნახ უნუს თავადი ფაღავები
ფლობდნენ(იხ.ჯღარკავა, 1970, გვ. 251; სოსელია, II, 1981, გვ.
189). ამასვე ადასტურებს კ.ბოროზდინის ცნობაც (ბოროზდი-
ნი, 1934, გვ. 283). 1904 წლის „აღწერის“ მასალების მიხედ-
ვით ნახუნაოში ფარულავები და შავდიები აზნაურები ყოფილან.

კ. ბოროზდინი თავის წიგნში მიუთითებს სოფელს ნახ უ-
ნუს ფორმით და აღნიშნავს: „ბანძის გზით ნახ უნუსკჲმ
გავწიე... ნახ უნუ მთა ალაგას არის: ჩვენ რომ შევედით, თოვ-
ლი იდო, ასე რომ წვიმას გამოვეთხოვეთ და პირდაპირ ზამ-
თარში შევეყავით თავი“; „ნახუნუ თავისის მდებარეობით და აქა-
იქ გაბნეულ სახლებით კაცს კინჩხას მოაგონებს...“ (ბოროზდი-
ნი, 1934, გვ. 283-284).

ტეხურ-აბაშის წყალგამყოფ მთასაც, რაც სოფელს დასავლე-
თიდან დასცქერის, ნახ უნუ(უ)შ ბოჯას უწოდებენ. სოფ-
ლის სახელწოდების ეტიმოლოგიაზე რამდენიმე გადმოცემა არ-
სებობს. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად ჩვენ ქვეყანას ჰუნების
ჯარი შემოსევია და ამ ტერიტორიაზე დაბანაკებულა. ადგილს
თითქოს ამის შემდეგ ეწოდა ნაჰუნუ ან ნახ უნუ – ჰუნე-
ბის ნამყოფი, ნაბანაკარი(იხ. ელიავა, 1977, გვ. 119-120).

„ჰონთა ქვეყანა“ („ჰონი“ ან „ჰუნი“ თათართა მოღგმის მომ-
თაბარე მესაქონლე ტომების აღმნიშვნელი ეთნონიმია) დამოწმე-
ბულია V-VII სს. სომხურ საისტორიო წყაროებში. გამოთქმუ-
ლია მოსაზრება, რომ „ჰონთა ქვეყანა“ აერთიანებდა დაღეს-
ტნის მიწა-წყალს, ვაინახურ ტომთა განსახლების ტერიტორი-

ას. IV-VI საუკუნეებში ჰუნები მტკიცედ მკვიდრდებიან ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე. სწორედ ამ დროს იწყება ჰუნთა დამარბეველი ლაშქრობები ირან-ბიზანტიის წინააღმდეგ. ამ ლაშქრობათა ერთ-ერთ ასპარეზს კავკასიის კლდეკარებიც წარმოადგენდა.

ნახ უნ უსა და **ნაჰუნ უს** ფონეტიკური მსგავსება სულაც არ იძლევა იმის მტკიცების უტყუარ შესაძლებლობას, რომ სახელწოდებაში ჰუნთა აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე ნამყოფობის კვალი ვეძებოთ; მეორეც-არცერთი ისტორიული წყაროთი არ დასტურდება შიდა ეგრისში ჰუნთა ლაშქრობის ფაქტი(იხ.კეკელია, №12, 2010, გვ. 76).

მისაღებად გვეჩვენება ოიკონიმ „ნახუნუს“ სხვაგვარი ახსნა. კერძოდ, სოფლის უწინდელი სახელწოდება **ნახ უს უნ უს** და ყოფილიყო, რადგან გადმოცემები აქ ხუხუნების (გვარია) ნამყოფობაზე მიუთითებენ. ხუხუნები ამ სოფელში წინაპართა ნასახლარ ადგილებსაც უჩვენებდნენ(იხ. ელიავა, 1977, გვ. 120).

ხუხუნი მცირერიცხოვანი გვარია(169 სული საქართველოში). ამ გვარისკაცნი ცხოვრობენ ლეძამამეში, ხეთაში, ზუგდიდსა და სხვაგან. ლეხუხუნე უბანია ტეხურის მარჯვენა მხარეს, ლესაჯაიეში(იხ.ცხადაია, 2000, გვ. 171).

ჰაპლოლოგიის, ანუ ფუძეთა შეერთებისას თუ დევირაციისას მარცვლის ამოვარდნის ფაქტები მეგრულის ზოგად ლექსიკასა და ონიმიასში შეისწავლა პროფ. პ.ცხადაიამ,თუმცა აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ტოპონიმთა ჩამონათვალში კომონიმი ნახუნუ←ნახუხუნუ(←ხუხუნი) მითითებული არ არის (ცხადაია, მასალები, 1998, გვ. 105-107).

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოიკონიმ „ნახუნუს“ ფუძეს წარმოადგენდა **ხ უს უნი**. **ხ უს** კომპლექსის ამოვარდნის(ჰაპლოლოგიის) შედეგად მივიღეთ **ნახ უნ უს** ფორმა, რაც „ხუხუნების ნამყოფს; ხუხუნთა გვარის ნასახლარს“ ნიშნავს(იხ. კეკელია, №12, 2010, გვ. 76). შდრ. **ნახ უს უნ უს**-სახნავ-საბალახო ეკის თემში (სენაკის რ.).

ზალხური ეტიმოლოგია: 1. **ნახ ონა**, **ნახ ონ უს** მეგრულში ნახნავ მიწას ნიშნავს. ჩქინ ჯვეშეფი დიხას ნოხოუნენა „ჩვენი ძველები მიწას ხნავდნენ (აქ), თურმე“; 2. ნახუნდუ არდგიი რე.

პატონჭკორაძეშ დროს კოჩი დააშენდუნი, თაქ ხუნდი ნოდგვენა ღო თის გიოხუნუნდეს. „ხუნდის ადგილია. ბატონყმობის პერიოდში ყმა რომ დააშავებდა, აქ ხუნდი ედგათ და მასზე დასვამდნენ.“ **ხ უნდი, ხ უნჯი** ფეხის ბორკილია, რაც წარმოადგენდა ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე, გრძელსა და მსხვილ ძელს; 3. „ხუნდი- ნადირის დასაჭერი რკინის ხაფანგები ედგათ ტყეში, ტურა-მელისა და დათვის დასაჭერად“ (იხ. კეკელია, №12, 2010, გვ. 76).

ნ ა ჯ ა ხ უ

ნ ა ჯ ა ხ უ (უ) „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, აბაშა-ცხენისწყლის შუამდინარეთში მდებარე სოფელია. ოიკონიმის მოტივაციის შესახებ სამი განმარტება არსებობს: 1. „ნაჯახუ – ჯახუების ნასახლარი.“ „ჯახუები ამ სოფლის უძველესი მკვიდრია. მათი სალოცავი დიდი ჭყონის (მუხის) ძირასაა. გვარის მეთაური ჯახე ყოფილა, **ჯ ა შ ი ხ ე მ მ ა ნ წ ყ შ უ** (ხის მსახური)... შეიძლება ჯახუას გვარი ჯახედან არის მიღებული, ხოლო სოფლის თავდაპირველი სახელწოდება ნაჯახუ იყოს“ (ელიავა, 1977, გვ. 79). 2. „ნაჯახუ – ნაციხარი ადგილი. ციხე მდგარა, შემოსეულ მტერს გადაუწვავს და დაუნგრევია, ამიტომ სოფელს „ნაჯახუ“ დაარქვესო.“ 3. პროფ. პაატა ცხადაია სოფლის სახელწოდებას გვარ ჯახაიას უკავშირებს და ვარაუდობს, რომ თვით გვარები ჯახაია და ჯახია – ჯახუს, ჯახვას, ჯახას, ჯახისგან უნდა მომდინარეობდნენ (ცხადაია, 2000, გვ. 174).

რომელს მივანიჭოთ უპირატესობა მითითებული სამი მოტივიციიდან? ვახუშტი ბაგრატიონი მის მიერ შედგენილ ოდიშის სამთავროს ერთ-ერთ რუკაზე აღნიშნავს პუნქტს ლეჯახის სახელწოდებით, რაც ტერიტორიულად მინიშნებულია მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე. მკვლევარ თამაზ ბერაძეს ვახუშტის რუკებზე აღნიშნული რამდენიმე პუნქტის (სუხჩე, ლეხაინა-ლეხაინდრე) სახელწოდების აღდგენა მოუხერხებია, მაგრამ ტოპონიმ „ლეჯახის“ შესატყვისი თანამედროვე ვარიანტი არა აქვს აღდგენილი (იხ. ბერაძე, სიგკ, IV, თ., 1971, გვ. 66).

ვახუშტისეული „ლეჯახი“ ფორმითაც და რუკაზე მოცემუ-

ლი ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ნაჯახ უშს შეესატყვისება. „ლუჯახი“ ან „ლუჯახე“ ჯავახიას (ჯავახიების) საცხოვრებელს, მათ უბანს, დასახლებას ნიშნავს (ლემჯაპახემ-ლემჯაახემ-ლემჯახემ). ასეთი წარმოშობის ტოპონიმებია ეზობიმი // ლეზობიმი (მიკროუბანი ლეხანდრავოში; ჩაის ფართობი მდ. ნოღელის მარჯვენა მხარეს, ნაჯახუში); ეძაბანემ // ლემძაბანემ (მაგანიების მიკროუბანი ნაგებერუში); ეპკეპემ // ლემკეპელემ (კეკელიების უბანი სოფ. ბანძაში); ეწირძპანიმი (წირქვაძეების მიკროუბანი ნაგებერუში), ლემპახანემ (ვახანიების დასახლება აბაშის მარცხენა მხარეს, ბანძაში); ლემჟონჩხ უმი (ფონჩხუების მიკროუბანი აბაშის მარცხენა მხარეს, ვედიდკარის თემში); ეძაჯანიმი // ლემძაჯანიმი (სოფელი აბელათის თემში); ეხანიდრემ // ლემხანიდრემ (სოფელი და თემის ცენტრი აბაშა-ნოღელის შუამდინარეთში); ეპკეპციმი // ეპკეპკეპციმი (კვეკვეციების უბანი ნაჯახუში) და ა. შ. გვარ ჯავახიას (423 სული საქართველოში) კომპაქტური დასახლება გვხვდება სენაკის რაიონის სოფლებში – ახალსოფელში (12), ძველ სენაკში (4), ნოსირსა (3) და სხვაგან. 1904 წლის აღწერის თანახმად, აზნაურ ჯავახიებს უცხოვრიათ ნაჯახუსა და გეჯეთში.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: დავით დადიანის მთავრობის პერიოდში ოდიშ-ლენჩხუმი რვა მაზრად იყო დაყოფილი. მათ შორის ერთ-ერთის – მარტვილის მაზრის, სოფლებს შორის დასახლებულია ნაჯაპახეოუ, რაც დღევანდელი ნაჯახავია.

ამდენად, XVIII საუკუნეში სოფელს ლემჯა(პ)ახემ ერქვა. ოიკონიმ ნაჯახუ(უ)ს წარმომავლობას შემდეგი სახე უნდა მიეცეს: ლემჯაპახემ → ლემჯაახემ → ლემჯახემ → ნაჯა(პა)ხუ → ნაჯახუ(უ).

ნობული

ნობული პატარა სოფელია ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ზ. დ. 320 მ. ვედიდის მთისძირში (ტალერის თემი). მარტვილს 25 კმ აშორებს, თემის ცენტრს – 2 კმ. 1872 წლის „აღწერის“ მონაცემების მიხედვით ნობული სალიპარტიანოში შემავალი

სოფელია. 1904 წლის „აღწერის“ თანახმად სოფელი წარმოადგენდა აზნაურ აღმზიების, გუგუნავეებისა და კეშელავეების სამფლობელოს. გ. ელიავას განმარტებით „ნობუიენი“ ნაბალარს უნდა ნიშნავდეს (1977, გვ. 139). ასეთივე განმარტება მოცემულია პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის წიგნში (1987, გ. 118). აღნიშნული თვალსაზრისი გაიზიარა პროფ. ო. ქაჯაიამაც (IV, 2009, გვ. 406).

სოფლის სახელწოდების წარმომავლობას შეეხო ფილოლოგი ომარ ხუბუაძე, რომელმაც კომონიმი მეგრულ სიტყვას – ნოფულს დაუკავშირა, რაც ნამპლაპს ნიშნავს: „სოფელ ნობულის ადგილმდებარეობა უაღრესად საინტერესოა. ესაა ყოველმხრივ ჩაკეტილი ტერიტორია. აღმოსავლეთით – მაღალი მთაგრეხილი, დაუსახლებელი, ტყიანი, მიუდგომელი, ჩრდილოეთითა და დასავლეთით – ბობოქარი მდინარე ტეხირი, სამხრეთით – მთის ღელე. ერთადერთი გასასვლელი გააჩნია სოფელ სალხინოსკენ სოფელ წაჩხურას გავლით, ტერიტორიულად კი ტალერს ეკუთვნის, რომელთანაც სამანქანო ხიდიც არ აკავშირებს (? – ი. კ.)... სიტყვა ნოფული დაახლოებით ასე შეიძლება ითარგმნოს: ნამალავი, გადანამალი, გადამალული. თავისი მდებარეობით სოფელი ამ სახელის ზუსტი შესატყვისია. ჩვენს თვალსაზრისს მხარს უჭერს „ბ“ და „ფ“ ბგერების მსგავსებაც. ისინი ერთ ფონეტიკურ სამეულში (ბ, ფ, პ) შედიან, წყვილბაგისმიერნი არიან. ამ სოფლის მეტყველებაში „ლ“ ბგერა საერთოდ არ ისმის... ყოველ შემთხვევაში, ჩემს მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტები ნაკლებადაა მოსალოდნელი“ (ხუბუა, გაზეთი „მასარია“, 2005, №4, გვ. 15).

მაგრამ, ჩემი აზრით, ამგვარი თვალსაზრისის საწინააღმდეგო არგუმენტების მოტანა მეტყველებაში „ლ“ ბგერის სიხშირესთან დაკავშირებით სწორედ სოფლის ტოპონიმური მასალის დამოწმებითაა შესაძლებელი.

„ლ“-ს გავრცელების ზონა მარტვილის რაიონში დიდი ჭყონის თემიდან იწყება, რაც ტალერის თემს სამხრეთიდან ესაზღვრება. ნობულ-ტალერის მოსახლეობის მეტყველებაში რომ ლ ბგერა ხშირად ისმის, ამაზე მხარეთმცოდნე გ. ელიავაც მიუთი-

თებდა (1977, გვ. 138). შეკითხვაზე – „სონგრეჟი?“, ადგილობრივნი გიპასუხებთ – „ნობულეშე“. გ. ელიავას ჩაუწერია რამდენიმე მიკროტოპონიმი, რაშიც ლ ბგერაა ჩართული: ღელე ოძიე (ოძილემ ღელესაც იტყვიან; ჩემი მასალებიდან), ღელე ეფეთქირი, იმაფეთქირი (მე ჩავიწერე „ლეფეთქირიმ ღელე“), ღელე ოყაეში (პარალელურ ფორმად დამოწმებული გვაქვს ოყალეში), ლულონაში (ლეღვნარისა), ნაჩხოულუ (ნაძროხალი), ლასია // ნასია (დასილული) (იხ. ელიავა, გვ. 140). გარდა ამისა, „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკაში“ შეტანილი სხვა ტოპონიმების პარალელურ ფორმებად ჩავიწერეთ ჭალე (ჭალა), ლენანე (სანანავო, ნანავების უბანი), ოტკილე (სამერგელო), წყურგილი (ცივწყარო, ნაკადული), ოხონალი ცვანა (სახნავი ყანა), ბულმენჯი (ბალთან მდებარე ვეძა, ძლაშე, მარილიანი წყალი), ლალირსოფელი (წალბებული, წალეკილი სოფელი), ნაგირგალუ // ნაგირგოლუ (ბუჩქნარი ნობულში – გრიგოლავას, გრიგალავას ნამოსახლარი), ნაგულისე (გულისისას ნასახლარი), საკეშილა (სახნავი ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, ეწერში – „კეშელავასეული, კეშელავას საკუთრება“. კეშელავა აზნაური ყოფილა).

ჩამოთვლილი ტოპონიმებისთვის შეგვეძლო დაგვემატებინა სხულდოუშქური (საბალახო ნობულში), ლეჯიჯელე (ჯიჯელავების უბანი ეწერში, კურზუს საზღვართან, ტეხურის მარჯვენა ნაპირზე), ლეჯოჯუე (ჯოჯუეების უბანი ეწერში, ტეხურის მარჯვენა ნაპირზე), ლებიგვე (ბიგვავების უბანი ნობულში, ტეხურის მარცხენა ნაპირზე) და სხვ.

მეგრულში წინავითარების სახელების მაწარმოებლად გვხვდება ნა // ნო-პრეფიქსები. პ. ცხადიას ვარაუდით, ნო-პრეფიქსი გამოიყოფა სამეგრელოს შემდეგ ტოპონიმებში: ნობართენი, ნობაღელენი, ნოლარიბენი ნორგატენი, ნოცუცუენი, ნოლარენი, ნოემენი, ნოულალენი, (იგივე ნოლალევი), ნოფუჯინი // ნოფუჯინი, ნონიჯერი, ნოხუერი, ნოხიონი და სხვ. (ცხადაია, 1985, გ. 57).

ნობართენი ვაკე-სახნავის სახელწოდებაა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, ოწყარიეს ნაპირზე, ხოლო ნობართენიმ ტობა მორევია ოწყარიეზე, ნობართენთან. ტოპონიმი ნობართენი

შესაძლებელია უკავშირდებოდეს გვარებს – ბართიას, ბართიას ან ბარათელს (ნობართენი – ბართ(ა)იას, ბარათელის ნაქონი). ნოლურწყუე ადგილია დოშაყეში (სადაც ლურწყაია სახლობდა, ან მიწას ფლობდა). ნოსირი სოფელია სენაკის რაიონში. გ. ელიავას მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი გადმოცემით, ნოსირის ტერიტორიაზე სირიების გვარს უცხოვრია, რომელთა სხვაგან გადასახლების შემდეგ სოფლისათვის ნოსირი უწოდებიათ (1989, გვ. 33). სასირიო უბანია შუა ნოსირში, სადაც სირიას ხუთი კომლი ცხოვრობს.

ამდენად, „ნობული“ შესაძლებელია ნობართენის, ნოლურწყუესა და ნოსირის ტიპის ტოპონიმთა რიგში განვიხილოთ და ავხსნათ როგორც „ბულიას, ბულიების ნასახლარი, ოდესღაც მათი ნაქონი.“¹ ბულია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარია (1493 სული, ბულიები ცხოვრობენ ზუგდიდში, ოდიშში, რიყეში, რუხში, ერგეტაში, დარჩელში, კორცხელში, თორსადღვაბაში, წალენჯიხაში, ჭითაწყარსა და სხვაგან. მეორეული სუფიქსაციით (-ვა-ს დართვით) წარმოქმნილა გვარი ბულიავა. ამ გვარისკაცნი ცხოვრობენ სენაკში, ხორშსა და სხვაგან (სულ 60 სული).

ნოღა

სოფელი ჩხოროწყუს რაიონის საზღვართან, ციის, შებისა და კორჩეს ხეობებში, ზ. დ. 250მ. მარტვილიდან 28 კმ-ითაა დაშორებული(კიწიის თემი). სოფელში დგას გვიანი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე. შემორჩენილია გალავნისა და კოშკების ნაშთები. გადმოცემით, უწინ ციხე ჯაიანის საკუთრება ყოფილა და დღესაც ჯანიანიშ ჯინხას ეძახიან. მოგვიანებით (სავარაუდოდ XVIII ს. პირველი ნახევრიდან) ციხეს დადიანები დაპატრონებინ. ისტორიულ წყაროებში ცნობილია ნოღის ციხის მეპატრონე გიორგი ოტიას ძე დადიანი, ძმა კაცია II-ისა. კაციას ვაჟის-გრიგოლის მთავრობის პერიოდში გიორგი ოდიშის სამთავროს საქმეების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. მას-

1 ვ. მაღრაძე აღნიშნავს, რომ გვარსახელთაგან ნაწარმოები არც ერთი ოიკონიმი ნ(ლ)- პრეფიქსით არ დასტურდება, მაგრამ ჩამოთვლის ნა- პრეფიქსიან ოიკონიმებს (კახაძე, 2003, გვ. 29).

ვე ეკუთვნოდა ნოჯიხევის სასახლე ბანძის მახლობლად. გარდაიცვალა 1798 წლის 15 დეკემბერს. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში(იხ. სოსელია, III, 1990, გვ. 97-99 და იქვე მითითებული ლიტერატურა).

გიორგის გარდაცვალების შემდეგ ნოლის ციხე მისი შვილის-ნიკოს ხელშია, რომელიც „დიდ ნიკოდ“ იწოდებოდა. ის იყო ლევან V დადიანის მდივანბეგუხუცესი, პირველი მსაჯულთუხუცესი და ლეჩხუმის სარდალ-მოურავი. რუსეთის იმპერატორს მისთვის უბოძებია პოლკოვნიკის წოდება და წმიდა ანას ორდენი. ი. მუუნარგიას თქმით, ნიკო დადიანი იყო „თავის დროისათვის... ერთი საუკეთესო სწავლული და მწერალთაგანი მთელს საქართველოში“, რომელმაც კარგად იცოდა რუსული, აფხაზური და თურქული ენები. მის კალამს ეკუთვნის სამთავროს მმართველობის პროექტი „დასტურ-ლამას“ სახელწოდებით, რაც 1818 წელს წარუდგენია სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანისთვის. მასვე ეკუთვნის „ქართველთ ცხოვრება“-მნიშვნელოვანი საისტორიო ხასიათის თხზულება. მის სახელს უკავშირდება „კერძო სასწავლებლის“ დაარსება ოდიშის სამთავროში, მისსავე სამფლობელოში. ნ.დადიანის სამწერლო, პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას განიხილავენ ი.მუუნარგია, კ. ბოროზდინი, ს. ჯანაშია, მ. ღუმბაძე, შ. ბურჯანაძე და ო. სოსელია. ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ (იხ. სოსელია, III, 1990, გვ. 103-104).

XIX ს. შუა წლებში ნოლაშივე უცხოვრია ნიკოს შვილს-პეტრეს, რომელიც, კ. ბოროზდინის თქმით, „ქართულის მწერლობისა და საღმრთო წერილის ზედმიწევნით მცოდნედ ითვლებოდა. ამასთან,მეტის-მეტი ღვთის მოშიში იყო და არ შეიძლებოდა მარხვა გაეტეხნა როდისმე“ (1934, გვ. 245). პეტრე სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს ზღებია პეტერბურგში, შეხვედრია რუსეთის ტახტზე ასულ ხელმწიფეს. ნ. კოლუბიაკინის წინადადებით ის დანიშნულა თავადების წარმომადგენლად საბჭოში და თვით კოლუბიაკინის მრჩევლად (1962, გვ. 323). ნოლას რამდენჯერმე ახსენებს ნიკო დადიანიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ციხე ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანის ბიძისა და „ქართველთ ცხოვრების“ ავტორის, „დიდ ნიკოდ“ წოდებუ-

ლი ნიკო დადიანის მამის-გიორგის რეზიდენციას წარმოადგენდა: „წარმოუძღვა ბიძა თვისი და მოვიდენ ციხესა ზედა გიორგი დადიანის ძისასა ნოლას და იმყოფებოდნენ მუნ“, -წერს ნ. დადიანი(1962, გვ.188). სოლომონ მეფემ „შემოიკრიბა სპანი იმერეთისანი, მიეგება მანუჩარ, გრიგოლ დადიანის ძმა, სპითა ოდიშისათა, წარმოემგზავრენ და მოვიდნენ ნოლას და დაეპარგენ ლეგერცამეს, გაღმით ციხისა. და სწადოდა მეფესა დამზობა ნოლის ციხისა“, მაგრამ ვერ შეძლო და ქუთაისში დაბრუნდა (იქვე, გვ. 189). გრიგოლ დადიანმა სოლომონის თავდასხმებისგან დაცვის მიზნით რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან ნოლის ციხიდან დახმარების სათხოვნელად გააგზავნა კარის ეკლესიის მღვდელი სიმონ ასათიანი და აზნაური გიორგი გუგუშვილი(იქვე, გვ. 192).

XX საუკუნის დამლევს ნოლა თავად ჯაიანების მფლობელობაშია. აქვე ცხოვრობდნენ აზნაური ბოკუჩავები.

ნოლაში, მდ. შების სათავესთან, ზ. დ. 310მ-ზე, არის გამოქვაბული გუგუნაშკარიშ ჩიბე//დიდი ჩიბე. შესასვლელის სიმაღლე 1,5 მ-ია, ხოლო სიგანე 4 მ-ს აღწევს. მღვიმის გამოკვლეული მონაკვეთის სიგრძე 2 კმ-ზე მეტია(იხ. ქსე).

ო. ხუხუას ვარაუდით, თვით სოფლის სახელწოდების გათვალისწინებით, ნოლაში „უძველესი ქალაქი ან ნაქალაქარი უნდა ყოფილიყო“ (VI, 1965, გვ. 45).

ნოლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ქალაქის ტიპის დასახლება“; „სოფელი სავაჭრო ცენტრით, ბაზრით“ (იხ. ბელოშვილი, I, 2001, გვ. 302).

ოიკონიმ „ნოლის“ წარმომავლობაზე საგანგებოდ ქვემოთ გვეყენება საუბარი(იხ. ტოპონიმ-სტატია ონონია).

ნოჯის მკვი

სოფელი აბაშის მარცხენა მხარეს, ლეხაინდრავოს თემში, ზ.დ. 110 მ.თემის ცენტრიდან 2 კმ-ითაა დაშორებული, მარტვილიდან-5კმ-ით. აბაშა-მარტვილის საავტომობილო გზასა და მდ. აბაშას შუა, ველზე შემორჩენილი ციხე-დარბაზის ნანგრევები ნოჯის მკვის სახელწოდებითაა ცნობილი. ესაა სოფლის სახელის ადგ. არაოფიციალური ვარიანტიც. ნაჯის შ, ნოჯის-

ხმნი მეგრულში „ნაციხარს“ ნიშნავს (ჰიხა-„ციხე“). ამრიგად, ეს სახელი სავსებით შეესაბამება ციხის ნაშთებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილის დროს, კერძოდ, XVIII ს. I ნახევარსა, და უფრო ადრეც, ციხეს ნი-ჰიხა არ ერქმეოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხის არსებობის პერიოდში სოფელს ჰიხა ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც აქ მღვარი ნაგებობები დაინგრა, სოფელსაც ნოჯიხენი „ნაციხარი“ ეწოდა. ეს უნდა მომხდარიყო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში(იხ. ზაქარაია, ლომოური..., 1984, გვ. 55).

სავარაუდოდ აღნიშნულ ციხეს და სოფელსაც ნოჯიხენამდე ბანძა უნდა რქმეოდა. ეს სავსებით დამაჯერებელი არგუმენტი მამინ, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ბანძა, შუა საუკუნეებსა და, გვიან, XIX საუკუნეშიც, მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აბაშიდან ცხენისწყლამდე (იხ. კეკელია, „მახარია“, №9, 2002, გვ. 7; №6, 2005, გვ. 14). სწორედ ამიტომ წერს ვახუშტი აღნიშნული ციხის შესახებ: „ციხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ („ქცხ.“, IV, 1973, გვ. 778).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით, აღნიშნული ციხე 1977-79 წლებში შეისწავლა. ექსპედიციამ გამოავლინა საცხოვრებელი კომპლექსი, რაც ალბათ ფეოდალის კუთვნილებას წარმოადგენდა.

მხარეთმცოდნე გ. ელიავა „ლესანიდრაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში აბაშის ჭალაში მდებარე ბორცვის სახელწოდებად მიუთითებს ნოჯიხუს, ხოლო უბნის სახელწოდებად – ნოჯიხენს, ცენტრში მღვარი ციხით(1977, გვ. 75). „ნაჯახაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ნოჯიხენის ციხის ნაშთების სახელწოდებად იგივე ავტორის მიერ მითითებულია ჰიხა „ციხე“, და მოტანილია ხალხური გადმოცემაც, რომ ძველი სამხედრო გზის პირას მღვარი აღნიშნული ციხე ამ გზის მცველთა სადგომის, სადარაჯოს ფუნქციას ასრულებდა. 1959 წელს ვასილ დანელიას ციხესთან პოლონური ვერცხლის ფული უპოვნია(ელიავა, 1977, გვ. 80).

მკვლევარ ო. სოსელიას ვარაუდით ნოჯიხევი გიორგი ოტი-
ას ძე დადიანის საუფლისწულო უნდა ყოფილიყო, რაც, სავა-
რაუდოდ, მისთვის უფროს ძმას-კაცია II-ს სამეგრელოს მთავ-
რად ყოფნის პერიოდში(1757-1788 წწ.) უნდა ებოძებინა. აქ
ჰქონია მას სასახლეც(სოსელია, III, 1990, გვ. 98-99). ეს ის
გიორგი დადიანია, რომელიც, ი. მეუნარგიას ცნობით, ოდიშის
სარდლის სახელის მფლობელი იყო (მეუნარგია, II, 1957, გვ.
284-285.; სოსელია, III, 1990, გვ. 98).

ნოჯიხევეში სასახლის არსებობაზე მიუთითებს ნ. დადიანი
„ქართველთ ცხოვრებაში“, XVIII ს. უკანასკნელი ათწლეულის
ამბების გადმოცემისას: ძმისწულთან, ოდიშის მთავარ გრიგოლ
დადიანთან (1788-1804 წწ.)დიდად დაახლოებულმა და ერთგულმა
გიორგიმ, იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს
შორის გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობისა და ხშირი
შეტაკებების მიუხედავად, შეძლო „გრიგოლის ერთგულებისად-
მი“ ლეჩხუმის მოურავის —ქაიხოსრო გელოვანის გადმობირე-
ბა.ამის შემდეგ, ნ.დადიანის თქმით, „მოუწოდა გრიგოლს თვის-
სა სასახლესა შინა ნოჯიხევს. წარმოვიდა ღამით მალვით გრი-
გორი ქუთათისით და მოვიდა ნოჯიხევს ბიძისა თვისისა გიორ-
გისა თანა...“ (დადიანი, 1962, გვ. 188).

ნ. დადიანის ამ ცნობიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება,
რომ, თუკი ვახუშტის დროს, XVIII ს. პირველ ნახევარში,
აღნიშნული ციხე და მის გარშემო არსებული დასახლება ბან-
ძის შემადგენლობაში იყო („ბანძა და ციხე კეთილნაშენი“), იმავე
საუკუნის ბოლოსათვის ჯიხა (ციხე) უკვე მოშლილია და
სოფელსაც იმდროინდელი ვითარების ამსახველი სახელი-ნი-
ჯიხა (ნ. დადიანის მიხედვით- „ნოჯიხევი“) ანუ „ნაციხა-
რი“ შერქმევია. მაგრამ, ამასთანავე, იმ გარემოების გათვალის-
წინებით, რომ ციხის ნაციხარად გადაქცევის შემდეგ, უკვე ნო-
ჯიხენად თუ ნოჯიხევად სახელდებული პატარა ადგილის, გარ-
კვეული მიხეზების გამო, მთელი სოფლის სახელად გადაქცევა
გარკვეული პერიოდი დასჭირდებოდა, ხოლო ვახუშტი ბატო-
ნიშვილის „აღწერასა“ და ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვ-
რებაში“ მოცემული დრო საამისოდ მეტად მოკლეა, დასაშვებია
სხვა ვარაუდიც.კერძოდ, ნო- პრეფიქსი, რაც ქართული ნა-ს

შესატყვისია, წარსულდროიანი ვნებითი გვარის მიმღობასთან (ნო-ტმხი „ნატეხი“, ნო-ჟკერი „ნაპობი“, ნო-თირი „(გამო)ნაცვალი“...) ერთად, აწარმოებს კინობითობის ფორმებსაც. მაგალითად, ნო-პრეფიქსსა და -ია სუფიქსს ერთგვარი კინობით-დამცირებითი ნიუანსი შეაქვს სახელის მნიშვნელობაში. მაგალითად, ნოჭუდია იგივეა, რაც „პატარა სახლი, სახლუკა“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობაა „ძველი სახლი“; ნოჭყვედია „ამოსაყვან ყველს მოწყვეტილი ნაჭერი, - ნაწყვედა“ (ქაჯაია, II, 2002, გვ. 398, 399) და ა.შ.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით გამორიცხული არაა, რომ ნაჯიხე // ნოჯიხეუ // ნოჯიხეხი აღნიშნავდა „პატარა, მომცრო ციხეს“ (და არა ნაციხარს). თუკი გაუბედავად გამოთქმული ეს მოსაზრება ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, მაშინ ციხის დანგრევა-განადგურებამდე (ანუ ჯიხას ნაჯიხედ, ნაჯიხურად, ნოჯიხე(უ)დ, ნოჯიხენად თუ ნოჯიხევად („სადაც ციხე იყო“) გადაქცევამდე) ბევრად უფრო ადრე, ციხესაც (სასახლითურთ) და მის შემოგარენში მდებარე სოფელსაც ნოჯიხეუ, ნოჯიხეხი თუ ნოჯიხენი(ა) რომ დარქმეოდა, სავსებით შესაძლებელია. ვახუშტის მიერ ბანძის ციხის „კეთილნაშენად“ მოხსენიებას ამ შემთხვევაში ხელისშემშლელ ფაქტორად ვერ ჩავთვლით, რადგან „კეთილნაშენი“ შეიძლება გულისხმობდეს მკვიდრად, მყარად ნაშენებ დიდსა და პატარა ციხესაც. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში აბაშის პირას შემორჩენილი გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVIII სს.) ციხე-დარბაზის ნანგრევები მცირე მოცულობისაა.

მდრ.: ნოჯიხეხი- ნაციხარი სამიქაოში (ელიავა, 1977, გვ. 24); ნოჯიხეხი, კუთხენოჯიხეხი- სოფლები ხობის რაიონში; გ. ელიავა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკაში“ მიუთითებს მიკროტოპონიმებს: ნაჯიხეუ, ნოჯიხეუ, ნოჯიხენი და ნოჯიხეხი (ელიავა, 1977, გვ. 10, 12, 24, 33, 60, 61, 63, 67, 75, 79, 93, 102, 108, 112, 115, 136, 138, 146, 161, 169, 180). ნოჯიხი-1. ნაეკლესიარი გვანჭკის სერზე (წარჩე); 2. ნაციხარი ნიშონის მარჯვენა მხარეს, ბორცვზე (ქვემო ღუმურიში, გალის რ.); ნოჯიხი // ჩქოტუაშ ჯიხა-ციხის ნაშთი პ. ოტობაიის საზღვართან (ოკვი-

ნორე); ნაპინი - 1. ნაციხარი ბორცვზე, ერისწყლის ხეობაში (ზ. ცხირი); 2. // ხაზალიაშ ჯიხა-ნაციხარი ენგურ-კილის წყალგამყოფ სერზე (ღვაშგვერდი, გალის რ.) და ა. შ. (იხ. ცხალაია, ჯოჯუა, 2003, გვ. 119-121).

ონოლია

სოფელი ნოღელისა და ცხენისწყლის ხეობებში, ზ.დ. 90მ.ოღიშ-ღეჩხუმიის ღავით ღაღინისეული აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ღაყოფის (1831წ.) თანახმად ონოლია სუჯუნის მახრამი შეღის, ხოლო 1872 წლის „აღწერის“ მასაღების მიხეღვით ფაღაღების სათაეაღოს შემადგენღობაშია(იხ.ჯღარკა-ეა, 1970, გვ. 251; მეუნარგია, 1939, გვ.113). ონოლიაში XX ს.ღამღევს მამუღებს ფღობღნენ თაეაღი მხეიღეღი.აქვე უცხოვრიათ აზნაურ ღიღიებს. აკად. ნ. ბერღენიშეიღის ვარაუღით ონოლია VI საუკუნის ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიეღული ონოღშრისი უნღა იეოს. „ბანღაში ხომ არ იეო ის ციხე ონოღურისი-ონოლია“ წერღა მკეღღევარი. თუმცა, იქვეა სამი კითხვის ნიშანი (იხ. ბერღენიშეიღი, VIII, თბ., 1975, გვ. 462). საქმე ის გახღავთ,რომ ონოღიის ტერიტორიაზე აღრეფეღღაღური ხანის ციხე-სიმაგრის კეაღი არ ჩანს.

ონოღურისის ღოკაღიზაციის საკითხზე ყურადღეღა გაამახვიღა პროფ. ს. ყაუხჩიშეიღმა. მისი ვარაუღით, ბიზანტიეღი ისტორიკოსის-აგათია სქოღასტიკოსის მიერ მოხსენიეღული ონოღურისი ცხენისწყლის ღასავღეთით, არქეოპოღისის (ნოქაღაქევი) მაზღობღად, უნაგირას მთაზე უნღა ყოფიღიყო აღმართული (ყაუხჩიშეიღი, III, 1936, გვ. 39-41). პროფ. პარმენ ზაქარაია „ონოღურისად“ ბეერის (ისტორიული წყაროების უნაბირაღ) მთაზე, ნოქაღაქევის „საკონტროლო ზონაში“ აგებულ აბეღათის ციხეს მიიჩნეღღა ღა IV-VI საუკუნეებით ათარიღებღა(იხ. ზაქარაია, კაპანაღე, 1991, გვ. 128-129, 134; მისივე, III, თბ., 1993, გვ. 31-33, 52-60).

გ. ეღიაეას მიერ ჩაწერიღი ხაღხური ეტიმოღოგია ასეთია: ღიღი ხნის წინ სოფეღში გავრცეღებული ჭირის გამო სიკეღღიღიანობა გახშირეღღულა.ხაღხი შიშით გარბოღა სოფეღიღან ღა

ამბობდა- ონდო ღურამ „სულ სიკვდილიაო“ (იხ. ელიავა, 1977, გვ. 71-72).

ტოპონიმი „ნოლა“ სამეგრელოში ფართოდაა გავრცელებული. ი. ყიფშიძის განმარტებით ნოლა მდინარის ტოტია, ხოლო ნოჟო // ნოჟა-დამდგარი, ჭაობიანი ადგილი(ყიფშიძე, 1994, გვ.494). ამასთანავე „ნოლო“ მეგრულში ხევის, ჩავარდნილი ადგილის ან ჭალაში მიმდინარე ღელის აღმნიშვნელია. პ. ცხადაიას მიერ ჩაწერილი განმარტებით, ნოლა ღელე-მდინარეთა ვაკე-ნაპირებზე მდებარე ნოყიერი, უხვმოსავლიანი მიწაა (ცხადაია, IV, 2008, გვ. 275). იქვე მოაქვს საილუსტრაციო მასალაც ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიდან(იქვე, გვ. 275-276). გ. ელიავა „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკაში“ ათჯერ მიუთითებს „ნოლას“ (1977, გვ. 9, 54, 68, 72, 87, 97, 106, 110, 138, 155). „ნოლა“ ფიგურირებს სხვა მიკრო-ტოპონიმებშიც - ნოლა(ში) პიჯი „ნოლის პირი“, ნოლა-პირი, ნოლა(მდ.), ნოლა, ნოლაი პიჯი, ნოლის ჯიხა „ციხე“ (ისტ. ძეგლი კიწიის თემის სოფ.ნოლაში), ნოლაი (ღელეა სალხინოს თემში); ნოლა სოფლებია აგრეთვე სამტრედიისა და წყალტუბოს რაიონებში, ხოლო ნოლაიდა ეწოდება ძველ ნასოფლარსა და მთას სოფ. ხინოში (ქობულეთის რ.).

ნოლა ღელისა და ხეობის სახელწოდებაა ნახუნუსა და წინაკვერკვეში, ხოლო დიდი ნოლა//ნოლა ჰქვია ღელეს ზემო ხუნუსა და ქვაითში; ნოლა//ნოლაჭალა ჭალა-სახნა-ვებია ისკიის მარცხენა მხარეს(ბობოთი); ნოლაპიჯი//ნოლაძა ნოლელისპირა სახნავებია ონოლიაში; ნოლა ეწოდება სახნავს ხობისწყლის ხეობაში (ბია-საშონიო, ხობის რ.) და ა. შ.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ნოლა იგივეა, რაც „მდინარის გაყოლებაზე არსებული ნაყოფიერი ადგილი, სალექი მდელი“. მ. გეგეშიძის აზრით, ჰიდრონიმ-ტოპონიმთა ერთ ჯგუფს-ნოჟას, ნოჟოს, ნოლას სავარაუდო საერთო ფუძე გააჩნიათ და მათში „წარმოჩენილია წყლიანი გარემოს მიკროეკოლოგიური თავისებურება-ნაყოფიერება“ (გვ.46). მკვლევარი აღნიშნავს, რომ მდინარის გასწვრივ მდებარე, მდინარის მიერ მოლექილ(მოსილულ) ადგილს დას. საქართველო-

ში ნოლას უწოდებენ. სამეურნეო ყოფის აღმნიშვნელი უნდა იყოს ტოპონიმი ონოლია, ჰიდრონიმი ნოლელა და ჰიდრონიმული წარმოშობის ადგილის სახელწოდება ნოლალმ-ვი (სამივე მარტივლის რაიონში)(იხ. გეგეშიძე, „ონომასტიკა“, I, 1987, გვ. 46).

ნოლი მდინარისპირა გაშლილი მინდორიცაა. გელიავა „სეფიეთის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში წერს: „ნოლი, I-მდინარე, II-მდინარისპირა გაშლილი ველიანი“ (1977, გვ.9). იმავე ავტორს „სუჯუნის სასოფლო საბჭოში“ აბაშის ნაპირების სახელწოდებად ჩაუწერია „ნოლა“ (1977, გვ. 54); ასევე სოფ. ბანძაში ჩაწერილ ტოპონიმ „ნოლასთან“ მიუთითებს, რომ ამ სახელს ატარებს გაშლილი ველი, სადაც წინათ მცირე დეღე მოედინებოდა (1977, გვ. 87).

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ოიკონიმი ონოლია (ონოლიე←ონოლე) შეიძლება გავიაზროთ, როგორც „წყლისპირა ვაკე-სახნავი, დაბალი ადგილი, ნოყიერი მიწა“ (ო- პრეფიქსია).

ორქა

სოფელი მდებარეობს აბაშის მარცხენა ნაპირზე, სეფიეთის საზღვართან, ზ.დ. 70 მ. სიმაღლეზე. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ორქა სუჯუნის მაზრაში შემავალი სოფელი იყო (იხ. მუნარგია, გვ. 113). საქართველოს სსრ პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით (1930 წ.) ბანძის სასოფლო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებდა ლეფორხუესა და ორქას (ამ უკანასკნელს – 89 კომლით).

გადმოცემით ორქა//ორქაშ სამოხიო მოიცავდა ტობეშა და წყურგიეს//ლეტეშიშ წყარს შუა მდებარე ტერიტორიას, რასაც მცირე დასახლება – ტობეში//ტობეშიშ სამოხიო ესაზღვრებოდა. ორივე „სამოხიოს“ (უბანს, რეგიონს, მრეველს) ერთი სასაფლაო და სალოცავი – წმ. თეოდორეს ეკლესია ჰქონია მუხურჩაში.

ოიკონიმ ორქის ეტიმოლოგია გაბუნდოვანებულია. მხარეთმცოდნე გელიავა „ვედიდკარის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს ტოპონიმ „ორქას“, ადგილის სახელწოდებად (1977, გვ. 70).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საერთო ტოპონიმიკურ სისტემაში – რქა დაბოლოებანი ოიკონიმი ერთადერთია საქართველოში ორქის სახით (იხ. აფრიდონიძე, მაკალათია, „ტოპონიმიკა“, 1980, გვ. 58).

ხალხური ეტიმოლოგიები: ა) „ორქა წინათ გაუვალი ტყით ყოფილა დაბურული. ტყის შუაგულში მონადირეს გადამწვარი ეკლესია უნახავს, რომლის სახურავზეც ხარის ორი რქა ყოფილა დაკიდებული. ამიტომ სოფლისთვის ორი რქა დაურქმევიათ“ (მთხრ. მაგული გრიგოლის ასული კეკელია-გაგუა, სოფ. ორქა, 1996 წ.); ბ) „ორქა იგივე ოქარეა, ადგილი, სადაც მუდამ ქარი ქრის“; გ) „ვილაცას აქ ორქაჯარი (თოქი საქონლის რქებზე მოსაბმელად) დაკარგვია და ამიტომ ეძახიან ორქაჯს, ორქას“.

სამეგრელოში საძოვრად გამოყენებულ, ტყეში მდებარე მინდორს რაქას ეძახიან. პ.ცხადაია „რაქას“ ლანდშაფტურ ტერმინად მიიჩნევს და განმარტავს როგორც „მეჩხერ ტყეს“ (1985, გვ. 28). შდრ. რაქა ეწოდება ტყე-საძოვარს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. თაიაში, ოცინდალის ჩრდილოეთით.

ხომ არაა შესაძლებელი ამ ტერმინის სახით ოიკონიმის ამოსავლი ფუძის ძიება?

მეგრულში გეოგრაფიული ობიექტის კუთვნილება – დანიშნულების გამომხატველია აგრეთვე სპ-ო კონფიქსი, რაც უმეტეს შემთხვევაში ლმ-მ თავსართ-ბოლოსართის მორფოლოგიური ეკვივალენტია. მარტვილის რაიონში მსგავსი წარმოების ოთხი ოიკონიმი – სპბპრუღაპო, სანაჭყებო, სპმ-ლიაპო და სპლხინო. საგრძნობლად მეტია მსგავსი წარმოების მიკროოიკონიმთა რაოდენობა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სა- თავსართიან ზოგიერთ ოიკონიმს მოეპოვება ლე-ე ვარიანტული ფორმა, რაც კიდევ ერთი მიმანიშნებელია ლე- და სა- თავსართების იდენტურობისა. მაგალითად, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში კურზუს თემის სოფელი სპბპრუღაპო ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებაში გამოითქმის, როგორც ლმბპრუღა. გვარისაგან სა- პრეფიქსის დართვით გეოგრაფიული სახელწოდების წარმოება, პ.ცხადაიას მართებული აზრით, „გაცილებით ახალი მოვლენაა, ვიდრე ამავე

დანიშნულებით ლე- პრეფიქსის გამოყენება“ (ცხადაია, 1985, გვ. 155).

ოიკონიმ „სალხინოს“ შემთხვევაში ამოსავალი ფუძეა არა გვარი, არამედ საზოგადო სახელი „ლხინი“, სადაც სა- აქელა-ტიური სიტყვაწარმოებითი ფორმანტია (მდრ.: ტოპონიმები – სათემო, სარდებო, ქვასანაყი...). მორფოლოგიური კონვერსიის გზით ნაწარმოები სახელი „სალხინო“ ჯერ ტოპონიმად, ხოლო შემდეგ ოიკონიმად იქცა (იხ. ქვემოთ).

სა-ო კონფიქსი გვართა დასახლებასთან ერთად მსხვილი თუ წვრილი საფეოდალო ერთეულების სახელწოდებათა მაწარმოებლადაც გვევლინება.

ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ყოფილი სოფლის – საელიავოს სახელწოდების წარმომავლობის საკითხი (ოიკონიმის შესახებ იხ. ქვემოთ).

საელიავოს და საბერულავოს შეუნარჩუნებიათ –ავა დაბოლოების –ავ ნაწილი. თუმცა ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტებია **საქლია**, **საბპრულა** // **სა-ბპრულა** (იხ. ცხადაია, 1985, გვ. 160–161).

ორე

პატარა ორე სოფელია ტალერის თემში, ტეხურის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 300 მ-ზე და მარტვილს 23 კმ-ითაა დაშორებული, უნდა ყოფილიყო დიდი ორეც, მაგრამ ოპოზიცია იგულისხმება იმ დასახლებული პუნქტის სახელწოდებაში, რაც დიდი ჭყონის თემში, პატარა ორეს სამხრეთით, მარტვილიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს, ზ. დ. 320 მ-ზე და რასაც ორეს ეძახიან. ტოპონიმიაში ხშირია ორი ერთნაირი სახელის მქონე ობიექტის ერთმანეთთან დაპირისპირების შემთხვევა ანტონიმური განსაზღვრებით (ბინარული ოპოზიციის შემთხვევა).

გ. ელიავა „ტალერის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში ორეს მიუთითებს სოფლის სამხრეთით მდებარე უბნის სახელწოდებად და განმარტავს, როგორც „თეთრი ვაზის ჯიშს“ (1977, გვ. 139). იმავე წიგნში გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებად ორე კიდევ 11-ჯერ არის მითითებული (1977, გვ. 14, 23, 27, 37, 46, 51, 81, 127, 155, 161) და განმარტებულია,

როგორც „უხვმოსავლიანი, ნაყოფიერი ადგილი“, ან „ჩემის მალლარი ვაზის ნაშენი“.

მიკროტოპონიმი ოჩქმ სახნავეებისა და ჩაის ფართობის სახელწოდებად დაფიქსირებულია ჩხოროწყუს რაიონის სოფლებში-ქვედა ჩხოროწყუში, ახუთში, ოჩხომურში, ლეჯიქეში, მოიდანახეში, კირცხსა და სხვაგან(იხ. „კატალოგი“..., 1983, გვ. 17; 25, 43, 49; ცხადაია, IV, 2008, გვ. 303). ოჩქმ ეწოდება წყაროსა და ჩაის ფართობს საჩინოში (წალენჯიხის რ.); ოჩქმ ჭალა-სახნავია აგრეთვე ჯუშის მარცხენა მხარეს, ხეცერაში(აბასთუმნის თემი, ზუგდიდის რ.). ოჩქმ ეწოდება სახნავეებს ჭანისწყლის, ხობისწყლისა და პარტიკის ნაპირებზე-ახალ ხობულაში, ბია-საშონიოსა და ზენში (ხობის რ.). გ. ელიავას მიერ „სენაკის რაიონის ტოპონიმიში“ ექვსგანაა მითითებული მიკროტოპონიმი „ოჩქ“ (ახალსოფელი, ხორში, ძველი სენაკი, ეკი, უშაფათი), დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (1989, გვ. 23, 62, 72, 81, 87, 99).

ახლად გაკაფული ადგილის, უხვმოსავლიანი მიწის აღმნიშვნელი სიტყვა გურულ დიალექტში არის ოჩქ, რაც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება სამეგრელოშიც. ო.ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ოჩქმ განმარტებულია, როგორც „დიდი მინდორი; „დიდი ყანა, ხოდაბუნი;“ „ბალახი“; მაგრამ იქვე მოცემულია ოჩქმდინხჲს არაზუსტი განმარტება: „ადგილი, სადაც ჩქმდინხჲ (ჩქ-დინხ „თეთრი მიწა“) არის“ (ქაჯაია, II, 2002, გვ. 462). სინამდვილეში ოჩქდინხე იგივეა, რაც „დიდი(ფართო) მიწა“.

ოჩქ სიტყვას მეგრულში კიდევ ერთი მნიშვნელობა შეუძენია. პ. ცხადაიას მოსაზრებით,ესაა „საბატონო ყანა“, ვინაიდან დადგენილი ბგერათმესატყვევისობის (მეგრ-ლაზ. ჩ (უ-[ნ] ჩ-ა-ში „უფროსი“): სვან.შ (ხ-ო-შ-ა „დიდი“) თანახმად, ეტიმოლოგიურად ო-ჩ-ე შეიძლება „საუფროსოს, საბატონოს“ ნიშნავდეს (ცხადაია, IV, 2008, გვ. 476).

სახელწოდება „ოჩქს“ დიდი, ფართო, უხვმოსავლიანი ყანის ან საბატონო(საუფროსო) მიწის მნიშვნელობით გააზრება, ვფიქრობთ, მისაღებია, მაგრამ გელიავას წიგნში მოცემული სიტყვის ერთ-ერთი განმარტება-ჩქმის მალლარი ვაზის ნაშენთან

ტოპონიმ „ოჩეს“ დაკავშირება, სრული გაუგებრობაა. იგივე ითქმის მიკროტოპონიმ ოჩქში-ს განმარტებისას, რაც დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებულია „ახალი სოფლის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში (სენაკის რ.). გ. ელიაშვილს მოსაზრებით „ოჩეში“ იგივეა, რაც „სათეთრო“: „აქ წინათ სულ თეთრის ჯიშის ვაზი ყოფილა გაშენებული“ (იხ. ელიაშვილი, 1989, გვ. 24). სინამდვილეში სახელწოდების ამოსავალია არა ვაზის ჯიშის, არამედ- ოჩე „ფართო, დიდი ყანა; საბატონო ყანა“. ამავე სოფელში არის ადგილი ნაოჩე „დიდი ნაყანვეი“. შტრ.: **ნანტონიშ ნაოჩეშ** „ანტონის დიდი ნაყანვეი“- სახნავი ლექსელებში. **ნაოჩეშში ჩხოშში აპიჯი-სახნავი** საანთიშ ჩხოშშიის ნაპირზე (ზუგდიდის რ.). **ნაოჩე(2)-1.** სახნავები კირცხსა და ნაფიჩხოვოში; **ნაოჩე(2)//დალიაშ ნაოჩეშ-სახნავი** საკვიკვინიოს საზღვართან, ხობისწყლის ხეობაში(ბია, ხობის რ.). **ნაოჩე(2)(1)-ვაკე-სახნავი** ლედარსაღეში (ჩხოროწყუს რ.); სახნავი ჭიჭე კოკში (დარჩელი); 3.სახნავი საკოდლოში(აბასთუმნის თემი); **ნაოჩე(2)-ნავენახვეი** ჩხოროიაში (ზუგდიდის რ.); **ნაოჩეშ-ჩაის ფართობი** ჭკადუაშში. აქვეა **ნაოჩეშში ეკალ(2) და ნაოჩე(2)ში ფერდი.**

სენაკის მაზრის 1871 წლის სამაიორატო მამულების აღწერიდან ირკვევა, რომ ცაიშის სერიდან ოჩემდე ტყეებს ფლობდნენ თავადები-გიორგი, პეტრე, პავლე და ბესარიონ დადიანები, ხოლო ოჩესა და დღევანის შემოგარენი რატიების (რატიანების), გეგელიებისა და კემელაშების მფლობელობაში ყოფილა(იხ. ზსიემ, მთავრის ფონდი, №6494; ჯღარკავა, 1970, გვ. 284). 1872 წლის „აღწერის“ თანახმად ოჩე სალიპარტიანოს შემადგენლობაშია (იხ. ზსიემ, №3365/276; ჯღარკავა, 1970, გვ. 241).

შინოთა და შქანოთა

დავით დადიანის დროის ოდიშ-ლეჩხუმის ტერიტორიული დაყოფის იონა მეუნარგაისეულ ჩამონათვალში ჯვარის მაზრის სოფლებს შორის დასახელებულია შინოთა. 1872 წლის ცნობით შინოთა სალიპარტიანოში შემავალი სოფელია(ზსიემ, მთავრის ფონდი, №3365/276). დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დიდი ჭყონის თემში შედის და ტეხუ-

რის მარჯვენა ნაპირზე, ზ.დ. 220 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. მარტვილს 13 კმ – ითაა დაშორებული, ხოლო დიდი ჭყონს–1,5კმ-ით (იხ. ქსე, VIII, 1984). უინოთად იწოდება აგრეთვე ტეხურის მარცხენა მხარეს, ზვანჭკირის ჩრდილოეთით მდებარე პატარა სოფელი სალხინოს თემში. აკონკრეტებენ: **მეღმე შინოთა** და **მოენ შინოთა** ანუ **პატარა შინოთა**. მეღმე უინოთა (გაღმა უინოთა) ჭყონს ეკუთვნის, მოენ უინოთა (გამოღმა უინოთა) ანუ პატარა უინოთა ზ.დ. 300 მ-ზე მდებარეობს და სალხინოს 2კმ-ით, მარტვილს 13 კმ-ითაა დაშორებული (ქსე, ტ. VII, 1984). ოიკონიმიდან დაკავშირებულია აგრეთვე ჰიდრონიმი **შინოთაშ ღანი** // **ზვანჭკირიმ ღანი** – ღელე სკურდში.

პატარა უინოთაში მიუთითებენ ღვთაება **შინანთარის** სალოცავს – დიხაგუძუბას (მიწაზურგა, ბორცვი). მხარეთმცოდნე გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით ღვთაება უინანთარის–უინოს საუფლო სოფელში იმართებოდა დღესასწაული, სადაც ხალხი შორეული სოფლებიდანაც მოდიოდა (1977, გვ. 133). იგივე აზრს ავითარებს მკვლევარი სხვა ნაშრომშიც: „**შინანთარი** – მაღალი ანთარი. ღვთაება ნაყოფიერებისა, საქონლის სიმრავლისა. **შინოთა** – ადგილია სოფ. სალხინოში, სადაც უინანთარზე ლოცულობდნენ წინათ. **შინო** – უინანთარი, ზედა ღვთაება“ (1989, გვ. 112-113).

სალხინოს დიხაგუძუბაზე აღმოჩენილი ქვის ქანდაკება, რაც ამჟამად მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, ანთარის სკულპტურულ გამოსახულებად მიაჩნიათ.

მკვლევარ გიორგი ჯანიას აზრით, **ანთარი** ყველა ცოცხალის მფარველი, სამყაროს გამგებელი ზეციური ღვთაება უნდა ყოფილიყო: „ანთარი განაგებს ყველა ცოცხალს ანუ „სქელედს“. სწორედ ამ სიტყვით აღინიშნება ყველა ცოცხალი მეგრულ დიალექტში და იგი დაკავშირებულია სქულა ანუ კვერცხის დადებასთან. ასევე შვილს მეგრულად **სქშა** ეწოდება“ (იხ. ჯანია, „რუბიკონი“, № 50, 1995, გვ.10).

პროფ. ალ. ღლონტის ვარაუდით უინოთა იგივეა, რაც „ზემოთა“ ((?) უინგ-მეგრ. ზემო, ზედა).

მდ. ტეხურის გაღმა-გამოღმა მდებარე სოფლების კრებისით

სახელწოდების – შინაგარეული ეტიმოლოგიის ძიებისას და ამოსავალი ფუძის მნიშვნელობის წარმოდგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სამეგრელოში გავრცელებული ისეთი ტოპონიმების სტრუქტურაზე, როგორცაა: **თანაწყვირი** „ჩამორღვეული, ჩამოქცეული (ჩაქცეული) მთა ან მთის ფერდობი, ნამეწყრი ადგილი“ – მთა ნაესუსა და თამაკონს შუა (იხ. კეკელია, 2008, გვ. 27-28); **თარზენი** „მთის ვაკე“ – მთა ჭანისწყალ-ხოვისწყლის წყალგამყოფ ქედზე (სქურისა და ხობისწყლის ხეობა); **თატბბ** „თბილი მთა“ – ფერდობები ინწირის მარცხენა ნაპირზე (ჩქვალერი) (იხ. ცხადაია, I, 1999 გვ.23-24); **თაბაღარი** – მთა საჩიქობავოში (სენაკის რ.) (იხ. კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 121).

ჩამოთვლილი ტოპონიმები ორკომპონენტიანია, სადაც ქართული მთა მეგრულში მთა ფორმითაა შესული (შდრ. **თანა** – სოფელი და თემის ცენტრი ოჩხომურის ხეობაში (ჩხოროწყუს რ.), სადაც **მთა** იგივეა, რაც **მთა**, ხოლო – ია კინობითობის მაწარმოებელ სუფიქსს წარმოადგენს: თაია „მცირე მთა; გორიკა“).

ტოპონიმთა ამ რიგში შეგვიძლია განვიხილოთ **შინაგარეული** და **შქანთა**. ესენია ოროგრაფიული ობიექტის (ე. ი. დედაძინის ზედაპირის რელიეფის ფორმის) აღმნიშვნელი საკუთარი სახელები, სადაც **შინა**, **შინა** იგივეა, რაც „ზემო; ზედა; ზევითა“; ხოლო **შქან** // **შქან**- შუა (კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 121). შესაბამისად, ჟინოთა შეიძლება გავიაზროთ როგორც „ზემო მთა“, ხოლო **შქანთა** // **შქანთა** (სოფელი გაჭედლის თემში, ჯღამანჯღარის ნაპირზე, გაჭედლიდან 2 კმ-ში, კადამონას მთის ჩრდილოეთ ფერდობზე; პარალელური სახელწოდებაა **პატარა თამაპონი** // **ჭიჭი თამაპონი**) – როგორც „შუამთა“ (შდრ.: **შქაზა** // **შქაზა** „შუა გზა“ – გზა ბალდიდან გორდისაკენ). ო. ხუხუას განმარტებით **შქანთა** კომპოზიტია და იგივეა, რაც „შუა ანთარი, მომრიგებელი ანთარი, კეთილი ღვთაება“, ე. ი. **შქა** (ან)თა(რი) (ხუხუა, „სათანო“, №6, 2010, გვ. 13). ვფიქრობთ, ოიკონიმ „შქანთის“ სახელდების ხუხუასეული ახსნა გულუბრყვილოა და საფუძველს მოკლებული.

სოფელი წელამის მთისძირში, ოჩხომურის ორივე ნაპირზე, ზ.დ. 400 მ. მარტივლს 32 კმ-ითაა დაშორებული, ხოლო თემის ცენტრს, სოფელ კურზუს – 1 კმ-ით. ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია საბერძნობა, ლებერძნობა. აკონკრეტებენ: თუშოლონი (ქვედა) ლებერძნობა (უბანი გოდოგანში) და შიმოლონი (ზედა) ლებერძნობა//მერჩი ლებერძნობა. მერჩი ეწოდება მინდორს ოჩხომურის მარცხენა მხარეს, ჟიმოლენ ლებერძნობას ცენტრში. შდრ.: ნერჩი-მოკლე ხევი-ტაფობი ცივის მარცხენა ნაპირზე, ახუთის თემში. მერჩი მეგრულში აღნიშნავს ფუძეს, ძირს, მიწის იატაკს. გელიავას განმარტებით ტოპონიმი „ნერჩი“ იგივეა, რაც „მთისძირი“ (1977, გვ. 147).

ლებერძნობა/საბერძნობა ბერულა(ვა)ს გვარის ძირძველი საცხოვრისია. ბერულა(ვა) ერთ-ერთი რიცხვმრავალი გვარია. საბერძნობა ეწოდება აგრეთვე უბანს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში, სადაც ცხოვრობენ კურზუდან წასული ბერულალები. შდრ.: ლებერძნობა – უბანი ლებერძნობა და ვაყუს შუა (ნაფიჩხოვო); ლებერძნობა/საბერძნობა – უბანი კირთხიმის ხეობაში (მეორე ჭოლა) და ა.შ. აჭანტურია მიუთითებს გვარებს – ბერულასა და ბერულიას (2006, გვ. 97). ბერი, ბერია, ბერო, ბერუ, ბერუნა პირთა სახელებია სამეგრელოში, რომელთაგან ერთ-ერთი ბერულა(ვა)ს ფუძეს უნდა წარმოადგენდეს.

2004 წლის მონაცემებით კურზუს თემში ბერულავას 68 კომლი ცხოვრობდა (იხ. ბერია, კალანდია, 2004, გვ. 10).

მეგრულში გვარი გამოითქმის ბერულა(ვა)–ს ფორმით (მაგალითად, ბერულა(ვა) ბოგა//ბერულა(ვა) ბოგილი, ბერულა(ვა) ნოხორი, ბერულა(ვა) ღაღუ, ბერულა(ვა) ჭყონი//ბათაყვა(ვა) ჭყონი – გეოგრაფიული სახელწოდებანი ჩხოროწყუს რაიონის კირცხის თემში (ცხადაია, IV, 2008, გვ. 91); ბერულეფიშ დიხა – მინდორი ხობისწყლის მარცხენა მხარეს, ხაბუშეში; ბერულეფიშ კარე – მწყემსის სადგომი ხობისწყლის ხეობაში, ჩეგვალას ღალის ნაპირას (იქვე, გვ. 91), ნაბერლუ – ტყეებუჩქნარიანი ფერდობი და მინდორი მაცაცხეშ გოდასა და თხინას შუა (თარგამეული).

საქმიანო

სა(მ)იო // საქმიანო პატარა სოფელია, რაც აბაშისა და ინჩხის ხეობებში მდებარეობს. სოფელი ზეგანსა და გორაკ-ბორცვებზეა შეფენილი(ზ. დ. 200მ.). დასავლეთით აბაშის ხეობა ესაზღვრება, სამხრეთით-ინჩხია და ქალაქი მარტვილი, აღმოსავლეთით-ქვათის სერები(დობერა და დორგანე), ჩრდილოეთით-სოფელი ინჩხური. 1831 წლის აღმ.-ტერიტორიული დაყოფის თანახმად საელიავო მარტვილის მაზრაში შემავალი სოფელია(1939, გვ.113). 1871 წლის „აღწერის“ მასალების მიხედვით იგი საეკლესიო მამულს წარმოადგენდა (იხ. ზსიემ, №6494/18; ჯღარკავა, 1970, გვ. 265).

ერთ-ერთი ვერსიით სოფლის სახელწოდება ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის არსებობას უკავშირდება, რაც ნაოხვამფერდის მაღალ გორაზე ყოფილა აღმართული(იხ. დეკანოზი გოჩა, 2002, გვ. 4).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სა-ო კონფიქსი გვართა დასახლებასთან ერთად მსხვილი თუ წვრილი საფეოდალო ერთეულების სახელწოდებათა მაწარმოებლადაც გვევლინება. აღნიშნულ საკითხს თავის ნაშრომში სპეციალურად შეეხო პ. ცხადაია. წარმოადგინა საილუსტრაციო მასალაც (სამურზაყანო, სადადიანო, სააფაქიო // სააფაქიო ენწერი, სამანიჩო // სამანიჩო ქიანა, სადადიანო ეწერი, სალიპარტიანო) და დაასკვნა: „ყველა შემთხვევაში სა-ო პრეფიქს-სუფიქსით გამოხატულია დანიშნულებაცა და განკუთვნება-ვისობაც, ოღონდ მმართველისადმი, მაღალი წოდებისადმი, თავადობისადმი...“ (ცხადაია, 1985, გვ. 157)

ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ საქმიანოს სახელწოდების წარმომავლობის საკითხი. გვარის მონაწილეობით წარმოქმნილი სახელწოდება დაერქვა არა ელიავების გვარით დასახლებულ უბანს (თუმცა არც ესაა გამორიცხული), არამედ ტერიტორიას, რასაც ფლობდა და განაგებდა მაღალი წოდების (ან თანამდებობის) მქონე პიროვნება. ცნობისათვის: ელიავები საეკლესიო აზნაურები იყვნენ (იხ. ბოროზდინი, 1934, გვ. 257). მაშასადამე, საელიავო „ელიავასათვის განკუთვნილი ტერიტორია, მისი სამართავ-სამფლობელო“ (იხ. კეკელია, №12, 2010, გვ. 77).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 21 დეკემბრის №1506-X ბრძანებულების საფუძველზე გაუქმდა გეგეჭკორის საქალაქო საბჭოს სოფელი საელიავო და ტერიტორიულად ქ. გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილის) შემადგენლობაში გაერთიანდა (იხ. კეკელია, 2009, გვ. 149). შდრ.: საელია // საელიო – ელიალების უბანი ბოგვეთსა და წარჩეში (გალის რ.).

საღზინო

სოფლების – წაჩხურუს, ვახას, ლეგულორდავეს, ლესხულუხეს, ლეცავესა და პატარა ჟინოთის ცენტრს წარმოადგენს საღზინო, რაც მარტვილიდან 15 კმ-ითაა დაშორებული და გაშლილია ტეხურისა და წაჩხურის ხეობებში, ვაკეზე, მთებსა და გორაკ – ბორცვებზე, ზ.დ. 250 მ-ზე.

საქართველოში ამ სახელწოდების მატარებელი კიდევ სამი სოფელია – გალისა და ვანის რაიონებსა და გაგრის ქალაქის საკრებულოში.

გ. ელიავას მიერ ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით, სოფლისთვის „საღზინო“ თამარ მეფეს უწოდებია: „ეს სახელწოდება ძველია. აქ საღზინოდ და სააგარაკოდ ამოდიოდნენ დადიანები. ადგილები სულ ოჯალემის მალღარით ყოფილა დაბურული. ბაღნარი, ხეხილოვანი, ვახნარი ველი, წალკოტი ყოფილა ცივი წყაროსწყლებითა და საამო ჩრდილოვანი ტყიანებით“ (ელიავა, 1977, გვ. 167).

გოგილო და დემურ ბასილაიები, წიგნში – „ჩვენი საღზინო“, სოფლის სახელწოდების წარმოქმნას ამ ადგილის დადიანთა რეზიდენციად გადაქცევას უკავშირებენ და დაასკენიან, რომ ტოპონიმის „დამკვიდრება“ უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან (იხ. ბასილაია ..., 2008, გვ. 20).

ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის ედუარდ აიხვალდის 1825 – 1826 წლებში საქართველოში მოგზაურობის აღწერაში ვკითხულობთ: „მცირე მანძილის გავლის შემდეგ მივადექი დადიანის საზაფხულო სადგომს საღზინოში. მე ვფიქრობდი, რომ აქ ვნახავდი სამეგრელოს მბრძანებლის სულ ცოტა მშვენიერ შენობებს მაინც. მის მაგიერ, როგორც კი ტყიდან

გამოვედი, მდინარის წინ პატარა მოედანზე შეენიშნე „კაბიტკის“ მსგავსი რამდენიმე, მრგვალი დაწნული ქოხი, რომლებსაც აქვს ზევით აწვეტებული საბურავები, ორი ერთმანეთის საპირისპიროდ მდებარე კარი და არც ერთი ფანჯარა“ (იხ. აიხვალდი..., 2005, გვ. 174-175).

სალხინოში ზის ოდის ნაცვლად ორსართულიანი ქვის სასახლის მშენებლობის დაწყება სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანის (1804 – 1840 წწ; გარდაიცვალა 1846 წელს) სახელთანაა დაკავშირებული, რაც მის შვილიშვილს, პრინცესა სალომე მიურატიასს მოუმთავრებია (XIX საუკუნის 80-იან წლებში). „სასახლის მდებარეობა იმ ადგილის ახლო, საცა არის სამშობლო „ოჯალეშისა“ (სასახლიდან ორ ვერსტზე) მდინარის წაჩხურის ნაპირად, რომელიც იყო და არის განთქმული შესანიშნავის წაჩხურის კალმახებით და თითონ პლანი სასახლისა, რომლის ქვედა – სართულის შუა-გულ ზალაში არის ჩატნეული უზარ-მაზარი ქვევრი, რომლის გარეშე შიგ ზალაში გაკეთებულია სალხინოდ განმზადებული მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური ლამაზად მოქარგული თაღით, სრულად ამართლებენ სასახლის წოდებას „სალხინოს“ და მოწმობენ, რომ ამგვარი სასახლის ამნების აზრი ამ ადგილზე, სწორედ უნდა მოსელოდა ისეთს მთავარს, როგორც იყო ლევან დადიანი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლე ლხინში და სიმღერაში გაუტარებია“, – წერდა მწერალი იონა მეუნარგია (1939, გვ. 62).

სალხინოს XVIII ს-ის 80-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს ნიკო დადიანი: „შემდგომად რამოდენისამე ხანისა სიყვარულისა დასამტკიცებელად მოვიდა მეფე სალხინოს დადიანისა თანა(იგულისხმება კაცია დადიანი - ი. კ.), მონათლა ასული დადიანისა მარიამ, და შემდგომად მრავლის ლხინისა და მრავლის საჩუქარისა მოვიდა მეფე კვალად ქუთათისს“ (დადიანი, 1962, გვ. 180).

სალხინო მოხსენიებულია თეოფანე არქიმანდრიტის (გაბუნიას) მიერ 1852 წელს შედგენილ დოკუმენტში-ჯვარის მაზრის ეკლესიებისა და საეკლესიო მსახურთა „უწყებაში“: „... სალხინოს სოფლის წ(მიდ)ის გიორგის ფიცარის ეკლესია განვიხილეთ. დაუწმენდელია შიგნით და გარეთ, ეზო გვიმრიანია, ჩალ-

დაყში პირუტყვის ნამყოფებია ,წვიმა ჩამოდის... აქ სალხინოს სოფელს სამთავრო სასახლის ეკლესია განვიხილე, არის თლილი ქვისა(საქაო ტანისა, კარგის პლანისა ორსართულიანი, ჯერისამებრ მშვენიერად შემკული) ხატ-ჯვრითა..." (თეოფანე, „აია“, №1, 1997, გვ. 35). 1904 წლის „აღწერიდან“ ირკვევა, რომ სალხინოში მამულებს ფლობდნენ და მკვიდრობდნენ აზნაური გეგელები და შავდიები.

საერთოდ მარტვილის რაიონში იმერული დიალექტის სახით სალიტერატურო ქართულის გავლენა იკვეთება, რაც თვალსაჩინოდ აისახება ქართულიდან ნასესხები სა-ე და სა-ო კონფიქსებით ნაწარმოებ ადგილთა სახელებში. (სააგურო, საგორაო, საიჯარო,საოდიშო, საყარაულო, საცილო, საჯვარო, საკირე, საეკლესიო, სამრეკლო, და ა. შ.). სა-ო კონფიქსი დანიშნულების გამომხატველია. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **სალხინო ლხინისთვის განკუთვნილი, ლხინთან დაკავშირებული შენობა ან საბანებოდ მოწყობილი ადგილია.**

სალხინო // სარხინო თავდაპირველად მღ. წაჩხურის მარცხენა მხარეს მდებარე მინდვრის სახელწოდება ყოფილა, რასაც ამჟამად „ოკათუეში“ (თავშესაყარი) ჰქვია.მეტონიმის გზით და გარკვეული მიზეზების გამო მიკროტოპონიმი განიერცო სახელდებული ობიექტის უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, რაც დამახასიათებელია სამეგრელოს ტოპონიმისათვის(იხ. კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010, გვ. 123).

„ოკათუეშის“, იგივე „სალხინოს“ მინდორზე, რელიგიური დღეობა – დღესასწაულების დროს, აგრეთვე უქმე დღეებში, ადგილობრივი მოსახლეობა იკრიბებოდა და იმართებოდა ლხინი, ცეკვა – თამაში თუ ხალხური სპორტული სანახაობები. სამეგრელოში ასეთ თავყრილობას **ჯარალას, ჯარობას, ჯარალუას** ეძახიან. მაშასადამე, სალხინო ის ადგილია, სადაც იკრიბებოდნენ რელიგიური დღეობების აღნიშვნისა და გართობის, დროის გატარების მიზნით. სამეგრელოში ასეთი დანიშნულების ადგილებს ნანჯარუს, ოჯარეს, ოჯარ(ი)ეშს, საჯარიოს, ჯარალას, ჯარობას, ოშაყარუს, ოშაყარეშსაც უწოდებენ (იხ. ცხადაია, I, 1999, გვ. 57-58). შდრ.: სარხინო-უბანი

ენგურის მარცხენა მხარეს, რაც იყოფა მიკროუბნებად- საქადა-
რიო, სათოდუო, საჭკადუო (ახალი აბასთუმნის თემი, ზუგდი-
დის რ.-ნი). თოდუები, ნანავეები, ჭაჭუები და გადელიები მარ-
ტვილის რაიონის სოფ.სალხინოდან აქ ჩამოსახლებულან, დამ-
კვიდრებულან და დასახლებისათვის მშობლიური სოფლის სა-
ხელი უწოდებიათ(იხ. ცხადაია, II, 2007, გვ. 73).

სანატჳიბიო

სოფელი კურზუს თემში,ზ. დ. 350 მ. მარტვილს 33 კმ-ითაა
დაშორებული და ოჩხოძურსა და ტეხურს შუა მდებარე მალ-
ლობზეა. სახელწოდების წარმოქმნის განმსაზღვრელია ნაჭყე-
ბიას გვარის გარკვეული რაოდენობის კომპაქტური დასახლება.
ნაჭყებია მრავალრიცხოვნებით გამორჩეული გვარია და მარტვი-
ლის რაიონის მასშტაბით მეორე ადგილზეა(დანელიას შემდეგ)-
სულ 322 კომლი რაიონში. კურზუს თემში ამ გვარის 129
კომლი აღირიცხა. ნაჭყებიები ცხოვრობენ აგრეთვე ტალერში
(65კომლი), დიდი ჭყონში (35), სალხინოში(30), მარტვილ-
ში(29), ნაჯახუში(9), სერგიეთში(9), თამაკონში(7), ბანძა-
ში(2), ნახუნუში(2), ხუნწში(1), გურძემში(1), ონოლიაში(1),
გაჭედელში(1), ვედიდკარში(1).

ნაჭყებიების საგვარეულო ჯგუფური მეტსახელებია: ღუმ-
ჩვარტიფეფი „ლომიჭყლეტიები“ და წუხნუკეფი.

შდრ.: სანატჳიბიო-1. უბანი რუხის ცენტრსა და საკიკა-
ლისქუოს შუა(რუხის თემი); 2. უბანი ძალრას გასწვრივ, რკი-
ნიგზის ხაზამდე (საკვიკვინიო, ბულიწყუს თემი, ხობის რ.);
3. უბანი მდ.ენგურსა და ჯუმის შენაკად კახათწყარს შუა(კახა-
თის თემი); 4. უბნები თორღიფეფიმ ჩხოუშიისა და საანთიოშ
ჩხოუშიის ხეობებში; **სამანიო-სანატჳიბიო** – უბანი ჩხო-
უშიის მარჯვ. მხარეს (სამივე ჭკადუაშის თემში, ზუგდიდის
რ.); 5. უბანი ხობისწყლის მარჯვენა მხარეს. აქვე წყაროს-
წყალს **სანატჳიბიოშ წყურბილს** ეძახიან (ჯუმიითი, ლე-
წურწუმის თემი, ჩხოროწყუს რ.); 6. უბანი ხობისწყლის მარ-
ჯვენა ნაპირზე. აქვე ჭალას **სანატჳიბიოშ ნაწიისქვილზ**
და **ნატჳიბიოშიშ ჭალე** ეწოდება (ზუმი, ჩხოროწყუს რ.);
7. // საშუმანიო—უბანი ჭიხუს მთისძირში, სადაც უწინ ნაჭყე-

ბიებს უცხოვრიათ. მათ ნასახლარებზე შემდეგ შუშანიები დამკვიდრებულან. აქვე, საქანთარიოშ გოლასა და მარხომერიშ გოლას შუა მდებარე ჭიხუს მთის ნაწილს საშუშანიოგოლა // სანაჰჰეპიოზოლა ჰქვია (ჭიხუ, ბულიწყუს თემი, ხობის რ.); ნაჰყეებია რჰაბლა // სანაჰჰეპიო—ნაჰყეებიების უბანი წიფ იკვარას ღელის ნაპირზე (კაციჰაბლა, ფოქეშის თემი, ოჩამჩირის რ.)... გვართან დაკავშირებული მიკროტოპონიმებია: ნაჰყეებიაშ ნოხორო—ფერდობი მეორე ჭოლაში; ნაჰყეებიაშ ნოხორო—ბორცვი ციის ხეობაში, სალიპარტიოში (ახუთი); ნაჰყეებიაშ ფერდი—ფერდობი ნაფიჩხუეში; ნაჰყეებიაშ ჭყონა—ტყე ციის მარჯვენა მხარეს, სანაჰყეებოში (ახუთი). მიკროტოპონიმებს ვასახელებთ პ. ცხადაიას წიგნიდან (IV, 2008, გვ. 263); სანაჰყეებოდიხა—სახნავი ჩხოუშიის ნაპირზე (ცაიშურკახათი, ზუგდიდის რ.); ნაჰყეებიფიშ ფართობი // ზანაჰალე—სახნავი ხობისწყლის ნაპირზე, რაც ზანელებს ეკუთვნოდათ (ზუბი)...

1621 წლის საბუთში გვხვდება ნაგვაზუს მცხოვრები საეკლესიო გლეხი ნაჰყეებია მახარობელი (ქსმ, III, გვ. 413). საისტორიო წყაროებში ნახსენებია მათხოჯს მცხოვრები ყმა ლაჰყეებია, მზარეული თომიხილაი ლაჰყეებია, რომელიც მარიამ დედოფლისთვის მზითვში გაუყოლებიათ (1634 წ.). გადმოცემით ლეჩხუმელი ლაჰყეებიანის უწინდელი გვარი ნაჰყეებია ყოფილა. დადიანთან კონფლიქტის გამო ბანძიდან გადასახლებული ორი ძმა, გვარად ნაჰყეებია, ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში დამკვიდრებულა. რ.თოფჩიშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემის თანახმად, ერთი ძმა უძეოდ გადაგებულა, ხოლო მეორის—დათას შტო გამრავლებულა და გვარად ლაჰყეებიანი გაუხდია (თოფჩიშვილი, 1993, გვ. 15; მისივე, I, 2003, გვ. 240).

სანაჰყეებოელთა გადმოცემით ნაჰყეებიას გვარიხ ძირის სალოცავი ლენტეხის რაიონის სოფელ ფაყშია, სადაც დგას კლდის მთავარანგელოზის ეკლესია. ყოველწლიურად ძველი სტილით 20 ივლისის მომდევნო პირველ კვირა დღეს, სანაჰყეებოში იმართება ქეჯვარობა // ქენჯერობა—რელიგიური დღესასწაული. ასწლოვან ცაცხვის ხესთან შეკრებილი ნაჰყეებიები ამ დღეს ლოცულობენ, კლავენ ხარს და მის ხორცს გვარის ყველა წარმომადგენელი თანაბრად ინაწილებს. ქეჯვარობაზე გვარის

დალოცვის რიტუალს სათემო მოწესე აწესრიგებს, რომელსაც მახვამურს „მლოცველს“ ეძახიან. უწინ ეს რიტუალი ხის სვეტთან სრულდებოდა, რაც ძლიერ დანახშირებულია და ამჟამად მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. გ. ელიავას მოსაზრებით, ქვევარობის სახით საქმე უნდა გვექონდეს ხის თაყვანისცემასთან და ხარის მსხვერპლად შეწირვის წარმართულ ტრადიციასთან (1971, გვ. 90-91).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქვევარობის დღესასწაულზე სანაჭყეხიოს ეკლესიისთვის შეწირული თანხის ნაწილს სვანეთში, ფაყის ეკლესიაში აგზავნიან, რადგან გვარში გავრცელებული ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად ნაჭყეხიების გვარის ძირის სალოცავი სვანეთშია. გვარის წინაპარს იქ კაცი მოუკლავს და რომ არ დაედგომებოდა, აყრილა და თავისი ოჯახით აქ, სანაჭყეხიოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულა.

ნაჭყეხიების გვარის შესახებ საინტერესო გადმოცემები შეუკრებია გოჩა (ზაზა) ნაჭყეხიას, რაც შესულია წიგნში – „კურზუ და კურზუელები“ (გვ. 17-22). ავტორი მხარს უჭერს ნაჭყეხიების სვანეთიდან ჩამოსახლების შესახებ გავრცელებულ გადმოცემას (იქვე, გვ. 22).

ი. მაისურაძის მოსაზრებით გვარის ფუძეა მეგრ. ნაჭყა (მიმლ. ვნებ. წარს. ჭყენს ზმნისა), რაც „დაწყველილს“; „ნაწყველს“ ნიშნავს. ბატონის მოკვლისთვის სვანეთიდან გამოქცეულს ახალ სამყოფელში ეს სახელი უწოდესო, –წერს ი. მაისურაძე (1990, გვ. 123-124).

XX ს. დამდეგს სანაჭყეხიოს მახლობლად, დღევანაში უცხოვრიათ აზნაურ ნაჭყეხიებს.

სერბიეთი

სერგიეთი (ადგ. არაოფიციალური ვარიანტი სერბიათი) აბაშისა და ტარჩენის ხეობებში, ზ.დ. 130 მ-ზე მდებარეობს. 1871 წლის „სამაიორატო მამულის აღწერიდან“ ირკვევა, რომ სერგიეთი არჩილ დავითის ძე დადიანის მფლობელობაშია. ამას ადასტურებს მარტვილის მუზეუმის ფონდებში დაცული სხვა არაერთი ხელნაწერი დოკუმენტიც (იხ.ჯღარაკაეა, 1970, გვ. 225-228). 1904 წლის „აღწერის“ მასალების მიხედვით ასა-

თანებს მამული ჰქონიათ სერგიეთში. ინფორმანტ პროკოფი სურმავასგან გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემა გვიამბობს, რომ ეს სოფელი სახელგანთქმული კაცის – სმრბიას დი-დი მოჯახის ნასახლარია (ელიავა, 1977, გვ. 95).

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, სოფლისთვის სმრბი არ-თი, სერგიათი სამეგრელოს მთავარს გამორჩეული ვაჟკაცისა და მეომრის – სერგი ჩახავას პატივსაცემად შეურქმევია, რომელიც თურქებთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპულა (ელიავა, 1996, გვ. 92-93).

სერგია გვარიცაა და სახელიც. სასერგიო ეწოდება უბნებს ციხეთსა (სენაკის რ.) და ხამისკურში (ხობის რ.). მცირერიც-ხოვანი გვარია. სერგიები ცხოვრობენ აგრეთვე საჯიჯაოში, ხეთაში, ნოჯიხევში, ხობში, ხორშსა და სხვაგან (ცხადაია, 2000, გვ. 126). გვარი მოხსენიებულია 1569 წლის შეწირულების წიგნში, საიდანაც ირკვევა, რომ კაკულიაი სერგია ხობის ღმრთის-მშობლისთვის შეწირული ყმა (ქსმ, 1970, გვ. 275). 1616-1621 წლებით დათარიღებულ „საცაიშლო დავთარში“ ჩამოთვლილია ცაიშში მცხოვრები საეკლესიო გლეხები – მასხულია სერგია, ხუხული სერგია, ჯგევშია სერგია, გეგელია სერგია, ხუხულია სერგია, გვანობა სერგია და სხვანი (ქსმ, 1970, გვ.440, 442-443, 453).

პროფ. ა. ლლონტი მიუთითებს საკუთარ სახელებს – სერგეს, სერგის, სერგიას, სერგილდს (სვან.), სერგისს და სერგოს (ლლონტი, 1986, გვ.187). ა. ჭანტურიას წიგნში დასახელებულია მეგრული სახელები – სერგე, სერგი, სერგია და სერგიე (ჭანტურია, 2006, გვ. 60). ი. მაისურაძეს სერგიეთი სერგიას გვარით დასახლებულ სოფლად მიაჩნია (მაისურაძე, 1990, გვ. 146). შდრ. სმრბიასწონი-მარჩხობი, ფონი აბაშაზე (სერგიეთი).

ოიკონიმ „სერგიათის“ მოტივაციაზე მსჯელობისას ორივე ვარიანტი-გვარისა ან სახელისგან სოფლის სახელწოდების წარმომავლობა, დასაშვებად მიგვაჩნია („თი“ ბოლოკიდურიანი ტოპონიმების შესახებ იხ.: ელიავა, 1972; კეკელია, 2009, გვ. 415-435; ოიკონიმ „სერგიეთის“ შესახებ იხ. კეკელია, №12, 2010, გვ. 77).

სკურდი

სოფელი გაჭედის თემში, ზ.დ. 360 მ-ზე, აბაშისა და სკურდღლის ხეობებში. მარტვილს 8 კმ-ითაა დაშორებული. 1871 წლის აღწერის თანახმად სკურდი შხეფელი დადიანების მფლობელობაშია. კ. ბოროზდინის წიგნში აღნიშნული სოფლის სახელწოდებად მითითებულია სკურდი ფორმა: „შხეფში, თამაკოს, ნახუნუს, სკურდუს, თარგამოულს, აბედათს, უშაფათში საუკეთესო ღვინო დგებოდა და ყველაზე უკეთესი-ოჯალეში მთავრის ვენახებში, სოფ. სალხინოს მოდიოდა“ (1934, გვ. 242). „სკურდი“ იხსენიება გიულდენშტედტის ნაშრომში (1962, გვ. 323).

საქართველოს სსრ პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცნობარის (1930წ.) თანახმად სკურდი სენაკის მაზრის მარტვილის რაიონის გაჭედის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაშია.

სკურდი//სკურდი ღვე//სკურდი მდინარისა და ხეობის სახელწოდებაა გაჭედისა და სკურდში, რაც სათავეს იღებს უნოთაში და გაჭედი-ინჩხურის საზღვართან, მარჯვნიდან უერთდება აბაშას.

ქართულ ტოპონიმიაში საზღვრული სიტყვა „დიდი“ შემოკლების გარეშეა წარმოდგენილი (გადიდი, ზუგდიდი, ჭყონდიდი...), მაგრამ გვაქვს გამონაკლისიც სკურდისა და გორდის სახით (იხ. ბედოშვილი, I, 2001, გვ. 108-109). ჰიდრონიმი „სკურდის“ უწინდელი ფორმა სკურდი უნდა ყოფილიყო. დ. ფიფიას განმარტებით სკური იგივე „ღელეა“. სკური//სკური ღრმა და ფართოხეობიანი მდინარის, ან ტყე-ხეობის აღმნიშვნელია, სადაც ღელე ან მდინარე გაედინება (ცხადაია). მაშასადამე, სკურდი (სკურდიდი) „ტყე-ხეობაში მომდინარე დიდი ღელეა“. მდინარისა და სოფლის სახელი ჰაპლოლოგიის (მარცვლის ამოვარდნის) გზით უნდა მიგვეღოს.

აქვე საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ სკურდი-//სკურდი-სიტყვის შემცველ ზოგიერთ ჰიდრონიმს, რაც სამეგრელოშია ჩაწერილი:

სკურდი(ი)დი//სკურდი ზყარი-ღელე ნახურცილაგოში (მარტვილის რ.);

სკურეფიზია//სკურეზია-ღელე და ხეობა საჩინო-კუ-
ხეში (წალენჯიხის რ.);

სკურეჟიმიაშ ღალზ-ღელე და ხეობა პირველ ნამიკო-
ლაოში (მარტვილის რ.);

სკურდილაღალზ//სკურდილა-ღელე და ხეობა ფა-
ხულანში (წალენჯიხის რ.);

სკურდილაშ ფყურბილი-წყარო (წალენჯიხა);

სკური-მინერალური წყალი და კურორტი (წალენჯიხის
რ.);

სკურიშ ფყარი//აბანოშ წყარი-ღელე ლეჯიქეში (ქვედა
ჩხოროწყუს თემი, ჩხოროწყუს რ.);

სკურჩა (სკურეჩა „შავი სკური“)-ღელე აბედათის
თემში; //მაჟია სკურჩა//ბალენსკურჩა//ლაჩახვაშ
სკურჩა-მდინარე და ხეობა ნაკიფუ-ჯუმიტოში (ჩხოროწყუსა
და წალენჯიხის რ.);

სკურჩა „თეთრი სკური“ - მდინარე, რაც გაივლის ლეთ-
კანთს, ლეჯოლიხეს, ულურიას, ჯუმიტოს (წალენჯიხის რ.);

სკურჩა//სკურჩელა - მდინარე (ჩხოროწყუს რ.);

სქინასკური//სქინესკური - ღელე და ხეობა მაზან-
დარასა და წალენჯიხაში (წალენჯიხის რ.);

სკურს უმლა//სუს უმლა - სკურდილას ზემო წელი
ობუჯში (წალენჯიხის რ.);

შკისკური//შკუსკური - მდინარე; ციის მარცხენა შე-
ნაკადი ეკის თემში. „გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფი-
ულ ლექსიკონში“ შეცდომითაა მითითებული ეკისყურა (1987,
გვ. 39).

გ. ელიავა „ღეძამემეს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუს-
ხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს სკურ-
დი ჭამს (1989, გვ. 130).

სტემვასდაბალი

სტემვასდაბალი (ადგილობრივი არაოფიციალური ვა-
რიანტები: სტემვამდაბანი, სტემვაჟდაბანი) ლეხანდრა-
ვოს თემში შემავალი სოფელია და ცხენისწყლის მარცხ. მზა-
რეს მდებარეობს. დასავლეთით ნოდელის მარჯვენა შენაკადი

(რ)ლია ესაზღვრება. 1930 წელს გამოცემული საქართველოს სსრ პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით სტეფანავაშილი ლეხანდრავეს უბანია. მოგვიანებით სოფლის სტატუსი მიუნიციპალიტეტად გადაიქცა და ნოღაღას შუა მდებარე მინდორი სტეფანე დანელიას საკუთრებას წარმოადგენდა. მოედნის ცენტრში სტეფანე დანელიას საკუთრებას წარმოადგენდა. მოედნის ცენტრში სტეფანე დანელიას საკუთრებას წარმოადგენდა. მოედნის ცენტრში სტეფანე დანელიას საკუთრებას წარმოადგენდა.

მისი ინიციატივითა და სახსრებით აქვე აუშენებიათ დაწყებითი სკოლა. ღაბაძე დაბალი, დაცემული ადგილის, მდინარისპირა გაშლილი ჭაღის აღმნიშვნელია(მდრ.: მემნი ღაბაძე-მდ. აბაშის ვალმა მდებარე დაბალი ადგილი, საბალახო (სეფიეთი); ფლავიუს ღაბაძე-სახნავე ნოღაღას ნაპირზე, გოგიაშ ნოღაღასთან (ლეხანდრავე); დიკონონღაბაძე „დაბალი ჩაღმართი“-სახნავე დღევანდელ ნაპირზე (ველიდკარი); კაკუ(ლ)იას ღაბაძე-საკარმიდამო სოფლის აღმოსავლეთით, სადაც კაკულის უცხოვრია (ლეხანდრავე); მისაშ ღაბაძე // სანაიას ღაბაძე-საბალახო ნოღაღას მარჯვენა ნაპირზე, ნაჯახუს საზღვართან (ლეხანდრავე); სარდონიშ ღაბაძე-მინდორი სოფლის ჩრდილოეთით (ლეხანდრავე); ბეჟუკიას ღაბაძე-სახნავე-საბალახო ნოღაღას მარჯვენა მხარეს (ლეხანდრავე); მაღაძე ღაბაძე-საბალახო აბაშის მარცხენა ნაპირზე, ჭაღაში, მაღაიას დაბალ სერსა და მდინარეს შუა(ორქა, მარტვილის რ.); სიკოშ ღაბაძე-ჭაღა ნოღაღას ნაპირზე (მახათი,მარტვილი რ.); მრავ ღაბაძე-საჩაიე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რასაც ერა ამუშავებდა (სტეფანესდაბალი); მესხენე შალვაშ ღაბაძე-საჩაიე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. „მესხენე შალვას საკუთრება ყოფილა“ (სტეფანესდაბალი); ჩაბუშ ღაბაძე-საჩაიე სოფლის აღმოსავლეთით, რაც ჩაგუ სვანიდეს ეკუთვნოდა (სტეფანესდაბალი); მონი-მითიშ ღაბაძე- წყლიან-ჭენჭყობიანი მინდორი ეკაეში,რაც დიმიტრისა ყოფილა(ბანძა) და სხე.

ტალერი

სოფელი და თემის ცენტრი ტეხურის ხეობაში, ზ.დ. 310 მ. მარტვილს 25 კმ-ითაა დაშორებული. აერთიანებს სოფლებს – ეწერს, ნობულს, პატარა ოჩესა და საკუთრივ ტალერს.

მშვენიერი სტრიქონები უძღვნა მშობლიურ სოფელს პოეტმა ბონდო კეშელავამ, ლექსში „ის მწამს, მას ვეტრფი“:

მივეყვები ფიქრებს და თითქოს ვხედავ
ჩვენს ეკლესიას, შეფეთქილს კირით.
წინ მენატება ჩემი ტალერი,
ჩემი ტეხური და ლეფეთქირი.

(წიგნიდან – „ალიონიდან შებინდებამდე“)

მხარეთმცოდნე გელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ეს სოფელი უცხოელი ვაჭრების – ბერძნების, თათრებისა და ფრანგების ძირითად ბანაკს წარმოადგენდა, რომლებიც ქვიბიის მთისა და ტეხურის ხეობის მთისკალთებზე დამზადებულ ხის მორეკს საზღვარგარეთ გასაყიდად აგზავნიდნენ. მუშებს საზღაურად ფრანგულ ფულს – ტაპრს უხდიდნენ. მუშები იტყოდნენ – აბა, მივშატი ტაპრიშა „აბა, წავიდეთ ტალერის მისაღებად“ (იხ. ელიავა, 1977, გვ. 139).

ფულის ერთეული „ტალერი“ ხმარებაში იყო XIX–XX საუკუნეებში (გერმანია, ავსტრია, ეთიოპია, იემენის არაბთა რესპუბლიკა) (ამის შესახებ იხ. Зварич 1979, стр. 163–165).

მკვლევარ ომარ ხუხუას კომონიმ „ტალერში“ ტ ბგერა მეორეულ მოვლენად მიაჩნია და ვარაუდობს, რომ თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ალმერ–ი ან ალ–მერ–თი. მეტათეზის (ბგერათა გადასმის) შედეგად მივიღეთ ტალერი. ავტორი სოფლის სახელწოდებას უკავშირებს ხატოვან გამონათქვამს: ალობა მეჩე (შეიწყალა), სადაც ალ–სიტყვის ძირს და – მბა დეტერმინანტ სუფიქსს გამოყოფს. ო.ხუხუას მოსაზრებით ტალმერი (ალმერი//ალმერთი) იგივეა, რაც „შესაწყალელებელი, სამლოცველო ადგილი“ (ხუხუა, „კოლხეთის ცისკარი“, №118, 1965, გვ. 4).

დ. ფიფიას ალმბა „დალოცვის“ მნიშვნელობით ესმის, ხოლო „ალმბური – დალოცვილისა“ (ფიფია, 1999, გვ. 7) გ.ბოჯგუას განმარტებით დალოცვა მეგრულად ხვამბა, „შესაბამისად ალმბური – ხვამილი“ (იქვე, გვ. 66). გელიავას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით: „ალმბა(აღმბა) მიტყვება... თის ღორონქ ქუალუ „იმას ღმერთმა მიუტევა“

(ელიავა, 1997, გვ. 17). დალოცვის, მიტევების მნიშვნელობითაა ეს სიტყვა გამოყენებული შემდეგ წინადადებაში: ირფელი ჭუა გუმოჭყორდუ, მუჟამსეთი მაშიი სქანდე ალება „ყველა ტკივილი დამავიწყდება, როდესაც მექნება (მეშოვება) შენგან დალოცვა (მიტევება)“ (იხ. ბერიძე, 1920, გვ. 178). სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა აგრეთვე „თანხმობა, ყაბული“ (ბერიძე, იქვე); მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის სახელწოდების დაკავშირებას ალქმბას, ალქმპური, ალქმპის რომელიმე მნიშვნელობასთან ართულებს ოიკონიმ „ტალერში“ ტბგერის არსებობა, რაც ძირეული მოვლენაა და არა – მეორეული, როგორც ფიქრობს პატივცემული ო. ხუხუა.

მოგვიანებით იგივე ავტორი კვლავ დაუბრუნდა ოიკონიმ „ტალერის“ წარმომავლობის საკითხს, უარყო უწინდელი საკუთარი შეხედულება და ახალი თვალსაზრისი წამოაყენა. ო.ხუხუას თქმით, ტალ – ოიკონიმის ფუძეა, – მრ – მაწარმოებელი სუფიქსი, ხოლო ი – სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ამდენად, „ტალერი“ იგივეა, რაც ტალქმპური ადგილი – თავისუფალი, დახსნილი (მეგრ.), ანუ გადააზრებით – „გამინდვრება, გავაკება“. მკვლევარი ფიქრობს, რომ სახელწოდება ტალერი ზუსტად ასახავს სოფლის ადგილმდებარეობას (ხუხუა, „მახარია“, №4, 2005, გვ. 15).

საქმე ისაა, რომ ო.ქაჯაიას ლექსიკონის მიხედვით მეგრულში „დატოვებას, გაშვებას“ აღნიშნავს სიტყვა გოტალეა//გოტე(ე)ბა, ტალეა, ტეება, ტება (ქაჯაია, III, 2002, გვ. 14–15). თავისუფალ, გამინდვრებულ, გავაკებულ ადგილად გააზრების შემთხვევაში სოფლის სახელწოდების ფორმად გვექნებოდა ბოტალქმპური, ბოტემ(ე)ბპური ან ტალქმპური, ტემბპური (და არა: ტალქმპური). ოიკონიმის ხალხური მოტივაცია: თაქ ნოღვენა კეთებული ბინეხიშ ტალერი „აქ გაკეთებული ჰქონიათ ვა-ზის ტალავერი“. შღრ. ტალერი // ტალავერი ო. ქაჯაიას გან-მარტებით იგივეა, რაც „ტალავერი, ფანჩატური“ (ქაჯაია, III, 2002, გვ. 15).

მკვლევარ თ. მიბჩუანის მოსაზრებით, „ტალერი“ სვანური წარმოშობისაა. „ტალა“ სიტყვას სულხან-საბა ორბელიანი ასე

განმარტავს: „მოგზაურთ დარაჯი ღამით“ და იქვე მიუთითებს სიტყვა „დარაჯს“. მისი განმარტება კი ასეთია: „ესე დარაჯა განიყოფების ხუთად: გუშაგად, ებგურად, ტალად, ზუმილად და დეტად... ტალა არს მგზავრთა ღამით მოდარაჯე“ (სულხან-საბა, 1928, გვ. 89, 330). თ.მიბჩუანი სწორედ ამ „ტალა“ სიტყვას უკავშირებს მესტიის რაიონის სოფელ ლატალის (ლატალი) სახელწოდებას და იქვე დასძენს, რომ –ერ დაბოლოების მქონე „ტალერიც“ „აგრეთვე ნიშნავს სადარაჯო ადგილს, სათვალთვალო პუნქტს“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 252).

საისტორიო წყაროებითა და ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ კოლხეთის ბარი ქ.წ. XX – V საუკუნეებში სვანური ტომებით იყო დასახლებული. მთიან სამეგრელოში სვანურად მოლაპარაკე მოსახლეობის ბინადრობის მაუწყებელი, სხვა ენობრივ ფაქტორებთან ერთად, ისიცაა, რომ ამ მხარის მეგრულ ტოპონიმიკაში საკმაოდ პროლუქტიულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარი – ლა–ა და ლე–ე კონფიქსები (იხ. ქალდანი, იკე, ტ. XXII, 1980, გვ. 83).

მარტვილის რაიონის მთისა და მთისწინა ზოლში დასტურდება რამდენიმე სვანური ტოპონიმი. მათ შორის უნდა იქნას განხილული სოფლის სახელწოდება „ტალერიც“. თ.მიბჩუანის ვარაუდით, სვანური წარმოშობისაა ტალერში ჩაწერილი ტოპონიმი ლასია – ტყე ვედიდის მთაზე (მიბჩუანი, 1989, გვ. 250).

ამ სოფელში გადიოდა გზა, რაც ტეხურის ხეობის შუა წელზე მდებარე სოფლებს – სალხინოს, ჟინოთას, თამაკონს, ოჩეს, ეწერს, დობერაზენი – დგომი – ლებარდის გავლით, ქვემო სვანეთთან აკავშირებდა. ეს გზა ტოპონიმიაში „ჯვეში შარას“ (ძველი გზის) სახელითაა ცნობილი. სავარაუდოდ, სწორედ ამ გზის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე, ტალერის მთიან მხარეში იყო მოწყობილი საგუშაგო, საყარაულო კოშკი, ან ჯიხური, რაც კონტროლს აწესებდა ახლომდებარე ტერიტორიაზე (იხ. კეკელია, „ჭყონდიდის ზარი“, №2(9), 2003, გვ. 2). აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ თვალსაზრისს გარკვეული დაბრკოლებაც ახლავს; კერძოდ, ის, რომ ტალერი ძველ საისტორიო წყაროებში არ გვხვდება.

ქვაითი

სოფელი მდებარეობს მდ. ნოღელის ზემოთში, ტაბაკონას მთის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 220 მ. სიმაღლეზე. მარტვილს სამი კილომეტრითაა დაშორებული. უწინ ქვაითი ერქვა ხორი-ათის მიდამოებს, სადაც დღეს რუხაიების უბანი ერუხაია. დანარჩენი ნაწილი ზემო ხუნწის შემადგენლობაში იყო (ეძარიე, ეხუნწიე...). „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკაში“ დაფიქსირებულია ოიკონიმი ქვეითი (ქვეითი, რაც ავტორის თქმით ქვეითთა გზას ნიშნავს (იხ. ელიავა, 1977, გვ. 107). იგივე აზრს ატარებს გ.ელიავა უფრო ადრე გამოცემულ ნაშრომში, რომლის მიხედვით ქუთაისიდან მომავალი უძველესი გზა „არგუეთ-კლისორისა“ გაივლიდა ხონს, ბუმბუას ხიდს, სუხჩეს, ხუნწისა და ქვეითის სერებს, ჭყონდიდს, ბობოთსერგიეთსა და ნოქალაქევს... „ქვეითიც ხომ უძველესი გზა და ადგილია - წერს გ.ელიავა, - აქ მრავალ ადგილას, ერთიმეორის მიყოლებით, უძველესი კულტურის შესანიშნავი კერებია. აქვე დგას მრავალასწლიანი ცაცხვის ხე, რომელსაც ხალხი „თურქთა სანიშნოს“ უწოდებს. გადმოცემები გვარწმუნებს, რომ ამ გზაზე მრავალი ასეთი ცაცხვის ხე იდგა ერთიმეორის პირდაპირ და ლაშქრისათვის თუ მოგზაურისათვის საიმედო სა-ნიშნოს წარმოადგენდა. თუ ამ გადმოცემებს ოდნავ მაინც დაე-ჯერება, იგი ერთგვარი ცოცხალი სტელის მაგივრობას სწევდა უძველეს დროში. გადმოცემები იმასაც მოგვითხრობენ, რომ გზის გასწვრივ ოდესღაც ქვის სტელებიც მდგარა“ (1962, გვ. 7). გ.ელიავა მიიჩნევდა, რომ ეს იყო ქვეითად მოსიარულეთა გზა. სხვა გადმოცემით სოფლის თავდაპირველი სახელწოდება ქვა-ითი ყოფილა, რაც „ქვიან ადგილს, ქვანარს“ ნიშნავს.

ოიკონიმ ქვაითის ამოსავალი ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. ენათმეცნიერი პ.ცხადაია ჩამოთვლის მსგავსად ნაწარმოებ ტოპონიმებს: გერია-თი - გერია, გური(ი)შია-თი - გურიშია, გურა-თი - გურა, ხუფა-თი - ხუფა, კოკა-თი - კოკა, ბობო-თი - ბობო, ტურა-თი - ტურა, ფუხუ-თი - ფუხუ, დულა-თი - დულუ, ჩამა-თი - ჩამა, გოჯი-თი - გოჯი, ხახულია-თი - ხახულია, ძაღელიათი - ძაღ(ე)ლია, გაგა-თი - გაგა, ოსია-თი - ოსია და ა.შ. (1985, გვ. 87). მსგავსი წარმო-

მაკლობის ტოპონიმად მიიჩნევა ქვაითსაც (ქვაი-თი - ქვაი).

ქავა, ქათუ, ქაი, ქაია, ქვათა, ქვათია, ქვათიე, ქვათილია, ქვეთე, ქვეთელია, ქვითა, ქვითი, ქუი, ქუია, ქუითა მეგრული ანთროპონიმებია (იხ. ჭანტურია, 2006, გვ. 68-71). ქვაი(ა)ც პირსახელი უნდა ყოფილიყო. ძვანიტი უნდა განიმარტოს, როგორც „ქვაის, ქვაიას საკუთრება, ქვაი(ა)სეული“. შესაძლებელია ოიკონიმი უკავშირდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ანთროპონიმს. თი კომპოზიციის დამოუკიდებელ წევრად მიაჩნდა გელიავას და განმარტავდა, როგორც ოჯახს, მეგრულ „მახრობას“. ი.ყიფშიძის განმარტებით თი იგივეა, რაც „სახლი, ოჯახი, გვარი, მეთაური“ (იხ. ყიფშიძე, 1994, გვ. 842). გვარის ცნების შემცველ ამ სიტყვას აკად. სიმონ ჯანაშიამ დაუკავშირა გეოგრაფიულ სახელებში დადასტურებული სუფიქსები - ათი, - ეთი, - ითი, - ოთი, - უთი (იხ. ჯანაშია, III, 1959, გვ. 152).

ამდენად, პირსახელ ქვაის ნათესაობითი ბრუნვის (მეგრ. „ქვაიშ“) ფორმაზე - თი დაბოლოების დართვით მივიღეთ ძვანიშტი - ქვაი-თი - ქვაითი¹.

წ ა ჩ ხ უ რ ი

სოფელი სალხინოს თემში, ზ.დ. 300 მ. ცნობილია საინტერესო ისტორიული ძეგლით-მთავარანგელოზთა ეკლესიით. მოხსენიებულია XVII ს. დათარიღებულ რატიანთა სიგელში, რაც გამოაქვეყნა აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა (გაზ. „ივერია“, 1891; თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 75-77). მანვე შემოგვინახა წაჩხურუს ეკლესიის ხატის აღწერილობაც (თაყაიშვილი, 1913-1914, გვ. 77). 1831 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით წაჩხური ჯვარის მაზრაში შედიხ (იხ. მეუნარგია, 1939, გვ. 112). 1804 წლის სიგელით მთავარ გრიგოლ დადიანს ერთგული ნამსახურობის გამო აზნაურ გეგელიებისთვის საკუთრებაში დაუმტკიცებია წაჩხურის საზღვარზე მდებარე ქვიბიის მთის ტყეები (იხ. ჯღარკავა, 1970, გვ. 285). წაჩხურის

¹ შდრ. ქვეიშ ტომბა - მორევი მდ. ოხოჯეზე, ბედიის თემში. ქვეი აქ პირსახელია.

ეკლესიის გალავანში დაუდიათ მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლის ფიცი წისქვილის ბაჟისაგან განთავისუფლებაზე უარის თქმით განაწყენებულ გლეხებს (1856 წ.), რამაც შემდეგ ფართო ხასიათი მიიღო და შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა (მაკალათია, 1941). 1872 წლის „აღწერის“ მასალებიდან ირკვევა, რომ წაჩხურუ სალიპარტიანოში შემავალი სოფელი იყო (ზსიემ, მთავრის ფონდი, №3365/276; ჯღარკავა, 1970, გვ. 241). 1904 წლის „აღწერის მიხედვით წაჩხურაში მამულებს ფლობდნენ აზნაური რატიები (რატიანები). წაჩხურაში, ყოველწლიურად, აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს აღინიშნება დღესასწაული „წაჩხურობა“, სადაც სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებიდან დიდძალი ხალხი იყრის თავს. ეს აღგილი მოსკპს, მოსკპს – ნაყოფიერებისა და ოჯახის მფარველი წარმართული ღვთაების სალოცავი ყოფილა(იხ.კეკელია, „ჭყონდიდის ზარი“, №3, 2003., „მარტვილის მოამბე“, №3, 2005., მისივე, №12, 2010, გვ. 78). ქრისტიანული ტაძრის აგებამდე აქ ბომონი- წარმართთა სალოცავი მდგარა, სადაც წარმართული ხემა „ლოცვა“ აღევლინებოდა. მოსკპ, მოსკპ იგივე მეძვევა, შვილის მომცეში, ძეობის გამგრძელებელ-მწყალობელი. ქალი, ვისაც შვილი არ ჰყავს, ან ქალიშვილი შეეძინა და ვაჟი არ უჩნდება, ფეხშიშველა ადის „მოსკე წაჩხურაში“ და თან მიაქვს მინიატურული აკვანი(კეკელია, „მარტვილის მოამბე“, №3, 2005). გადმოცემით, წაჩხურუს სწირავდნენ ვერცხლით ნაჭედ აკვნებს და შვილის გაჩენას შესთხოვდნენ (ჭანტურია, 1982, გვ. 212). ხატს სწირავდნენ აგრეთვე ცხვარს, მამალს, ფულს და წმინდა სანთლებს.

სოფლის სახელწოდების ხალხური ეტიმოლოგია: 1. ცაშხური – ცააშ შხური „ცაავას ცხვარი“ (ცაავა გვარია); 2. ცაშხური „ზეციური ცხვარი, მსხვერპლად შესაწირი“.

ო. ხუხუას მოსაზრებით, მდ. წაჩხურას თვისება – ცივწყლიანობა და მასში განბანვა ასოცირდებოდა შვილიანობასთან, მოდგმის გაგრძელებასთან. „წაჩხურას წყალში განბანილს – მამაცსა და ჯანმრთელს, შვილიც მამაცი და ჯანმრთელი ეყოლებოდა... სიჯანსაღისა და სიკეთის მომნიჭებელი წაჩხურა თანდათან სალოცავად იქცა, ფალოსის ღვთაებრივ ატრიბუტად“ (ხუხუა, 1981, გვ. 85).

მოგვიანებით ო. ხუხუამ სოფლის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა და აღნიშნა, რომ ჰიდრონიმ **წაჩხ შრას** თავდაპირველი ფორმა **ჭაჩხირი** უნდა ყოფილიყო, რაც კომპოზიტია და ნიშნავს „რღვეულ, მოხეთქილ, დაუდგრომელ წყალს“, ე.ი. **ჭა-(ჩ)ხირი** (**ჭა // ჭყარ-// წყარ-„წყალი“**; **ხი(ი)რი** „რღვეული“; ჩ ბერას მეორეულად მიიჩნევს)(იხ. ხუხუა, „მახარია“, №4, 2005, გვ. 15).

ოიკონიმი „წაჩხურუ“ ორი საზოგადო სიტყვის-**წყარო**-სა და ჩხურუ-ს შეერთებითაა მიღებული და ნიშნავს „ცივწყალას“ (კეკელია, №12, 2010, გვ.78). სახელწოდებაში მსაზღვრელ – საზღვრულის (სიტყვათშეერთების) პრეპოზიციური წყობა მიუთითებს ოიკონიმის არქაულობაზე (წაჩხურუს შესახებ იხ.: კეკელია, №3, 2005, გვ.2; კეკელია, №3, 2003, გვ. 2). ო. ხუხუა მიიჩნევს, რომ წაჩხურა//წაჩხურუ უნდა ითარგმნოს როგორც „წყალი-სიცივე“ (და არა „ცივი წყალი“), ვინაიდან „ცივი წყალი“ ზედმიწევნით ვერ გამოხატავს მდინარის თვისებებსო (ხუხუა, 1980).

გოგილო და დემურ ბასილაიები არ იზიარებენ მდინარის სახელწოდება **წაჩხ შრუს** „ცივწყალად“ განმარტებას. მათი არგუმენტი ასეთია: „წყალცივის“ შესატყვისი მეგრულში „წყარ-რგია“ და არა „წყარ-ჩხურუ“. ავტორთა მიერ ჩაწერილი გადმოცემა მდინარის სახელწოდებას უკავშირებს მეგრულ „რჩხვი-ას“, რაც წივილ-კივილს აღნიშნავს, და დაასკენიან, რომ წაჩხურას უწინდელი სახელი უნდა ყოფილიყო **წაჩხპია**, **წყარ-რჩხპია**. ავტორები ფიქრობენ, რომ სახელწოდება მდინარის დინებას, ხშიანობას გამოხატავს, ე. ი. **წყარ-რჩხპია** „წივილ-კივილით, ხმაურით მომდინარე“ (ბასილაია..., 2008, გვ. 22) გ. და დ. ბასილაიები აღნიშნავენ, რომ ოიკონიმ **წაჩხ შრუს** საერთო არა აქვს ცივწყლიანობასთან, ვინაიდან, მათი დაკვირვებით, ოიკონიმის ერთ-ერთი კომპონენტი, მეგრული „ჩხურუ“ ამინდის მდგომარეობის-სიცივის გამომხატველი სიტყვაა და სხვა გადატანითი მნიშვნელობა მას არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ „წაჩხურუ“ უნდა წარმოქმნილიყო **სანწალქ ჩხ შრუ**-დან, რაც „მწარე (საშინელ) სი-

ცივეს; ყინვას, სუსხს“ ნიშნავს. სვანეთიდან გამოქცეული და წაჩხურეს ეკლესიის ფერდობზე დასახლებული გულედანის გვარისკაცი **სანწყალე ჩხ შრუს** (მკაცრ სიცივეს) ძლიერ შეუწუხებია და იძულებული გამხდარა, რომ ლეგულორდავეში დასახლებულიყო, — ასეთია ოიკონიმი და ჰიდრონიმის ავტორებისეული განმარტება. ოიკონიმი **წაჩხ შრუს** კომპოზიტი, სადაც **წა** იგივეა რაც **წ(ყ)ა(რი)** „წყალი“ (შდრ.: ტოპონიმები: **წაპ შრთხია**-მორევი ნოღელაზე, ნაგებერუში; **წაპ შრთხიაშ წყარი**-წყარო აგუბედიაში, ბედიის მონასტერთან; **წახარება**-ღელე გულუხეთში; **წამელო // წყამელონი** — ღელე და ტყე მაგანაში; **სინწა**-მდინარე; **წარჩი** „თეთრი წყალი“ — სოფელი სამურზაყანოში; **წარჩი წყარი**-მდგალის რაიონში, ოხოჯის მარცხენა შენაკადი და ა.შ.). რაც შეეხება მეორე კომპონენტს-ჩხ შრუს „სიცივე“, ეს სიტყვა იკვეთება ოიკონიმ „ინჩხურის“ მაგალითზეც; რა თქმა უნდა, თუკი დაკუშვებთ ამ უკანასკნელის „ყინულივით ცივი მდინარის“ გააზრების შესაძლებლობას (ეკელია, №12, 2010, გვ. 79).

შენიშვნა: შ.გოგატიშვილი მიიჩნევდა, რომ ტეხურის შენაკადის სახელწოდება **ჭინჩ შრა** იგივე „ცივი ჭაა“ (გოგატიშვილი, 1989, გვ.78).

წინაპვირკვი

სოფელი ნახუნუს თემში, ზ.დ. 120მ., სადაც დგას წმ. კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია (XIX ს.). ი.ყიფშიძე აღნიშნავს: „წიმინდე, წიმდა, წინა, წმინდა-ЧИСТЫЙ, СВЯТОИ, СПРАВЕДЛИВЫЙ, ПРАВЫЙ“ ...პ. ცხადაიას დაკვირვებით „ქრისტოლოგიური ეპითეტი წმინდა მეგრულში შესულია რამდენიმე ფორმით: წმინდა, წიმდა, წილა, წინა.“

ამდენად, **წინაპვირკვი** წარმოადგენს ჰაგიოკომონიმს აპელატივის გარეშე და ნიშნავს „წმინდა კვირიკეს“. ეზარქუეში სასაფლაოსა და ეკლესიას ეწოდება **წინაპვირკვი ივლიტა // წინაპვირკვიშ ოხვამე** „წმინდა კვირიკე-ივლიტა; წმინდა კვირიკეს ეკლესია“. პარალელურ ფორმად ჩავიწერეთ **წიმდაპვირკვი ივლიტა // წინაპვირკვიშ ოხვამე**. გადმოცემით, აღდგომის მესამე დღეს აქ სცოდნიათ **ქიჰვა-**

რობა. წინაკვერკვეს ეკლესია უწინ ნაოხვამფერდის ზემოთ, მიქეიაშ გაზე მდგარა, რაც შემდეგ ეზარქუეში გადაუტანიათ; ნასაყდრალ ადგილს კი წინაპკპერკპმშ ნაოხვამშ//ნა-ოხვამშ დარქმევია (იხ.კეკელია, „ტბელობა“, 2010) შდრ.: **წმინდა კპირ(ი)კ(ვ)ე // წმინდა კპირკ(ვ)ეშ ნახუ-ტურუ-სასაფლაო და ეკლესია ხობისწყლის მარჯვენა მხარეს, პირველ გურიფულში(ხობის რ.); კპირკპმ-ფერდობი ხეთის თემის სოფელ ლარჩვაში (ხობის რ.).**

ჭ ა ბ უ რ თ ა

სოფელი ისკიის ხეობაში, ზ.დ. 240 მ-ის სიმაღლეზე. გადმოცემით, ჭაბურთა „საბურთაო ჭალას, თავყრილობისა და ჯარიანობის ადგილს“ ნიშნავს. ისკიის ნაპირზე, გაშლილ ველზე სოფლის მოსახლეობა იყრიდა თავს და მართავდა სერობას (იხ. ელიავა, 1977, გვ. 120). სხვა განმარტებით: ჭაშე ბურთის გააკეთენდეს ღო ისკიაპის ციაფენდეს „ჩალისგან გააკეთებდნენ ბურთს და ისკიისპირას თამაშობდნენ“.

ჩვენი დაკვირვებით **ჭ ა ბ უ რ თ ა** ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი უნდა იყოს,სადაც **ჭ ა ბ უ**, **ჭ ა ბ უ რ ი** იგივეა, რაც „მწე-ბარე; მიწა, რაც წებოსავით იწებება, იაგოზია,“ ხოლო **თ ა** მეგრულში ქართულიდან შესული „მთა“ უნდა იყოს (შდრ.: თარ-ზენი „ვაკე-მთა“ ხობისწყალ-ჭანისწყლის წყალგამყოფი მთა; თა-ტიბუ-ტყიანი ფერდობი სუხუმლის ხეობაში (ჩქვალერი); თაკა-ღარი და სხვ.). შდრ.: **ჭ ა ბ ო უ რ ი-ტოპონიმს დაზუსტებული** ლოკალიზაციის გარეშე ორგან მიუთითებს გ. ელიავა, „გეგეჭკორის სადაბო საბჭოსა“ და „ინჩხურის სასოფლო საბჭოში“ (1977, გვ. 107, 117). პირველ შემთხვევაში მოცემულია ხალხური განმარტება: „ამ ჯიშის ვაზი ყოფილა მალღარზე“ (იქვე).

ხ უ ნ წ ი

სოფელი სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე, ნოდელისა და ცხენისწყლის ხეობებში მდებარეობს. ხუნწი სოფლის ერთი კუთხის სახელწოდება ყოფილა, გვიან კი მთელ სოფელზე გავრცელებულა. სოფელი სამ ნაწილად არის გაყოფილი-**წმ-**

მომხსენებელი, ქვემო ხუნწი და ლეციცხვიანი. ზემო ხუნწი ტაბაკონას მთის სამხრეთი კალთების გორაკ-ბორცვიან დაბოლოებაზე, ზ.დ. 200 მ სიმაღლეზეა და მარტივილიდან 8 კმ-ითაა დაშორებული. ქვემო ხუნწი თემის ცენტრია და ცხენისწყლისპირა, გაშლილ ველზე მდებარეობს, ზ. დ. 160 მ, რაც ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით, თანდათან, გორაკ-ბორცვიან ზონაში გადადის. მისი გაგრძელებაა ლეციცხვიანი.

ხუნწის ერთი ნაწილი სალიპარტიანოს შემადგენლობაში იყო, რაც ირკვევა დოკუმენტიდან-„, ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა“. „მართებს ხუნწს ლიპარტიანის შემოწირულს კაცებს ჯაველსა და მამფორიას ოროლი საკლავი, ოროლი ქათამი, თვითო ჭური ღვინო, შინეთ ჩაჯდომა და მასიმძლობა და სამსახური“ (კაკაბაძე, 1913, გვ. 15).

ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა ხუნწის „ნაჯი-ხოუ“-ციხე-სიმაგრის ნანგრევები ქუქითის სერზე (იხ.კეკელია, „მარტივილი“, №5, 2005, გვ. 3). XVIII ს. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი წერს: „ხუნწი, პატარა ციხე“(1962, გვ. 323). ი. მუნარგია დავით დადიანის დროის მარტივილის მაზრის სოფლებს შორის მიუთითებს ხუნწს (1939, გვ. 113). ქვემო ხუნწში, ქუქითის სერზე შემორჩენილია წმ. თეოდორე ტირონის ეკლესიის ნანგრევები(XIXს.), ხოლო ზემო ხუნწში-ღვთისმშობლის შობის ეკლესია(XIXს.)(იხ.კეკელია, „ეგრისი“, №2,2006,გვ.42-43).

რამდენიმე წლის წინ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ოიკონიმ „ხუნწის“ ამოსავალი უნდა ყოფილიყო ხუნწ- // ხუაწ-ნახვწ, რაც სევანურში „ვიწროს“ ნიშნავს, და ეს სახელი თავდაპირველად უნდა დარქმეოდა ცხენისწყლის ხეობას, რაც სოფლის დასაწყისში ვიწროდ მოედინება, ორ მთას- უნაგირასა და ობო-დირს შორის, ხოლო ხუნწი-მათხოჯის დამაკავშირებელ ხიდთან ივაკებს და ფართო ხეობას ქმნის. არც იმ ვარაუდს გამოვრიცხავდით, რომ სოფლის ჩრდილოეთი, გორაკ-ბორცვიანი და მთიანი ნაწილი ყოფილიყო „ხუნწად“ სახელდებული, სადაც ვიწრო გზა-გადასასვლელია ანუ უღელტეხილები რამდენიმე ადგილას გვხვდება (კეკელია, „მახარია“, №8, 2001, გვ. 17). სამეგრელოში იმავე მნიშვნელობი-

საა ორონიძე (რელიეფის თავისებურების ამსახველი) ტოპონიმები: ცაიში, ოცა(ლ)ეში, გოშირილი, გეშახორხილი და გოზორხილი(იხ. ცხადია, I, 1999, გვ. 109; კეკელია, 2008, გვ. 64-65; მისივე, 2009, გვ. 123).

შესაძლებელია ოიკონიმი „ხუნწი“ მცენარის სახელწოდებას უკავშირდებოდეს. სულხან-საბა აღნიშნავს: „ხუნწი ერთი ხილია“ (1928,460): ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ხუნწი ანუ ხუნწი განმარტებულია, როგორც აღმოსავლური მოცხარი და მთის მოცხარი. ამ უკანასკნელის განმარტებისას ლექსიკოგრაფი აღნიშნავს: „მთის მოცხარი Смородина альпийская“. ხეშიც მთის მოცხარს ხუნწს ეძახიან. ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით ხუნწი იგივეა, რაც „მოცხარი, აღმოსავლური მოცხარი და კლდის მოცხარი“ (ქაჯაია, IV, 2009, გვ. 596). შდრ.: სახუნწი-საძოვარი ართხმოს მარცხენა სანაპიროზე (ართხმო); ბებია-ბაბა სახუნწი – ნასახლარი და სათიბ-საძოვარი სნოს ხეობაში, სოფ. კარკუჩაში(იხ. ითონიშვილი, 1971, გვ.41,42). 1904 წლის აღწერის მასალებიდან ირკვევა, რომ ხუნწში უცხოვრია ერთ კომლ აზნაურს, გვარად კიკაბიძეს.

ჯოლევი

ჯოლევი („საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით ჯოლევი) პატარა სოფელია აბაშისა და ტარჩენის ხეობებში, ზ. დ. 100 მ. (აბელათის თემი). მარტვილს 8 კმ-ითაა დაშორებული. პირველი წერილობითი წყარო, სადაც სოფელი იხსენიება, თარიღდება XVII ს-ით. ესაა რუსი ელჩების-ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარინის 1639-1640 წლების აღწერილობები. 1871 წლის „სამაიორატო მამულის აღწერის“ მასალებიდან ირკვევა, რომ ჯოლევიში, აბელათსა და ლეხანდრაკოში მამულებს ფლობდნენ დადიანები (ჯღარაკავა, 1970, გვ. 229). 1904 წლის აღწერის მიხედვით აქ მამულები აქვთ აგრეთვე თავად მხეიძეებს. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ჯოლევი სუჯუნის მაზრაში შედიოდა(მეუნარგია, 1939, გვ. 113).

გ. ელიაევას მართებული განმარტებით, „მარხილზე ჩასაბმელი ღვლეჭით ან ჯაჭვით, ე. ი. ჯოჯოთი მთიდან ხეები ჩამოჰქონდათ, ამიტომ შეერქვა სოფელს ეს სახელი“ (ელიავა, 1977, გვ. 94).

ჯმომ, ჯოლა, ჯოლო იგივეა, რაც „სათარი, სათრი-ელი, სათრეველა; ხის სათრევი რკინის ჯაჭვი, რასაც უღელზე გამოაბამენ; ღვედი, საურმე ჭაპანი(თოკი, საბელი)“. მეგრული ანდაზაა: ჯოლას ვაჩირჩილუნ, თინა ნინაჰ მოლა-ჩირჩილუნა „მსხვილმა ჯაჭვმა რისი გათრევაც ვერ შეძლო, ენამ წამოათრიაო“. ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ნაჯოლა განმარტებულია როგორც „მძიმე მორი“ (ქაჯაია, IV, 2009, გვ. 412). შღრ.: თურქიშ ნანჯოლ-არხი მღ. ბუცის ხეობაში (ცვანე, ერგეტის თემი, ზუგდიდის რ.); ნანჯოლუნა-რა-გზა უჩაღალის მარჯვენა მხარეს, გრამატას საზღვარზე(რი-ყე, ზუგდიდის რ.); ნანჯოლ(ე)-მინდორი ჯუმის მარჯვენა ნაპირზე(ცაიში, ზუგდიდის რ.). პ. ცხადაიას თქმით, უწინ აქ ტყე ყოფილა, რასაც ჭრიდნენ მორებად და მღ. ჯუმის თვითღინებით მიჰქონდათ ზღვისპირეთში დასახერხად(ცხადაია, II, 2007, გვ. 333); რამინიშ ნაჯოლ-გზა სამირცხულა-სანარსქუოს შორის(გამოღმა პირველი ხორგა, ხობის რ.) (ცხადაია, III, 2007, გვ. 145); საჯოლო სუპი „სათრიელას სერი“- სერი ოცინ-დალეს დასავლეთით, საიდანაც ხარებზე გამობმული ღვლეჭით ხე-ტყის გამოტანა ხდებოდა(ცხადაია, IV, 2008, გვ. 352). ჭი-ჭი ჯოლო (პატარა ჯოლეპის ადგ. არაოფიციალური სახელი)-სოფელი სენაკის რაიონის ლეძაძამის თემში; ნაჯოლე-ფერდობი ცაიშის დასავლეთით (თამაკონი); საჯოლია-მთა კურცხანის უბანში(აბასთუმანი, ადიგენის რ.) (იხ. სიხარულიძე, სიგკ, II, 1964, გვ. 138) და ა. შ. გ. ელიავა „გურძემის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს აგრეთვე ტოპონიმს „ჯორომის“ ფორმით და განმარტავს, რომ ასე ეწოდება მთიდან ხის ჩამოსათრევე ადგილს, ე. ი. შუროს (ელიავა, 1977, გვ. 157).

შემოკლებანი

- ადგ. — ადგილობრივი
გაზ. — გაზეთი
გვ. — გვერდი
თბ. — თბილისი
ზსიემ — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმი
იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
ინფ. — ინფორმანტი
იხ. — იხილე
ვარ. — ვარიანტი
ზ. დ. — ზღვის დონიდან
კმ — კილომეტრი
კრ. — კრებული
მ — მეტრი
მარტვ. — მარტვილი
მარცხ. — მარცხენა
მარჯვ. — მარჯვენა
მდ. — მდინარე
მთხრ. — მთხრობელი
მისთ. — მისთანანი
რ. — რაიონი
ს. — საუკუნე
სს. — საუკუნეები
სოფ. — სოფელი
ტ. — ტომი
ქიმ. — ქუთაისის ისტორიული მუზეუმი
ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ქუთ. — ქუთაისი
შდრ. — შეადარეთ
ძვ. წ. — ძველი წელთაღრიცხვით
წ. — წელი
წწ. — წლები

ლიტერატურა

აიხვალდი, 2005 – ელვარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.

აფრიდონიძე, მაკალათია, II, 1980 - შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმიები, კრ. „ტოპონიმიკა“, II, თბ., 1980.

აფრიდონიძე 1987– შ. აფრიდონიძე, ზანური ანთროპონიმიის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჯაკობია, ჟორდანას ტიპის გვარების შესახებ), ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ბელოშვილი, I, 2001– გ. ბელოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით–ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I. თბ. 2001.

ბელოშვილი, „მახარია“, №1-2, 2003–გ. ბელოშვილი, ქართული გვარ-სახელებისა და ტოპონიმების ლექსიკონი (მასალები), გაზ. „მახარია“, №1-2 (40–41), 2003.

ბერაძე, სიგკ, II, 1964 – თ. ბერაძე, ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.

ბერაძე, XXI, 1970 – თ. ბერაძე, XVII ს–ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, კრ. XXI, თბ., 1970.

ბერაძე, სიგკ, IV, 1971–თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971.

ბერაძე..., ქსე, VI, 1983–თ. ბერაძე, ლ. მენაბდე, შ. საღარაძე, მარტვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI. თბ., 1983.

ბერაძე, მანისაია, 2004–თ. ბერაძე, ი. მაისაია, სამეგრელო (მეგზური), თბ., 2004.

ბასილაია..., 2007 – გ. ბასილაია, დ. ბასილაია, ჩვენი სალხინო, თბ., 2007.

ბერიძე, კალანდია, 2004–მ. ბერიძე, ე. კალანდია, კურზე და კურზეულები, ქუთ., 2004.

ბერულავა, „მახარია“, №9-10, 2004–თ. ბერულავა, სოფელ „კურზე“–ს ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „მახარია“, №9-10, 2004.

ბერძენიშვილი, VIII, 1975 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., VIII, 1975.

ბოროზდინი, 1934-კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი (1854-1861), მოგონებანი. თბ., 1934.

ბურჭულაძე, „ქ. ო.“, II, 2004-რ. ბურჭულაძე, ძველი ეგვიპტური ტოპონიმების კვალი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004.

ბეგეშიძე, I, 1987- მ. ბეგეშიძე, პილარონიშვილი წარმოშობის ქართული ტოპონიმები, კრ. „ონომასტიკა“, I, თბ., 1987.

ბვანცელაძე, „ქ. მ.“, XI, 2007-გ. ბვანცელაძე, ქართულ ტოპონიმთა ერთი ტიპის ისტორიისათვის, კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XI, ქუთ., 2007.

ბვარ-სახელაძე... -ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში. თბ., 1997.

ბიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თარგმანი და გამოკვლევა გ. გელაშვილისა, თბ., 1962.

ბობეჩია, 1955 - ბ. ბობეჩია, კურორტი ლეზარდე, თბ., 1955.

ბობატიშვილი, 1989-შ. ბობატიშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1989.

ბრიბოლია, სიგკ, II, 1964-გ. ბრიბოლია, ძველი სამეგრელოს ერთი ტოპონიმკური სახელის განმარტებისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.

დადიანი, 1962 - ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.

დადიანი, ქადაგება, „ქ. მ.“ IX, 2005 - ე. დადიანი, მ. ქაცარავა, ბაძგ-ბუძგ- და ბარდ-ბურდ- ფუძეთა მიმართებისათვის ქართველურ ქვესისტემებში, კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, IX, ქუთ., 2005.

დემკანოზი, 2002 - დემკანოზი გოჩა(ცაავა), საელიაოს დედათა მონასტერი, თბ., 2002.

ელიავა, 1962 -გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962.

ელიავა, VII, 1966 -გ. ელიავა, ეთნოგრაფიის ერთ-ერთი საიმედო და ხელმისაწვდომი წყარო, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის VII სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1966.

მლიაპა, 1969 - გ. ელიავა, ჭყონდიდ-მარტვილი უბეღესი ქართული საგანმანათლებლო კერა(მეგზური),თბ., 1969.

მლიაპა, 1971 - გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი (მეგზური), თბ., 1971.

მლიაპა, 1973, ელიავა გ., სამეგრელოს ტოპონიმიკური მასალა დიდი ოჯახის სტრუქტურის შესახებ, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, №3, 1973.

მლიაპა, 1977 - გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977.

მლიაპა, 1978 - გ. ელიავა, მხარეთმცოდნის თვალთ, თბ., 1978.

მლიაპა, 1989 - გ. ელიავა, 1989 - სენაკის რაიონის ტოპონიმიკა, თბ., 1989.

მლიაპა, 1989 - ელიავა, 1989, გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო (ალბომი), ქუთ.,1989.

მლიაპა I, 1989 - გ. ელიავა, სამეგრელო ჩემს თვალსაწიერში, I. თბ., 1996.

მლიაპა, 1997-გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვი. - თბ., 1997.

მღრობა... - Сергей Белокуров, Материалы для русской истории. Посольство дьяка Федота Елчина и священника Равла Захарьена в Дадыянскую землю(1639_1640), Москва, 1888.

მას უშტი, IV, 1973-ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973.

ზაქარანია, ლომომური... , 1984-პ.ზაქარაია, ნ.ლომოური, ვ.ლექვიანაძე, გ. გვინჩიძე, ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984.

ზაქარანია, კაპანაძემ, 1991-პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება.თბ., 1991.

ზაქარანია, III, 1993 - პ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993.

თაყაიშვილი, №229, 1891-ე. თაყაიშვილი, გუჯარი რატიანთა, გაზ. „ივერია“, №229, 1891.

თაყაიშვილი III -ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, „ძველი საქართველო“ (საქართველოს სა-

ისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული), ტ. III ტფ., 1913-1914.

თაყაიშვილი, 1993 - ე. თაყაიშვილი, მარტვილის მონასტერი (რედაქტორ-გამომცემელი ბ. კუდავა), თბ., 2003.

თეოფანე, „აია“, №1, 1997-თეოფანე არქიმანდრიტი, უწყება სამეგრელოს სამთავროს ჯვარის მაზრასა შ(ინ)ა ეკლესიებთან და სამღვდლო საეკლესიო მსახურთან და სამრევლოებთან, შედგენილი 1852-სა წელსა, ჟურნ. „აია“, №1, 1997.

თოფურიბა, მსე, XII-XIII, 1963-6. თოფურია, ღვინის ზედაშეები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, კრ. XII-XIII, თბ., 1963.

თოფჩიშვილი, 1993-რ. თოფჩიშვილი, ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993.

თოფჩიშვილი, I, 2003-რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. I. მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბ., 2003.

ითონიშვილი, 1971 - ვ. ითონიშვილი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971.

კაკაბაძე, 1913 - ს. კაკაბაძე, ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, ტფ., 1913.

კაკაბაძე, I, II, 1921-ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I-II, ტფ., 1921.

„კატალოგი“, 1983 - გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმის კატალოგი, თბ., 1983.

კეკელია, „მარტვილი“, 2000-ი. კეკელია, ტოპონიმური ძიებანი („აბედათი“, „ბანძა“), გაზ. „მარტვილი“, 4 ოქტომბერი. 2000.

კეკელია, „მახარია“, №8, 2001 - ი. კეკელია, ძიებანი სამეგრელოს ტოპონიმებიდან, გაზ. „მახარია“, №8(13), 2001.

კეკელია, „მახარია“, №7, 2002 - ი. კეკელია, რას ნიშნავს „ნახარებუ“?, გაზ. „მახარია“, №7(24), 2002.

კეკელია, „მახარია“, №9, 2002 - ი. კეკელია, ბანძის ციხე, გაზ. „მახარია“, №9(26), 2002.

კეკელია, რუხაია, „მარტვილი“, №12, 2002-ი. კეკელია, შ. რუხაია, ალერტი და ალერტობა, გაზ. „მარტვილი“, №12, 1 ნოემბერი, 2002.

კეკელია, „ჭყონდიდის ზარი“, №2, 2003 ი. კეკელია,

რატომ დაერქვა სოფელს „ტალერი“?, გაზ. „ჭყონდიდის ზარი“, №2(9), აპრილი, 2003.

კეკელია, „ჭყონდიდის ზარი“, №3, 2003 - ი. კეკელია, წაჩხურუ და წაჩხურობა, გაზ. „ჭყონდიდის ზარი“, №3(10), 26 მაისი, 2003.

კეკელია, ს უხ შა, „მახარია“, №5, 2003 - ი. კეკელია, დ. ხუხუა, ალერტისა და ალერტობის საკითხისათვის(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), გაზ. „მახარია“, №5(34), 2003.

კეკელია, „მახარია“, №3, 2004 - ი. კეკელია, მარტვილის რაიონის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „მახარია“, №3(42), 2004.

კეკელია, „მახარია“, №3, 2004 - ი. კეკელია, მუხურჩის სიძველენი, გაზ. „მახარია“, №3(42), 2004.

კეკელია, 2005 - ი. კეკელია, წარსულის ჩრდილქვეშ, ქუთ., 2005.

კეკელია, №3, 2005 - ი. კეკელია, „მოსკე წაჩხურუ“, გაზ. „მარტვილის მოამბე“, №3(30), აპრილი, 2005.

კეკელია, „მახარია“, №6, 2005 ი. კეკელია, სოფელი ბანძა(გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული საზღვრები), გაზ. „მახარია“, №6(57), 2005.

კეკელია, „მარტვილი“, №5,2005-ი. კეკელია, ხუნწის ისტორიული გეოგრაფიიდან, გაზ. „მარტვილი“, №5,30 ივნისი, 2005.

კეკელია, „ორნატი“, №3-4, 2005 - ი. კეკელია, სამეგრელოს ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნ. „ორნატი“, №3-4(11-12), 2005.

კეკელია, „რაეო“, №14, 2005-ი.კეკელია, სოფელი ნაგვაზუ, გაზ. „რაეო“, №14(132), 1-15 ქრისტეშობისთვე, №15(133), 15-31 ქრისტეშობისთვე, 2005.

კეკელია, „ვერისი“, №2, 2006-ი.კეკელია, ხუნწი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), ჟურნ. „ვერისი“, №2, მარტი, 2006.

კეკელია, 2007 - ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმი (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2007.

კეკელია, 2008 - ი. კეკელია, აბუღათის ტოპონიმი (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ.,2008.

კეკელია, 2008 - ი.კეკელია, ნაგვაზუს ტოპონიმი(ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ.,2008.

კეკელია, 2008 - ი. კეკელია, მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2008.

კეკელია, „მარტვილი“, №11, 2008-ი.კეკელია, „ნობულის“ ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „მარტვილი“, №11, ნოემბერი, 2008.

კეკელია, „მარტვილი“, №12, 13, 2008-ი.კეკელია, მარტვილის რაიონის ოიკონიმთა ერთი ჯგუფის საკითხისათვის, გაზ. „მარტვილი“, №12, 13, 2008.

კეკელია, ფონიაჰა, №4, 2008 - ი. კეკელია, ა. ფონიაჰა, კოლხური გვარებისა და შტოგვარების ეთნოისტორიისათვის, ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“. №4, 2008.

კეკელია, 2009 - ი. კეკელია, ათასი ჭყონდიდური ტოპონიმი, თბ., 2009.

კეკელია, „მარტვილი“, №11, 2009 - ი. კეკელია, ძიებანი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიდან, გაზ. „მარტვილი“, №11, 30 ნოემბერი, 2009.

კეკელია, იეძ, XI, 2009 - ი. კეკელია, საოჯახო თემი ძველ სამეგრელოში (ტოპონიმური მასალების მიხედვით), კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XI, თბ., 2009.

კეკელია, 2009-ი.კეკელია, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტვებითი ლექსიკონი), თბ., 2009.

კეკელია, 2009 - ი. კეკელია, ათასი ჭყონდიდური ტოპონიმი, თბ., 2009.

კეკელია, „მარტვილი“, №1, 2010 - ი. კეკელია, „ინჩხურის“ ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „მარტვილი“, №1, თებერვალი, 2010.

კეკელია, „მარტვილი“, №2, 3, 4, 2010 - ი. კეკელია, ზოგიერთი კოლხური გვარის ეთნოისტორიისათვის, გაზ. „მარტვილი“, №2, 30 მარტი., №3, 30 აპრილი., №4, 27 მაისი, 2010.

კეკელია, „მარტვილი“, №5, 2010-ი.კეკელია, „თამაკონისა“ და „თარგამულის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, გაზ. „მარტვილი“, №5, ივნისი, 2010.

კეკელია, „მარტვილი“, №7, 8, 2010-ი. კეკელია, ლე-ე კონფიქსის პროდუქტიულობისათვის მარტვილის რაიონის ოიკონიმიაში, გაზ. „მარტვილი“, №7, 8, 2010.

კეკელია, №12, 2010- ი.კეკელია, ძიებანი მარტვილის მუნიციპალიტეტის ოიკონიმიდან, ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №12, თბ., 2010.

კეკელია, ბჟალავა, „ქ. ო.“, IV, 2010 - ი. კეკელია, დ. ბჟალავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ოიკონიძის წარმომავლობისათვის, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბ., 2010.

კეკელია, II, 2010 - ი. კეკელია, მარტვილის რაიონის ზოგიერთი კომონიძის ეტიმოლოგიისათვის, კრ. „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“, ტ. II, თბ., 2010.

კეკელია, XXXI, 2010 - ი. კეკელია, სამეგრელოს ზოგიერთ ტოპონიძის წარმომავლობისათვის, კრ. „საენათმეცნიერო ძიებანი“, კრ. XXXI, 2010.

კეკელია, „ტბელობა“, 2010—ი. კეკელია, ნახუნავოს ეკლესიონიძია, კრ. „ტბელობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2010.

კვირტია, 2001—მ. კვირტია, კვიმატი, თბ., 2001.

კილასონია, №48, 1991—დ. კილასონია, ძეგლი უკვდავი წინაპარია (ალერტის ეკლესია გუშინ, დღეს, ხვალ), გაზ. „ჭყონდიდი“ №48 (7365), 30 აპრილი, 1991.

კოლხიდელი, 1962—მ. კოლხიდელი, გლეხების აჯანყება სამეგრელოში და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, ტფ., 1926.

კომოროცი, 1981 — Комороци Г., К символике дерева в искусстве древнего двуречия. Древний восток и мировая культура, М., 1981.

კუდავა, 3—4, 1993—ბ. კუდავა, მარტვილის ტაძრის ნაკაწრი წარწერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3—4, 1993.

ლომაშვილი, 1984— ჯ. ლომაშვილი, რას ნიშნავს სიტყვა ალავერდი, წგნ.: „ეტიუდები“, თბ., 1984.

მაისურაძე, 1990, — ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.

მაკალათია, 1941—ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

მაყაშვილი, 1997 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1997.

მაღრაძე, 2003—ვ. მაღრაძე, ტოპონიძებისა და გვარსახელების წარმოება და ურთიერთმიმართება ქართულში, ფილოლოგიის მეცნ.

დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003.

მედიკიშვილი, 1961–გ. მედიკიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961.

მეუნარბია, 1939–ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი (მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით), თბ., 1939.

მეუნარბია, I, II – ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, შედგენილი სოლ. ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, I, თბ., 1954; II, თბ., 1957.

მიბჩუანი, 1989–თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

ირთობრ. ლექსნიკონი, 1987 – საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.

რატიანი, 1956 – ა. რატიანი, კურორტ ლეზარდეს სამკურნალო თვისებები, თბ., 1956.

სამუშია, 1971–კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1971.

სიმფონია–ლექსნიკონი, II, 2007–ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია–ლექსიკონი, II (მ–რ), ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძისა და მ. შანიძის რედაქციით, თბ., 2007.

სიტყვის კონა, 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1984.

სიხარულიძე, სიგკ, II, 1964– ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964.

სორდია, 2006–ჟ. სორდია, ლინგვისტიკური ძიებანი, ქუთ., 2006.

სორდია, კვარაცხელია, 2008 – ჟ. სორდია, ი. კვარაცხელია, საღვთისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი (პროპედევტიკული ნაწილი), ქუთ., 2008.

სოსელია, I, II, III, - ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტო-

რიიდან (სათავადოები). I. თბ., 1973., II, თბ., 1981., III, თბ., 1990.

სულხან-საბა, 1928, ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928.

ზარულაძე, 1981 - გ. ფარულაძე, ერთი სოფლის ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის (ქვაითი), გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესია(მასალები), გეგეჭკორი, 1981.

ზიფია, 1999-დ.ფიფია, მეგრულ-ქართული სალექსიკონო მასალები, თბ., 1999.

ქავთარაძე, იკე, XI, 1959-ივ. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იკე, თბ., 1959.

„ქ. ცხ.“, I, 1955 - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

ქმზლ-ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964.

ქსმ-ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I-XI, თბ., 1975-1987.

ქაჯანია, I, II, III, IV, - ო. ქაჯანია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001; II-III, თბ., 2002., IV(დამატებანი), თბ., 2009.

ქსძ, III, - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო-საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დონდუამ, თბ., 1970.

ღლონტი, №4, 1967-ალ. ღლონტი, ტოპონიმი და ტოპონიმიკა, ურნ. „ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №4, 1967.

ღლონტი, 1986 - ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბ., 1986.

ღლონტი, I, 1971- ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971.

ყაუხჩიშვილი, III, 1936 ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გეორგიკა, ტ. III, თბ., 1936.

ყიფშიძე, 1994 - ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.

შალამბერიძე, 1980 - გ. შალამბერიძე, ქართული სწორ-მეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

შანიძე, 3, 1972- ა. შანიძე, ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1972.

ჩიქვანაია, 1982-ა. ჩიქვანაია, სოფელ ბანძის ისტორიისათვის, გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1982.

ჩიქვანაია, 2009 - ა. ჩიქვანაია, მარტვილის რაიონის მოსახლეობის გვარსახელთა კატალოგი, მარტვ. - თბ., 2009.

ჩიქობავა, 1942- ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩუბინაშვილი, 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961.

ცხადაია, 1985 - პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.

ცხადაია, მასალები... 1998 - პ. ცხადაია, ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში, არნ. ჩიქობავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

ცხადაია, I, 1999-პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999.

ცხადაია, 2000 - პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

ცხადაია, ჯოჯუა, 2003 - პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.

ცხადაია, 2005-პ. ცხადაია, ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005.

ცხადაია, I, II, III, IV, - პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წალენჯიხის რაიონი), თბ., 2004; II (ზუგდიდის რაიონი), თბ., 2007., III (სობის რაიონი. ქ. ფოთი), თბ., 2007; IV (ჩხოროწყუს რაიონი), თბ., 2008.

ცხადაია, „ქ. ო.“, III, 2007 - პ. ცხადაია, მასალები მეგრულის ლექსიკონისათვის (ზემო სამეგრელოს მიკროტოპონიმიის მიხედვით) - I, კრ. „ქართველური ონომასტიკა“, III, თბ., 2007.

წულეისკირი, 1987-ნ. წულეისკირი, მთისა და ბარისა, თბ., 1987.

ჭანტურიბა, 1982 – ა. ჭანტურია, ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თსუ-ის შრომები, ტ. 227, თბ., 1982.

ჭანტურიბა, 2006 – ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, თბ. 2006.

ჭითანავა, 2001 – დ. ჭითანავა, თეონიმ „ალერტ“-ის ეტიმოლოგიისათვის, კრ. „საქართველო და ქრისტიანობა“, თბ., 2001.

ჭუმბურიძე, 1966 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 1966.

ჭუმბურიძე, 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987.

ხუხუა, №118, 1965 – ო. ხუხუა, ასაკი საუკუნეებით განისაზღვრება, გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №118, 5 ოქტომბერი, 1965.

ხუხუა, VI, 1965–ო. ხუხუა, ტეხურის ხეობის ერთი სოფლის ისტორიული სიძველენი, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის VI სამეცნიერო სესია (მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები), ქუთ., 1965.

ხუხუა, 1966–ო. ხუხუა, წარმართული ღვთაება ალერტი, გაზ. „შრომის დროშა“, გეგეჭკორი, 6 ოქტომბერი, 1966.

ხუხუა, XVI, 1972 – ო. ხუხუა, აბაშა, ბაში, ბარდა, ლებარდე, ცხენისწყლის ეტიმოლოგიისათვის, გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის XVI სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1972.

ხუხუა, №86, 1980–ო. ხუხუა, სალხინო თუ წაჩხურუ?, გაზ. „შრომის დროშა“, №86, 1980.

ხუხუა, 1981–ო. ხუხუა, ტოპონიმების – „სალხინოსა“ და „წაჩხურუს“ წარმოშობის ისტორიისათვის, გეგეჭკორის სარაიონ-თაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესია (მასალები), თბ., 1981.

ხუხუა, „აია“, №2, 1998–ო. ხუხუა, ზიარი ჰიდრონიმები და ტოპონიმები ისტორიულ კოლხეთში, ჟურნ. „აია“, №2, თბ., 1998.

ხუხუა, №4, 2005–ო. ხუხუა, ეტიმოლოგიური ძიებანი, გაზ. „მახარია“, №4, 2005.

ხუხუა, „მარტვილი“, №7 2009 – ო. ხუხუა, გვესაუბრება კოლხეთის მიწა-წყალი, გაზ. „მარტვილი“, №7, 30 ივლისი, 2009.

ხუხუა, „მარტვილი“, №8, 2009 – ო. ხუხუა, თარგამოსიანნი და თარგამული, გაზ. „მარტვილი“, №8, 29 აგვისტო, 2009.

ბ უხ უა, „სათანო“, №6, 2010 - ო. ზუზუა, თარგამოსიანნი და თარგამული, ჟურნ. „სათანო“, №6, 2010.

ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, 1979– ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979.

ჯ ა ნ ა შ ი ა, III, 1959– ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის თა /-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის, შრომები, III, თბ., 1959.

ჯ ა ნ ი ა, №50, 1995–გ. ჯანია, „ანთარი“, გაზ. „რუბიკონი“, №50, 1995.

ჯ ა ხ უ ა, №9, 1988– ი. ჯახუა, ნუ ვამაზინჯებთ სოფლის სა- ხელწოდებას, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №9, 26 თე- ბერვალი, 1988.

ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, 1977–პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I (ტექსტები, ლექსიკონის მასალები), თბ., 1977.

ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე..., 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსი- კონი, თბ., 1988.

ჯ ლ ა რ კ ა ვ ა, 2007 – ი.ჯღარკავა, სამეგრელო – მზეშინას სამზეო, თბ., 2007.

ჯ ლ ა რ კ ა ვ ა, 113, 1965 - შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თსუ-ს შრომები, ტ. 113, თბ., 1965.


ჯ ლ ა რ კ ა ვ ა, 1970-შ. ჯღარკავა, სალიპარტიანო, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის ხელნაბეჭდი. თბ., 1970.

ჯ ლ ა რ კ ა ვ ა, №6, 1970 – შ. ჯღარკავა, სალიპარტიანოს ისტორიიდან, საქართველოს მეცნ. აკადემიის „მაცნე“, №6, 1970.

დასკვნა ინგლისურ ენაზე თარგმნა მარტვილის №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა, ქალბატონმა მარინე შირაგამ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით.

მარტვილის რაიონის რუკა

ქსე-ს მიხედვით



OECONOMY OF MARTVILI DISTRICT

(Summary)

To name Geographical objects is an action of long time. This process was dictated with creating names and historical laws. People named objects which were natural or made artificially and these names existed during many centuries. Toponymics were used before the Alphabet was created.

Historical and literary resources, epigraphic and icon writings, cartographic material give us very important information for geographical names.

The exact meanings of toponymy are very important for learning the country's historical – ethnological customs, ethnical contents of the population, traditional culture, agricultural life.

Toponymy as an inseparable part of a human being is given to generation from generation through the means of oral and written ways and has mainly the function of orientation.

Oeconomy is one of the types of toponymy and contains the name, of settlement (town, village), their origin of creation, function and development.

Igor Kekelia the director of the students and youth house, academy of the people's academy has been searching kolkhetian toponymics for a long time.

In this book there are the names of the settlement and their analysis which were given in the book „Georgian Geographical names orthographical Dictionary“, which was published in 1987.

In every article the scientist mentions lexical and phonetic variants of geographical names and the location of the object.

In this book there are given materials of historical resources with the commentaries of the author.

In this research work we can read a lot of economic etymologies, the reason of origin of the names of Martvili district, which are given from a new point of view by the author.

I. Kekelia's book will be useful for the specialists and readers who are interested in lexicology, dialectology, history, ethnology, historical geography and folklore.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3	ლესინდრაგო	65
აბედათი	10	მარტვილი	68
ალერტი	11	მახათი	73
ბალდა	16	მუხურჩა	74
ბანძა	19	ნაგებერუ	77
ბობოთი	22	ნაგვაზავო	78
გაჭედილი	23	ნაესუუ	81
გოდოგანი	24	ნამიკოლაგო	83
გურძემი	26	ნახარებაგო	84
დიდი ჭყონი	27	ნახურცილაგო	86
დობერაზენი	28	ნახუნუ	87
დოშაყე	29	ნაჯახუ	89
დღვანა	31	ნობული	90
ენერი	32	ნოლა	93
ვახა	33	ნოჯიხევი	95
ვედიდკარი	34	ონოლია	99
თამაკონი	36	ორქა	101
თარგამეული	38	ოჩე	103
ინჩხური	40	ჟინოთა და შქანთა	105
კინია	43	საბერულავო	108
კურზუ	44	საელიავო	109
ლებარდე	52	სალხინო	110
ლებაჩე	53	სანაჭყებო	113
ლეგულორდავე	54	სერგიეთი	115
ლედგებე	55	სკურდი	117
ლევახანე	56	სტიფასდაბალი	118
ლეკეკელე	57	ტალერი	119
ლეკვანტალიე	58	ქვაითი	123
ლემიქავე	58	წაჩხური	124
ლეპატარე	59	წინაკვერკვე	127
ლეჟვანიე	61	ჭაბურთა	128
ლესხულუხე	61	ხუნნი	128
ლეფოჩხუე	62	ჯოლევი	130
ლექაჯაიე	62	შემოკლებანი	132
ლექობალე	63	ლიტერატურა	133
ლეცავე	64	მარტვილის რაიონის რუკა..	145
ლეციცხვაიე	64	Summary	146

იზორ კეკელია

მარტვილის რაიონის ოიკონომია
(მონოგრაფია)

პირველი გამოცემა

ქუთაისი, 2010

წიგნი გამოსაცემად მომზადდა მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. განხილული და რეკომენდებულია გამოსაცემად ამავე ცენტრის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ტექ. რედაქტორები: ალექსი ჯონიავა
ზოზიტა ხელაია

მხატვრული რედაქტორი ირმა ბრიზალავა
კორექტორები: ოთარ დანელია,
მადლენა კვესელავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ხათუნა ძარია,
თენგიზ ხითარიშვილი

ტირაჟი 300

წიგნი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ენციკლოპედია ქუთაისის“ მიერ
მისამართი: ქუთაისი; რუსთაველის გამზირი №3
ტელ.: 8-231-4-57-83, 893-305-708